მე“-ს ამ ნუსხათა მოცულობის საკითხი. ის შეიცავს ამბებს დასაწყისიდან საკუთარივე როსტომიანამდე. პროზაული ვერსია სწორედ იქ თავდება—სადაც უკანასკნელი წერტილი ესმება გალექსილ საამიანს.

რასაკვირველია მამუკა მდივნის ხელით გადაწერილ პროზაულ „შაჰნამე“-ს არსებობის ფაქტიც—არსებითად ვერ გადასწყვეტს მამუკას გალექსილი შრომის ბედს. საჭიროა მისი შინაგანი ბუნების ოპერაცია, რომ ამით შესაძლებელი გახდეს თავისდათავად საგულისხმო დასკვნის დასაბუთება.

საერთოდ საგვებით მართებულია პ. ლ. ი. აბულაძის მოსაზრება, რომ „მამუკას გალექსილი ზაქიანი, როგორც შინაარსით, ისე თავის სიმოკლით, უფრო ემხრობა, ფირდოუსის „შაჰ-ნამე“-ში მოთავსებულ ზაქის შესახებ ეპიზოდს ვიდრე [ქართული პროზაული ვერსია]¹ — მაგრამ მიუხედავად ამისა მამუკას ნამუშევარი უაღრესად თავისებურად არის გამართული. ზედმიწევნით შემოკლებულია და, არსებითად, არც ნაკლები საერთო მოტივები აქვს ქართულ პროზაულ ვერსიასთან ვიდრე მის სპარსულ დედანთან.

მართლაც მამუკას ცნობით ზააქ მუხვარდის შვილია (15—1) ისე როგორც პროზაული ვერსიითაც. უკანასკნელში ზაქის შთამომავლობაზე უფრო დაწვრილებით არის მოთხრობილი. მურდავი (იგივე მამუკას—მუხვარდი) ჯიმშედის ერთი მთავარი გმირთაგანია--მისრეთის ღ შამის მფლობელი. ზააქ, ჯიმშედ, ფრიდონ — ერთი მოდგმის, ერთი გვარის შვილებია. ზააქ უთელის ფრიდონს (ჯიმშედის ახლო ნათესავს) „თემი და ქუყყანა შუა გაგყოთ. ნახევარი შენ დანახევარი მე. ერთი გვარნი კაცნი ვართ“² — სპარსულ „შაჰ-ნამე“-თი კი ზააქ და მისი მამა გარკვეულად არაბებია.³

2) გალექსილი „ზაქიან“-ის თავები: აქა აფთიონ თავის ცოლს სიზმარს ეუბნების.

აქა ზააქ აფთიონ დაიჭირა და თავსა სკრის (ხანები 37-53)—ისე როგორც მამუკას აქვს სრულიად უცნობია „შაჰნამე“-თვის. სპარსულით დავაყვაცებულ ფრიდონ დედას გამოკითხავს მამის თავგადასავალს — (Mohl 1, 83 — 85) იქ არავითარ სიზმარს აღგილი არ აქვს. გალექსილსაც ეს ეპიზოდი (საერთოდ საკმაოდ ვრცელი. სულ ზაქიანი, შესავალის გამოკლებითი, 100 ხანისგან შედგება—აფთიონის ეპიზოდი კი 13 ხანას შეიცავს) ქრისტიანული ელემენტებით შეუზავებია:

¹ „ვერსიები“ XI.

² № 1594 გ. 91B; № 921 გვ. 52B.

³ იხ. J. Mohl: le livre des rois 1, 59 სტ. 5; P. Horn: Geschichte der persischen Literatur s. 101.

Dr J. A. Vullers-ის სიტყვით აღმოსავლურ ლიტერატურაში ზაქის (كشك) შთამომავლობა სიბნელეთაა მოცული. ზოგიერთების აზრით ის არაბია—ზოგიერთების ასურელი (სირიელი) Vullers-ს უფრო მართებულად მიანჩნა ზაქის ასურეთის მონარხთა ცნობა, რომელმაც სპარსეთი დაიპყრო. (იხ. მისი Fragmenten über die Religion des zoroaster. Bonn, 1831 s. 56. ann. 17) სხვათაშორის—„როსტომიან“-ის გალექსილში ზააქს იცნობს არაბად („ვერსიები“ გვ. 380 ხანა 1390).

„აღაბი უყუეს აფთიონს კელ-მწიფურისა წესითა
ეფისკოპოზი აწვიეს ქრისტიანობის წესითა.
ქამი სწირეს და ილოცეს მათის კრებულის წესითა,
და თვალ-მარგალიტსა მიართმენ,—საესეს ოქროსა თეფშითა“

(ხანა 52)

3) ზააკ-ფრიდონის ომი მამუკა მდივანს ისე აქვს წარმოდგელი თითქოს
ეს **ერან-თურანის** ომი იყვეს:

„ქავამ დროშა გაიძღვანა, გიო მოვა ყვირილითა
თურანელთა დაუძახა: „თქვენ მომრჩებით ახლა რითა“ (84)

ან და: „ქავსა, გიოს გაემარჯვა, **თურქნი ყრიან ზააკისნი**“

აქ თურანელებად ზააკის მომხრეებია გამოყვანილი, სამაგიეროდ აჯანყე-
ბული **ერანელებია**:

„მას ქავა წინ მიეგება-დროშა თან ახლავს სვიანი

სხვა ერანელი მრავალი და გივი სახელიანი“ (70)

რასაკვირველია ერან-თურანის ომი ჯერ ნადრეგია. ზააკ-ფრიდონის ომს
ასეთი ტენდენცია სრულიად არ ახასიათებს. პირველი დაიწყო **ერაჯის მკვლელობის**
შემდეგ, რაიც საამიანშია მოთხრობილი. ჩვენი აზრით ასეთი ტენდენცია მამუ-
კას სწორედ პროზაულ საამიანიდან უნდა ჰქონდეს აღებული. მამუკამ შესაელი-
დანვე ვეაუწყა, რომ საამინის ეპიზოდებს კარგად იცნობს:

„სალომ და თურომ ძმა მოჰკლა, ჯოჯოხეთს ყოფნა ინება“ (ხანა 5).

ფრიად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მამუკას ერანელ გამირებში
გამოჰყავს „გივი სახელინი“. „შაჰ-ნამე“-თი გივი ცნობილია მართლაც სახელო-
ვან ფალანად, სახელოვან გოდერძის ძედ. გივი თურანიდან გამოიყვანს ახალ-
გაზრდა ქაიხოსროს. თავისდათავად ცხადია მას ზააკის ეპიზოდთან არავითარი
საერთო არ აქვს. ეს მამუკას საკუთარი ფანტაზიის (და ერულიციის) ნაყოფია.

4). ქავას აჯანყება. ამის გამომწვევი მიზეზები. შვილების ბედი —ამაზე მა-
მუკას ზააკიანში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი.

5). უკანასკნელი ეპიზოდები (ნარიმანის გამოჩენა. თამაზის აღა ყალა. გა-
გოს გარდახვეწა) უცნობია „შაჰნამე“-სთვის. მამუკას აქ ქართული პროზაული
ვერსია აქვს განმეორებული.

6). მეტად შემოკლებულად არის ფრიდონის აღზრდა. აქ მხოლოდ ნათქვა-
მია, რომ ფრიდონ მთებში იზრდება — მეჯოგესთან. მამუკა არ იცნობს ზააკის
ინდოეთში გამგზავრებას. სხვათაშორის ასეთი დეტალიც: „შაჰნამე“-თი ზააკის
ცოლები ჯიმშედის ქალებია¹ ისე როგორც ჩვენი პროზაული ვერსიითაც (№ 1594
გვ. 97A=921—54B), მამუკას ზააკიანით კი —ჯიმშედის დები (ხანა 71). მამუ-
კა ამბავს იმდენად ამოკლებს, რომ მთელ თხზულებაში ჯიმშედს მხოლოდ ორი
სტრიქონი დაუთმო (ხანა 96) თუმცა შესავალში გვარიგებს:

„ჯიმშედს და მეფეს აფთიონს ავად არ უნდა ხსენება“ (5)—ყოველ შემ-
თხვევაში მის თხრობიდან ვერავითარ წარმოდგენას ვერ იქონიებთ ჯიმშედის შე-
სახებ.

¹ Mohl I, სპ. ტექ. 98—7 სტ. ქვ.—ფრ. თარ. 99—10 ქვ.



ასევე სრულიად მოულოდნელად და მექანიკურად ჩართულია მამუკას ზაქიანში ნარიმანის გაჩენა. რასაკვირველია მის ვინაობაზე ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი. ეტყობა მამუკა იცნობს პროზაული ვერსიიდან ვრცელ მოთხრობას ნარიმანის შესახებ და საჭიროდ დაინახა მისი გალექსილშიც მოხსენება, რომ ამით ერთგვარი გარდამავალი საფეხური შექმნილიყო ზაქიანს და საამიანს შორის („საამიანი“-ნარიმანის სიკვდილით იწყება.)

საერთოდ მამუკას თხზულება ზაქის ამბების კონსპექტია. საკმაოა თუ ავლნიშნავთ, რომ თვით სპარსულ ტექსტში ზაქის თავგადასავალი 671 ორწვეილედ ლექსისგან შესდგება¹. მამუკას შრომა მთელი თვისი თავისებურობით და ჩანართებით (აფთიონის ეპიზოდი. ზაქის მიჯაჭვის მომდევნო ამბები) მხოლოდ 100 ხანას შეიცავს. პროზაულ ვერსიაში ზაქის თავგადასავალს მეტად ვრცელი ადგილი აქვს დათმობილი. აქ წარმოდგენილი, მეტად გაჭიანურებული, ომი ფრიდონს და ზაქს შორის (რაიც სპარსულისთვის უცნობია) მამუკას არ აქვს სხვა კი, საერთოდ, მამუკას გალექსილ თხზულებაში და პროზაულ ვერსიაში ერთგვარადაა. მამუკას მთლიანად დაცული აქვს პროზაული ვერსიის ჩონჩხი თუმცა ის თავისებურად და მოკლედ აქვს გადმოცემული. თხზულების სიმოკლეს მამუკა თითონაც არ მალავს და გადაჭრით აცხადებს—პატრონთ მიბრძანეს:

„ტკბილთა სიტყვათა შეწყობა მოკლედ ამბისა თქმისანი“ (ხანა 12). რომ ავიღოთ ცალკე ადგილები:

1) საერთოა ორთავე რედაქციისთვის ზაქის ვინაობა. ეშმაკის ცდუნება, მურადის მკვლელობა. ამ მკვლელობის ყოველი დეტალი. ზოგიერთი პარალელები:

პროზაულით:

„მურდავს ერთი შვილი ედგა, სახელი ზაქ ერქვა“.

„რა ასეთი საუბარი გაიგონა, ზაქ ასრე უთხრა ეშმაკსა: ვითა მამა ვის მოუკლავსო“?

„მურდავს ერთი ზევი ედგა თავისათვის სალოცავად და ყოველსა ლოცვის ეამსა მივიდის სალოცავად. ბერი კაცი იყო და თავისათვის ილოცვიდის. წავიდა ეშმაკი. გზაზედა ორმო მოთხარა და შიგან ლახვარი დაქსო და ზედა წახურა. და რა ლოცვისა ეამი მოვიდა—მურადე სალოცავად წავიდა. როგორ წაიარა ჩავარდა ორმოშიგან და მოკულდა. რა ზაქ მამის სიკვდილი შეიგნა საყულონი გარდინიენა. თავსა გარდაიხადა და გლოვა დაიდგა“ (№ 1594 გვ. 54B, 55 AB ; № 921 გვ. 32 B—33 A.)

გალექსილით

„ზაქ იყო მუხვარდის ძე ფალავანი გამოთქმული“ (15-1)

„ზაქმა უთხრა ეშმაკსა, ვის ასმია მამის მოკვლა“

(ს. ს. ს. ხელ. 56 №; შეად. „ვერსიები“ 17-1)

ეშმაკმან ორმო გათხარა, მის უცხო არ იქნებოდა შიგან ლახვარი დაასო, კაცი ვერ მოურჩებოდა,

¹ Mohl I, 54—112.



ზააქის მამა აბანოს წავიდა, იარებოდა,
 და რა ცოტა წავლო, ჩავარდა, იმავ წამს სული კდებოდა.
 რა მოჰკლა ზააქის მამა, ეშმაკი გაუჩინარდა,
 ზააქ ტიროდა, მოსთქვამდა: „ეს რა ვქენ!“—მეტად ინანდა.

(„ვერსიები“ გვ. 11)

მამუკას თავისებურებად აქ ის შეიძლება ჩათვალოს, რომ მისი სიტყვით კატასტროფა მოხდა, როცა „ზააქის მამა აბანოს წავიდა“, რაზედაც პროზაულ ვერსიაში ცნობა არაა. „შაჰნამე“-თი მურდავს ბაღში სალოცავი აქვს. იქ ბერი-კაცი მარტოდ დაიარება ტანისა და პირის დასაბანად და სალოცავიდ (Mohl I, სპ. ტექ. გვ. 58, 9=ფრ. 59, 12-15; P. Horn. Geschichte...s. 103). აშკარაა აქ იგულისხმება ლოცვის წინ განბანა. მამუკას ლოცვის მომენტი სრულიად აღნიშნული არ აქვს და ერთგვარის იუმორით მურდავს აბანოში ისტუმრებს. ასეთი თავისებური გაგება მამუკას შემოქმედებისათვის ფრიად დამახასიათებელია. როგორც უკვე შევნიშნეთ პროზაული ვერსიით ზააქის მამა მისრეთის მფლობელია. გალექსილითაც: ზააქს „მისრეთი აქვს საბატონოდ“. ¹ ეს ცნობა კი სპარსული „შაჰნამე“-სთვის უცხოა. შედარებიდან ჩანს, რომ ორთავე ვერსია ერთდამიგვე სიტყვებით იწყება. ქართულ ვერსიებით ამბავი პირდაპირ ზააქით იხსნება—მუხგარდზე არაფერია ნათქვამი იმის მეტი, რომ ის ზააქის მამაა. სპარსულით კი პირველად მოკლე თხრობა მურვადის გარშემოა. ²

4). საერთოა ორთავე რედაქციისთვის ზააქის მხრებზედ გველების გაჩენის ეპიზოდი. ეშმაკისმხარეულად შედგომა. სასიამოვნო ჭამადის მომზადება. მადლობის ნიშნად დაჯილდოვების სურვილი. ეშმაკის სათხოვარი და აქედან გამომდინარე შედეგი. მხოლოდ გალექსილი რედაქციით აღნიშნული ეპიზოდი უშუალოდ მოსდევს მურდავის მკვლელობის თხრობას—როგორც ეს სპარსულშიც არის. პროზაული ვერსიით კი ჯერ ჯიმშედის წინააღმდეგ ბრძოლაა. სანიშნუშით აქ მოვიყვანთ ვრცელ პარალელს.

პროზაულით:

„ზააქმა ასრე უთხრა ვითა ამის უკეთესი საქამადი არა ოდეს მინახავს. ასრე მინდა, რომე კარვად მარჩინო. მერმე ასრე უთხრა ეშმაკმან ვითა შენი წყალობა არა მაკლიან რა. ამის მეტი არა მინდა რა, რომე ორთავე მხრისა თავთა მაკოცნინე. აქა ზააქს ეშმაკის მანქანებითა მხართა გგელნი ამოუვიდეს (წითურით).“

¹ ს. ს. ს. ზელ. № 56 გვ. 1. ეს ადგილი გამოცემულ ტექსტში ბ-ნ ი. აბულაძეს აღდგენილი აქვს შემდეგ ნაირად. „[ტახტი ჭონდა საბა] ტონოდ... და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ გამოცემლის განკარგულებაში მხოლოდ ერთი ხელნაწერი იყო და ისიც დეფიკტური, მიუხედავად ამისა ტექსტი საკმაო მახვილ გონიერულად არის აღდგენილი. ს. ს. ს. ინახება „როსტომიანი“-ს ზელ. № 56—აქ პირველ ეპიზოდთან ზააქიანია, რომელიც მეტად ნაკლებეგანად არის წარმოდგენილი, სრულიად არ აქვს შესავალი, მაგრამ შენახულა მოთხრობის დასაწყისი, რომლითაც შესაძლებელი ხდება გამოცემის სათანადო ადგილების შესწორება.

² Mohl I, სპ. გვ. 54=ფრ. 55; Horn, Geschichte—s. 101.

აგრე ამოუყარნა მხარნი და მივიდა. მხრისთავსა აკოცა. **მერმე გაქარდა ეშმაკი.** აგრე ორივე მხრისთავი აქადდეს და მოიფხანა. ფხანაშიგან ორთა გვილთა თავი ამოყუეს. ამოეზარდნეს. **ორთავე ყურთა წოვნა დაუწყეს.** მერმე აქიმი მოასხეს. ჰკითხეს. ვერა შეიტყუეს რა. აგრე მოვიდა ისივე ეშმაკი კაცის სახითა. თავი მოემისქნიდა (?) ასრე თქვა ვითა ჩემს უკეთესი აქიმი არა სადა იქნების. მერმე ჰკითხა ზაქ გველთა ამბავი და ასრე ასწავლა ვითა **ყოველთა დღეთა ორ ორსა კაცსა მოჰკლევდი.** თავის ტვინსა **ამოართვედი.** შეაქარსა დაქაყრიდი და აქმეგდი და აღარასა გაწყენენ. რა ესე საუბარი გაიგონა ეშმაკისაგან ზაქ კელმწიფემან აგრე მოასხმევირა **ორნი კაცნი. დახოცეს და თავის ტვინი ამოართვეს. აჰამეს და რა დაძღეს სული დაიღეს:** ყოველთა დღეთა გაისმა ამბავი ყოველსა ქუეყანასა. ხუთას წელიწადს ამ ყოფითა იყო“ (№ 1594 გვ. 62A—62B; № 921 34B, 35A.)

გალექილით:

უბრძანა მან მზარეულსა: „წყალობა გინდა ჩემგან რა?“
 ამდენსა მოგცემ, თუ გინდა დათვლა შეგეძლოს შენ არა.
 ეშმაკმან ჰკადრა: „წყალობა მე სხვა არ მინდა თქუენგან რა.
 და **შიშველს მკარს თუ მაკოცინებ, წყალობა მინდა სხვა არა.**
 ზაქ თქუა: „მაგას“ აგრე ვიქ, — გარდაილო ფიცხლავ მკრები,
 ეშმაკმან ნახა, იამა, მან გამოანთო თვალეზი.
 აკოცა ზაქს, დაუგდო საქმენი გასამწარები.
 და **ფიცხლავ განქარდა ეშმაკი,** ვერ ნახეს გზა და კვალეზი.
 რა აკოცა, ფიცხლავ გაჰქრა ის ეშმაკი იბლისისა,
 ვერ ვინა სცნა, სით წავიდა, ან ნაშობი ის რისისა?!
 არ ასმია კაცთა ძესა, რომ ნაქმარი ეს რისისა?
 და მკარზედ გველნი ამოუხსდა, თქუეს თუ: „ნეტარ ეს რისისა?“
 ჰაქიმი სკრიდეს, ახლავე ის უფრო გაიზრდებოდა.
 პირსა დაუწყეს ლოკანი და **ყურსა ეკიდებოდა.**
 ზაქს მათითა სევდითა ძილიც არ მოუნდებოდა,
 და ისევე იბლისი მოვიდა, მის უცხო არ იქნებოდა.

აქა ზაქს მკარზედ გველეზი ამოუხსდა
 მან ზაქსა მოახსენა: „შენ თუ მოსვენება გინდა,
 დღეში ორ-ორს კაცს მოჰკლავდე, სხვა მის მეტი არა გინდა.
 მათსა ტვინსა გაუკეთებ, სხვა საქმელი არ ერგება.
 და როგორც სქამენ, დაწვებიან, მოსუენება შენც გერგება!“
ორიკაცი მოიყუანეს, მოჰკლეს, ტვინი ამოართვეს.
 რა აჰამეს გველეს ტვინი, ყურის ლოკვას ჩამოუხსნეს:
მოისუენეს, მკარებზედ დაწვენეს, დაიძინეს მათ, იამეს,

(„ვერსიები“ ხანები 28—33).

„ამაშიგან წელიწადი გამოვიდა, — დიდი ხანი“. — ამბობს მამულა და თავი სებურ ვარიაციას უკეთებს პროზაულს: „ხუთას წელიწადს ამ ყოფითა იყო“.

3) პროზაულ ვერსიაში ვრცლადია აღწერილი ზაქისა და ჯიმშედის ბრძოლა.

დასასრულ: „მოიყუანეს ზაქის წინაშე ხელშეკრული [ჯიმშედ]. მერმე მოიტანეს ხერხი და და[ა]დგეს თავსა და შუა გახერხეს ჯიმშედ კელმწიფე“ (№ 1594 გვ 61A; 921—34B).

ვალექსილით: ზაქმა „ჯიმშედს დასძლია ომითა, აჯობა მისით ხერხითა მართლა არ მოკლა წყეულმა, გაპკუეთა შუა ხერხითა.“ (36)¹

4) ზაქის სიზმარი:

„ ზაქ სიზმარი ნახა. ასრე ეზმანა: ერთი სხვილი კაცი მოვიდა, რქიანს ხარსა ზედა ჯდა. ხელთა დიდი ლახტი ჰქონდა იმ ხარის თავის ოდენი. მოვიდა და ზაქს თავს დაჰკრა და კისერზედა დასცა და ქედამდის ტყავი ააძრო და ხელნი შეუკრა და მოყუანდის. მთაშიგან ბნელი საკანი იყო და იმაშიგან თავდაღმა ჩაჰკიდა. რა გაიღვიძა მოასხმევინა მერამლენი და მისნი ორნი ცოლნი და ესე სიზმარი უამბო. მათ ვერა შეიგნეს რა. მერმე ზირაქ რამლსა ჰკრა და გაახენა საეტლონი. ასრე მოახსენა ვითა ფრიდონ დაიბადების და ისი მოვა და მისა მიმეს ლახტსა დაგკრავს. აგრე ხელთა შეგიკრავს. წაგაყვანს და ჰამონისა მთაშიგან ბნელი ორმო არის და მაშიგან თავდაღმა ჩაგკიდებს. რა ზაქ ზირაქისაგან ესე გაიგონა, ასრე უბრძანა ვითა: რა მიწყენია, რატომ მომკლავს. მან ასრე მოახსენა, ვითა მამა მისი რომე მოჰკალით აფთიონ და გეშაპსა შეაჭამეთ— მისთვის მოგკლავს“ (№ 1594, 62B—63A; № 921—35AB).

ეს ეპიზოდი ვრცლად არის გადმოცემული ვალექსილ ზაქიანში (ხანები 57.—64). რადგანაც ვალექსილი ტექსტი ყველასათვის ადვილად ხელ მისაწვდომია—ჩვენ აქ მას აღარ ვებუქდავთ. მხოლოდ უნდა შევნიშნოთ შემდეგი: ეპიზოდი ორთავე რედაქციაში ერთგვარადაა გადმოცემული. თუმცა არის ერთი განსხვავება. სხელდობრ ვალექსილი რედაქციით ზაქს ეზმანება სამი გმირი და არა მარტოდ ფრიდონი, როგორც ეს პროზაულშია; ფირდოუსის „შაჰნამე“-შიც სამი პირი ეზმანება ზაქს².

საყურადღებოა, რომ პროზაული ვერსიის „ჰამოგანი“-ს ან „გამანი“-ს მთავარ ზაქისათვის განკუთვნილი ვალექსილი ვერსიითაც (იხ. 39-2) რაიც უცილობლად ქართულ ნიადაგზეა შექმნილი, რადგანაც ფირდოუსი მხოლოდ დემაგენდს იცნობს. ამ გარემოებას დაუფიქრებია ბ-ნი ი. აბულაძე და მას „გამანი“ კითხვი თი ნიშნის ქვეშ აქვს დასმული („ვერსიები“ გვ. 17 შენ. 3).

5) ფრიდონის და ზაქის ცოლების შეზვედრა.

პროზაულით:

„კელმწიფე ფრიდონ და სხვანი თავადნი დარბაზის კარსა მივიდეს, სადაცა ზაქის დარბაზი იდგა. მერმე ორნივე ზაქის ცოლნი წინა გამოეგებნეს—ჯიმშედის ქალნი. როდეს ჯიმშედ მოკლა ქალნი ხელთა დარჩეს. ორნივე წინა მოე-

¹ ეს ეპიზოდი ასეა „შაჰ-ნამე“-შიც (Mohl I, სპ. 64 n-7 ქვ.—ფრ. I, 65-c-ს ქვ.)

² Mohl I, სპ. 90—1 ქვ.—ფრ. 93—3

გებნეს. ფრიდონ აქეთ მიეგებნა და ორნივე ხელსა შემოხევივნეს. აგრე საწოლსა შევიდეს. ერთი ერთევენ მოიწვინა და მეორე მეორეთგნით“.

(1594—97A; 921—54B).

გალექსილით.

„დარბაზსა შიგან შევიდეს მეტად ტურფადა გებულსა, ქვეშ ორხოასა მოჰფენენ, ოქსინო გარდაგებულსა, ჯომშედის დანი იქ უსხდეს, —მთვარეს ვავს განათებულსა? და ფრიდონს სალამად მომართეს, —სამოთხით გვანან რებულსა!“

მათ ფრიდონ წინ მიეგება, საროსა მგზავსი რებული, ორნივე გვერდსა დაისეა.“

(„ვერსიები“ 71, 72—2).

ნ) ერთგვარადაა ორთავე ვერსიაში თხზულების ფინალი: ზააქის შეპარეა თავის ყოფილ სასახლეში. ფერიდუნთან პირის-პირ ბრძოლა.

მოვიყვანთ ერთ პატარა პარალელს.

პროზაულით:

„ფრიდონ ლახტი დაჰკრა თავსა. დააგორვა. მეორესა, სხვასა რომე ლამოდა დაკრვასა და აგრე ანგელოზმან დაუზახნა თუ ნუ მოჰკლავს. ჯერე მაგისი დღე არ გათავებულაო და ამოვანდისა მთაშიგან ერთი ბნელი ორმო არის და ზურგსა ერთი შოლტი ტყავი ააძრევ და კოქნი გაუხვრიტენ და იმაშიგან თავდაღმა ჩაჰკიდე“.

(№ 1594—98A; 921—55A).

გალექსილითაც:

„ფრიდონ ნახა ანგელოზი დვთის ბრძანებით მოვლენილი: — ჯერ ნუ მოჰკლავ, შეინახე, გაუთავდეს ამას დღენი, ეგ ჩააგდე ორმოშიგან, ღრმა არის და მეტად ბნელი, და სადამდისაც გაუთავდეს, შიგ დალიოს მისნი დღენი!“ (94)¹

სპარსული „ზააქიანი“ — ზააქის მიჯაჭვითა და ფერიდუნის გამეფებით წყდება. ქართული ვერსიებით კი თხრობა ამით არ თავდება. პროზაულში ვრცელი ამბებია ფრიდონის და ზააქის შვილის ფარუხ ზაქის ომების შესახებ. ამ ომებში სახელს ითქვანს ფალავანი ნარიმანი. მეორეს მხრით ზააქის ძმა თამაზი გამაგრებულია უძლიერეს ციხე ალა ყალაში.

პროზაულით:

„ზააქის ძმა თამაზ ალა ყალას შესულა, რომე მის უმაგრესი ციხე ცათო ქვეშე არა არის“ (1594—98B; 921—55A).

¹ შეად. Mohl I, ს. 110—3 ქვ.—თარ. 111—4 ქვ.



გალექსილითაც:

ერთი ციხე გავვიმავრდა, არის ყალბა თამაზისა
სრულ კლდით არის ნაშენები, არ თუ არის ალიზისა“ (114)

როგორც ზემოთაც შევნიშნეთ ნარიშანის გამოჩენა სრულიად მექანიკურად არის ჩართული გალექლილ რედაქციაში. ეს მომენტი გასაგები ხდება მხოლოდ ქართული პროზაული ვერსიის გათვალისწინებით.

ამრიგად შედარებიდან ირკვევა, რომ მამუკა მდიენის ფრაზეოლოგია-ლექსიკა ძლიერ ახლოს დგას პროზაულ ვერსიასთან. ბშირად მთელი ფრაზები პირდაპირ განმეორებულია გალექსილში პროზაული თარგმანიდან. ორთავე ვერსიებს აქვთ ისეთი საერთო ელემენტები, რაიც სპარსულისთვის უცხოა და, მაშასადამე, მათი გამართლება მხოლოდ ქართულ ნიადაგზე შეიძლება რომ მოხდეს.

მაგრამ ჩვენ ვერსიებში საერთო თვისებებთან ერთად განსხვავებაც არის. მამუკას თხრობის თანმიმდევრობა სპარსულს უფრო უდგება. ზოგიერთი ეპიზოდები, რომლებიც გალექსილ რედაქციას პროზაულისაგან განასხვავებს, სამაგიეროდ ფირდოუსის „შაჰ ნამე“-სთან აახლოებს. მაგ:

1) როგორც შევნიშნეთ სპარსულით და მამუკას ცნობით ზააქს სამი ვაჟი ეხმანება. მამუკამ იცის, რომ ფრიდონს ძმები ჰყავს (69—3) ისე როგორც ეს სპარსულშია.¹ ეს ფაქტი ქართულ პროზაულ ვერსიისთვის უცნობია.

2) გალექსილი რედაქციის ეპიზოდი არამელ და ქარამელის შესახებ (54—55) მოკლედ ახლოს ვადმოგვეცემს სპარსულის შინაარსს.²

3) თავი—აქა ქუნდრუ ზააქს ფრიდონის ამბავს ეუბნების—იდენტიურია სპარსულთან—რასაკვირველია აქაც შემოკლებულია თხრობა.

— ეს ორი უკანასკნელი შემთხვევა პროზაული ვერსიისთვის უცხოა.

დასასრულ საკუთარი სახელები: არნავაზ შირინოზ (ზააქსის ცოლები). ფრანგი (სპ. فرنگ — ფრიდონის დედა) — იხმარება მხოლოდ გალექსილ რედაქციაში და სათანადო დადასტურების სპარსულში ჰპოულობს.

ყოველივე ეს კი ამქედანებს, რომ მამუკას წარმოდგენა ზააქიანზე მარტო პროზაული ვერსიით არ ამოიწურებოდა. აშკარაა მამუკა იცნობს სპარსულ „შაჰ-ნამე“-ს, შესაძლებელია თვით დედანშიც. ეს მომენტიც დამახასიათებელია მამუკას შრომისთვის. მისი თხრობა საერთოდ ზააქიანის კონსპექტია. თხზულება უაღრესი თავისებურებით არის დამუშავებული. ამბავში შემოტანილია ამ ეპიზოდისთვის სრულიად უცხო ტენდენცია (ერან-თურანის ბრძოლა). გალექსილია ქართულ პროზაულ ვერსიის მიხედვით, მაგრამ აქა-იქ ამ ვერსიისთვის უცხო ხაზებიც არის გავლებული. ჩვენ ასე წარმოგვიდგენია მამუკას „ზააქიანი“-ს შექმნა: მას ლევან დადიანის დავალებით გადაუწერია „შაჰნამე“-ს ქართული პროზაული ვერსია. ამავე დადიანის დავალებით გაუღექსავს ამ ვერსიის ერთი საყურადღებო ეპიზოდი. მამუკა აგრეთვე კარგად იცნობს „როსტომიანსაც“ (მას „შაჰნამე“-ს ამბები პირველ წყაროშიც აქვს გაცნობილი) ეს ერუ-

¹ სპ. ტ. 1, 90—1 ქვ.-თარ. 93—4.

² Mohl, I, 69—71.

³ Mohl, I, 103—105.



დიცია მამუკას მოუხმარია თავის საკუთარ შრომაში. ის არ დაკმაყოფილებულა მხოლოდ პროზაული ვერსიის უბრალო გალექსებით. ამ გალექსვის პროცესში თხრობა თავის ძირითად წყაროსთვის უცხო ელემენტებითაც შეუზავებია. მხოლოდ ერთი რამ კი უეჭვოა, მამუკას ძირითადი წყარო მის მიერვე გადაწერილი „შაჰ-ნამე“-ს ქართული პროზაული ვერსიაა¹ და ჩვენ ვერ გავიზიარებთ ბ.-ნ. ი. აბულაძის მოსაზრებას: „ეს კი აშკარაა, რომ ჩვენს ზაქიანსა და პროზით საამიანში ქველსხმობს არსებულ „შაჰ-ნამე“-ს პროზაულ ვერსიას, კერძოთ ს.ს.ს. ხელ. № 921, რომელსაც შეცდომით საამიანს უწოდებს მთხრობილს ზაქიანს ამბავს ერთი და იგივე შრომა არ უნდა ედვას საფუძვლად“-ო.²

3—მა პრ. კ. კეკელიძემ სავეტებით მართებულად აღნიშნა, რომ „მამუკას სპარსული დედნიდან კი არ გადმოუღია თავისი შრომა, არამედ ქართული პროზითი ვერსიიდან“³.

მხოლოდ პ-ლი პროფესორი ამ პროზაულ ვერსიად ცნობილ რედაქციას არ სთვლიდა⁴.

ასეთი ეჭვი ვასაგებიც იყო, რამდენადაც მამუკას ხელით გადაწერილ ვერსიის არსებობა უცნობი იყო. შინაარსი კი ამ ეჭვებს კიდევ უფრო აღრმავებდა. მაგ-ამ ახალმა ხელნაწერმა, ფეიქრობთ, საიდუმლოებას ფარდა ახადა და, სხვათაშორის, რეალური მნიშვნელობაც მისცა მამუკას მოწმობას: „საქართველოს ეს ამბავი დარჩომოდა ძველის-ძველი“-ო. მე-XVII ს. პირველი ნახევრის მწერალი „შაჰ-ნამე“-ს პროზაულ ვერსიას „ძველის-ძველს“ უწოდებს, რომლის გალექსვა ვერ მოუხერხებიათ კლასიკურისა და აღორძინების პერიოდის დასაწყისის მწერლებს.

II. ხოსრო თურმანიძის როლი „როსტომიანი“-ს შემუშავებაში.

არჩილ მეფის მოწმობით:

„როსტომიანი უთქომსო თურმანიძესა ხოსროსა,
სხვა წიგნი მაშინ ძვირობდა, დაუწერია მას როსა,
დიდის საქმისა უცოდნი, სჯერდება საქმეს მომცროსა,
და ახლა ცუდად ძვეს, მაგრამე მოიკმარების ზოგს დროსა“.⁵

აღბად ეს გარემოება გახდა მიზეზი, რომ „როსტომიანი“-ს გალექსვა მთლი-

¹ ამით, სხვათა შორის, ისიც ირკვევა, რომ „შაჰ-ნამე“-ს პროზაული ვერსიების გალექსვის პროცესში სამი ტიპური მიმართულება შექმნილა. პირველი ტიპის წარმომადგენელია უთრუთიანის ანუ ფრიდონიანის (ს.ს.ს. ხელნ. № 61) უცნობი გალექსვა, რომელიც თავის დედას მონურად ემორჩილება. მეორე ტიპის—ბარძიმ ვაჩნაძე—საერთოდ ახლოს დგას დედანთან, მაგრამ მას მონურად არ მისდევს და თავისებურებასაც იჩენს. მესამე—მამუკა მდივანი. ეს პროზაულ ვერსიას მხოლოდ ძირითად წყაროდ იყენებს და დამუშავებაში დიდ თავისუფლებას იჩენს.

² ვერსიები XI.
³ II, 173—ზახი ჩვენია.

⁴ იქვე.

⁵ E. Такайшвили, Описание рукоп. общ. гр. II, 138—139; არჩილ: ცხოვრება თეიმურაზისა პ. იოსელიანის გამოცემა გვ. 179.

ანად ხოსრო თურმანიძეს მიეწერებოდა.¹ ამ ტრადიციულ აზრში ექვი პირველად ნ. მარმა შეიტანა — მან თურმანიძესთან ერთად სხვა სახელებიც წამოაყენა.² ბ-ნი ექვე. თაყაიშვილი თავის „აღწერილობებში“ ანვითარებს მარის მოსაზრებას.³ ჩვენმა მასწავლებლებმა, პრ. კ. კეკელიძემ, სინათლე შეიტანა ხოსრო თურმანიძის პიროვნების გარკვევაში.⁴

ყველა მკვლევართ გამოსავალ წერტილათ აქვთ აღებული ლენინგრადის ყ. საჯარ. ბიბლ. ხელნ. № 15 (Собрание князя грузинского) და ყ. ქარ. შორის წ. კ. გ. ს. № 1580 ის იღენ ჭიურის ბოლოსიტყვაობა — სადაც „როსტომიანზე“ მომუშავეთა შესახებ ბიბლიოგრაფიული ცნობებია თავმოყრილი. ამ ბოლოსიტყვაობაში ხოსრო თურმანიძე ამბობს თავისი მუშაობის შესახებ:

„კურთხეულმც არის უფალი ყოვლის მპყრობელი ზესია, მე ხოსროვ თურმანიძემან ამბავი ვპოვე ესია, უცხო. ტურფა და ლამაზი — სპარსულად იყო ესია, და პატრონმან ჩემმან მიბრძანა, ქართულად სწერე ესია. სპანდიერ ბარზუს ამბავი აწ სრულად გაიგონების, მტერი ორგული ყოველი მეფესამც დაელონების, ცხრაას სამოცდა თორმეტსა ლექსს ხოსროვ მოეგონების, და ვინც ნახოთ, ჩემსა ლოცვისა ნურაგინ დაელონების. სხვაც ბევრი აკლდა ამ წიგნსა პირველად თარგმანულთაგან, პატრონი ჩემი სვიმონ, სვიანმცა არის სულთაგან, მათსაცა ძეთა მიხვდების, რომე მოიბრუნ მტერთაგან, და ძმათა მათი წყალობა ნუ მოეშლების ხმელთაგან“.⁵

ამ მოწმობიდან აშკარად ირკვევა ხოსრო თურმანიძის ერთგვარი რედაქტორული მუშაობა. მას ხელთ ჰქონია „შაჰნამე“-ს სპარსული დედანი. უკანასკნელი პატრონის, სვიმონის, დავალებით შეუწამებია მის დროს არსებულ ქართული თარგმანის, თუ მისი ვალექსილი რედაქციისთვის — ამ **შეწამების** შედეგია ის ფაქტი. რომ „სპანდიერ ბარზუს ამბავი აწ სრულად გაიგონების ე. ი. მის დრომდე ეს ამბავი ყოფილა, მხოლოდ ნაკლულად. ხოსროს კი შეუფსია თუ სრულად გადმოუღია. სპარსულ დედანთან შეწამების პროცესში ხოსროს სხვა ბევრი ნაკლიც შეუნიშნავს „სხვაც ბევრი აკლდა ამ წიგნსა პირველად თარგმანულთა-

¹ ნ. მარი „როსტომიანი“ ორიოდვე სიტყვა „შაჰ-ნამე“-ს ქართული თარგმანის შესახებ „ივერია“ 1891 წ. № 132; А. Хаханов: Очерки по истор. груз. слов. III, 116; Такайшвили, Оп. 1, 351.

² „მცირე უწყებაჲ ქართველთა მწერალთათვის“ ვადმოგვეცემს — „თურმანიძე ხოსრო, ამაჲს ვალექსა როსტომიანი და გარდმოიღო სპარსთა მეფეთა ანბავი“ („მეფელი საქართველო“ I, განყ. III, გვ. 29) — როგორც ჩანს ესეც როსტომიანის ერთადერთ ავტორად თურმანიძეს იცნობს. რაც შეეხება „სპარსთა მეფეთა ანბავს“ — ე. ი. „შაჰ-ნამე“-ს ისტორიულ ნაწილს — ის ქართულად, აღორძინების წანაში მაინც, ნათარგმნი არ ყოფილა.

³ აღ. ხაზანაშვილმა გაიმეორა ნ. მარის მოსაზრება, თუმცა მარის წერილი მას წყაროდ არ დაუსახებლებია.

⁴ იხ. Опис. I, 347—378.

⁵ ქართ. ლიტ. ისტ. II, 180—182.

⁶ ქ. შ. წ. კ. გ. სახ. ხელ. № 1580 — ბოლოსიტყვაობა; Такайшвили. Опис. I, 351—352.



გან „-ო. მხოლოდ ამათი შეეცების შესახებ არაფერს გვეუბნება - თუმცა ღვაწლი კონკრეტულადაც განუსაზღვრავს და გვამცნებს, რომ იგი „ცხრაას სამოცდათორმეტი ლექსია“ (972). ხოსროვის მოწმობაში ძირითადი ღირებულებისაა ცნობა:

„სპანდიერ ბარზუს ამბავი აწ სრულად გაიგონების“

ნიკოლოზ მარს გარკვევით არ აქვს ნათქვამი, თუ რას წარმოადგენს ეს „სპანდიერ ბარზუს ამბავი“ - თუმცა მის საერთო დასკვნებიდან ეს აშკარა ხდება. თურმანიძის წინამორბედ გამლექსავს, საბაშვილს, როსტომიანი ლორასპამდის მიუყვანიაო, ამბობს მარი და „მომავალ დამამთავრებელისთვის წინაღვე დაულოცავს სული“¹ და განაგრძობს „ოლონდ გაგრძელებით კი ვაფგრძელებია საქმე თურმანიძეს და სპანდიერ ბარზუს ამბავი **სრულ** (ხაზი ავტორისაა) გასაგონად შეუქნია ქართულად. მაშ ეგ როსტომიანი დაუწყია საბაშვილს სოგრატიძეს და შეუქნია თურმანიძეს“ — და იქვე საყურადღებო კითხვასაც სვამს: “და რედაქცია ბოლონდელს შემავსებელს ეკუთვნის? დიად, შესაძლებელია, მაგრამ სუფევს საფიქრებელი საბუთი, რომ მარტო ხოსრო არ არის შემავსებელი ძველის ნათარგმნის და რედაქცია ბოლონდელს, ხოსროვის შემდეგ შემავსებელს, ეკუთვნის”.² ერთი რამ ცხადია ნ. მარის მსჯელობიდან. ზაალის შობიდან ლორასპამდის — ეკუთვნის საბაშვილს. ლორასპამდის ბოლომდე — ხოსრო თურმანიძეს. დასაშვებია მესამე პირის არსებობა. უკანასკნელს წმინდა რედაქტორულ მუშაობას თუ მიკაწერო.

ალ. ხანაშვილის აზრით: „Хосро Турманидзе впервые переводит рассказ об Исфендиаре“-და განაგრძობს: но не только с Исфендиаром впервые знакомит ррузинских читателей, но исправляет и дополняет прежний перевод”.³

ბ-ნ ექ. თაყაიშვილს გარკვეული არ აქვს „სპანდიერ ბარზუ“-ს ამბავის მნიშვნელობა. ის საერთოდ საკითხს სკეპტიკურად უყურებს და, არსებული მასალით, შესაძლებლად არ მიაჩნია როსტომიანზე მომუშავეთა პირების წილის განსაზღვრა.⁴

პრ. კ. კეკელიძის გამოკვლევით — თურმანიძის შრომა შეიცავდა „სპანდიერ ბარზუს ამბავს უფრო ვრცლად და სრულად — ვიდრე ის წინათ იყო ქართულს ენაზე“.⁵

სამწუხაროდ არც ერთ მკვლევარს ფრჩხილები გახსნილი არ აქვს და არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რას უნდა გვულისხმობდეთ „სპანდიერ ბარზუ“-ში. მხოლოდ აკ. მარი და პრ. კ. კეკელიძე გარკვევით მიაწერენ ხოსრო თურმანიძეს როსტომიანს ლორასპამდის ბოლომდე. სპანდიერი ან სპანდიერ⁶ რვალად ზედწოდებული ირანის გმირული წარსულის უკანასკნელი ტეხილია. ფირდოუსის თხზულებაში გმირული პათოსი უმაღლეს წერტილამდე სწორედ სპანდიასტის ეპი-

¹ „ივერია“ 1891, № 133.

² იქვე.

³ „Очерки“ III, 114.

⁴ Опис. I, 351.

⁵ II, 184.

⁶ ყველაზე სწორია „ბაამიანი“-ს ერთ შემთხვევაში ხმარებული წაკითხვა „ასფანდიერ“ (ყ. სიძველეთა მუხ. ხელ. № 999 გვ. 52 A).



ზოდში აღის. ხუთასი წლის ბებერი ფალავანი როსტომ და ახლად მოწიფული „ჯეჰანდარი“ ერთმანეთს შეეხვით. ამ გიგანტების დაჯახებით არსებითად უკანასკნელი წერტილი ესმის „მეფეთა წიგნი“-ს-ეპიურ ნაწილს. ამიტომ ბუნებრივად იყო, რომ ქართველ გამლექსავს ვრცელ თხრობიდან (ლორასპიდან—ბოლომდე) მხოლოდ სპანდიატის სახელი აღენიშნა. „სპანდიატ-ბარზუ“-ში ორი პირია ნაგულისხმევი—სპანდიატ და ბარზუ. ბარზუც მეტად მსხვილი პიროვნებაა „შაჰნამე“-ში¹. ბარზუ შეიძლება მთელი ეპოპეის მესამე გმირად მივიჩნიოთ (პარველი როსტომ, შემდეგ სპანდიატ, შემდეგ ბარზუ). ქართულ „როსტომიან“-ში ბარზუს ეპიზოდს შედარებით მცირე ადგილი უჭირავს. ის თურანელთა ბანაკის ფალავანია და პირველ ბრძოლაშივე დაამარცხებს როსტომს-მხარს მოსტებს მას. უდრეკი როსტომ იხსტინკტიურად გრძნობს დამარცხებას ბარზუს დანახვაზე-და ამ ფოლადის კაცს „შიშით გული აუთრთოლდა“ ან „როსტომს გული შიშითა ნაკვეთ-ნაკვეთად შექნოდა“.² როცა როსტომ მზაკვრობით დაცემულ გმირს ყელში დანას დააბჯენს—მაშინ გამოირკვევა, რომ ის როსტომის თესლი ყოფილა. ვერაგულად დაღუპულის ზურაბის-ძე. როსტომ მას სიხარულით მიიღებს და თავის ოჯახის ღირსეულ წევრის პატივს დებს.

საყურადღებოა, რომ შემდეგ ბარზუ ჩვენ ვერსიებში ერთხელაც კი ხსენებული არაა. არც მაშინ, როცა სისტანის მთელი მოდგმის აღმოსაფხვრელად ილაშქრებენ და ბარზუს ძალ-ღონე ასე საკირთებას წარმოადგენს. მაგრამ იგი რაღაც შექანიკურად არის ჩაქსოვილი როსტომიანში. როგორც ეტყობა შემდეგი დროის დანართია და, როგორც ასეთი, ბუნებრივად არის, რომ მის კვალს აშბების შემდეგ მსვლელობაში ვეღარ ვპოულობთ. ბარზუ შემოხვევით გამოჩნდა მოღვაწეობის ასპარეზზე—და ადრევე მოსწყდება ამ ასპარეზს³.

თავისდათავად ბარზუ იმდენად მსხვილი მოვლენაა „შაჰ-ნამე“-ში, რომ მის გარშემო განსაკუთრებული ინტერესი ყოფილა გაღვივებული სპარსულ ლიტერატურაში. „შაჰ-ნამე“-ს გამგრძელებელ-წამმაძველებს ამის გარშემო ორი სპეციალური ეპიური თხზულებაც შეუქმნიათ. ერთია უზარმაზარი მოცულობის, დაახლოებით 68000 წყვილადი ლექსისგან შემდგარი „ბურზო-ნამე“⁴.

—ეს თხზულება, რომელიც მოცულობით „შაჰ-ნამე“-ზედაც აღმატებული ყოფილა („შაჰნამე“—დაახლოებით 60.000 ლექსისგან შესდგება). პრ. Nöldeke-ს სიტყვით თავის პროტოტიპთან ახლოს მდგარა (გვ. 209—210). მეორე თხზულებაა „შაჰრიარ-ნამე“—ბარზუს შვილის თავგადასავალი. „აშკარაა ბარზუს ეპიზოდი ნნიშენლოვანი ფაქტორი ყოფილა „შაჰნამე“-სთვის, საერთოდ, და როსტომი-

¹ შეად. Mohl: le livre des rois გვ. LXIV.

² ს.ს.ს. ხელნ. № 72 გვ. 415.

³ „ბაჰამიანი“ ალბად გადამწერის დაუდევრობით ორჯერ „ბარზინ“-ის მაგიერ შეცდომით „ბარზუ“ სწერია (ყ. სიძველეთა მუხ. ხელ. № 999 გვ. 59B; 67B).

⁴ Theodor Nöldeke „Das iranische Nationalepos“ Grundriss der iranischen Philologie II Band s. 209; Paul Horn: Geschichte der persischen Literatur II Ausgabe s. 112;—ან „ბარზუ ნამე“ (Mohl: le livre des rois LV, LXI, LXIII განსაკუთრებით: LXIV—LXVII; Hermann Ethé, Grundriss... II, s. 234; А. Крыский: История Персии и ея Литературы, изд. предвар. ст. 22.

⁵ Nöldeke s. 210; Ethé s. 234.



ანისთვის, კერძოდ. საყურადღებოა ისიც, რომ „შაჰნამე“-ში სპანდიატ და ბარზუ მთავარი ფალანგები როსტომის შემდეგ. ორივეს ბედმა პილოტანთან შებრძოლება არგუნა. თუ არ ხაკეური ხერხის მოშველება—ორთავესგან როსტომ მარცხდება. ამ მომენტში ჩვენი გმირები ერთი ღირებულების დონეზე დგანან. ბუნებრივია, რომ „ბარზუ“-ს დანაკლისი „შაჰ-ნამე“-ს ქართულ ვერსიას თავის მთლიან შთაბეჭდილებას დაუკარგავდა. ამიტომაც ქართველ რედაქტორს, რომელსაც ჩვენი ვერსიის სპარსულ დედანთან შეწამება მოუხდენია, პირველად თვალში ბარზუს ამბავის ნაკულლოვანება ეცემოდა. მასაც განუზრახავს ამ ხარვეზის ამოვსება. შედეგად ჩვენ მივიღეთ რედაქტორის, თუ გამლექსავის, ამ შემთხვევაში ხოსრო თუმანიძის, კეთილსინდისიერი მოწმობა „სპანდიერ ბარზუს ამბავი აწ სრულად გაიგონების“. მგონი ცხადი ხდება, რომ „სპანდიერ-ბარზუ“—ერთი და იგივე პიროვნება არაა. აქ გამლექსავს სახეში ყავს ორი, სულ სხვა და სხვა, თანაბარი ღირებულების მქონე გმირის სახელი. მაშასადამე ხოსრო თუმანიძეს ეკუთვნის „სპანდიერ ბარზუს“ ამბავის სრულყოფა. მაგრამ შეიძლება ამ დებულების კიდევ უფრო გაფართოება. ხოსრო თუმანიძე ბარზუს ერთადერთი გადმომღები უნდა იყოს. ეს ეპიზოდი მოთავსებულია „შაჰ-ნამე“-ს ქართული ვერსიების იმ ნაწილში, რომლის ვალექსავა სერაპიონ სოგრატიძე საბაშვილს მიეწერება. ეს გარემოება საგულგებელია იმ მხრით, რომ აქი ხოსრო თუმანიძემ გულწრფელად აღიარა „სხვაც ბევრი აკლდა ამ წიგნსა პირველად თარგმანულთაგან“ აღნიშნა რა სპანდიერ ბარზუს ამბავის უსრულობა. „ბარზუს“ ეპიზოდით იმის გათვალისწინებაც შეიძლება, თუ რა ხასიათის იყო ხოსროს მუშაობა შემწნულ ხარვეზების ამოსავსებად. როგორც ჩანს ის უცვლელად სტოვებდა მის დროს ქართულად არსებულ ტექსტს, მხოლოდ გამოტოვებულ ეპიზოდებს (რომლებიც მისი აზრით უფრო მეტი ყურადღების ღირსი იყო) თითონ სთარგმნიდა ლექსით.

„ბარზუს“ ეპიზოდი—არა თუ თავის შინაარსით მექანიკურად არის ჩაკეტილი როსტომიანის ქართულ ვერსიაში—არამედ ის მეტად თავისებურობას წარმოადგენს თავისი სტილით. სამწუხაროდ ეს თავისებურება სრულიად ხოსრო თუმანიძის სასარგებლოდ არ ლაპარაკობს. თვით ბოლოსიტყვაობის რამდენიმე სტრიქონშიდაც აღბეჭდილია ხოსრო თუმანიძის ხელში ქართული სიტყვის სივალახე. ბარზუს ამბავში ეს სივალახე უაღრესობამდე სრულქმნილია. ეპიზოდი საკმაოდ მოზრდილია. შესდგება 373 შაირისაგან (ოთხ ტაეპიანი ლექსი)¹. მაგრამ იშვიათად რომ აქ ერთი, შედარებით მაინც, გამართლებული შაირი ნახოთ. ეპიზოდი მთლიანად აღებული მეტად უშნო, უღაზათო—ენით არის აწყობილი. გამლექსავი ცდილობს შოთას შაირით მეტყველებას, მაგრამ მეტად მახინჯი, კოჭლი რითმებით დალაგებული სტრიქონებია. არავითარი პოეტური შემოქმედების ნიშან-წყალი აქ არ ჩანს. სანიმუშოდ შეიძლება აქ მოვიყვანოთ რამდენიმე შაირი:

„გოსტამ კაბა ბარწინისა მასვე წამსა ტანს ჩაიცვა
შეეკაზმა, იმას ქვეშე ბაბრისა ტყავი ჩაიცვა

¹ ს.ს.ს. ხელ. № 72 გვ. 402—456; წ. კ. № 406 გვ. 549—623.



ლომმან ვით ქაიანური მშვილდი მკლავსა უკუ იცვა

ღ ას ორმოცდათი ისარი სარტყელშივა უკუ ირქვა.

კელთ ზროხის სახე ლახტი აქვს, კელმწიფესა მოახსენა
შენის ტახტის ფეხთ მტვერნი ვართ-ლეთისაგან გაქვს ბედი შენა
თქვენის ტახტისას ვეცდებით ცათამღის ავამალღუნა

ღ არ დახოცილან თქვენს წინა მალე მოვასხამ მათ ენა.

ესე თქვეს და იგ ორნივე ვითა ქარნი წამოვიდეს
შუბი-დროშა მძას შევედრა, როსტომ გოსტამ წამოვიდეს
ბნელს ლამესა გზად და უგზოდ ვითა ლომნი იპაროდეს

ღ ამა წესითა ეძებდეს, ლაშქართა შეყერბოდეს.

უკუნს ლამესა შუალამ კელმწიფის საჯდომს პოვებდეს
ზოგთ ეძინა, ზოგნი ისხდეს, ხოშ გუარსა ღვინოს სმიდეს
თურანელნი თავადებნი კელმწიფესთან ტახტზედ ისხდეს

ღ ერთსა მხარსა შედა¹ უჯდა, სხვასა ფირან—ბარზუ უსხდეს.“

(№ 72 გვ. 406; № 406 გვ. 555).

ბარზუმ უთხრა ფალავანო ჭკვიანო ომ გარდისულო
რასა ვაკულისებულხარ? გული გაქვს შენ დამწვარიო

მკლავ-კისერს რას მინდობიხარ? ცივს სიტყვასა მეტყვიო,

ღ ზაალის შვილი არა ხარ, გივი არცა გოდერძიანო.

ცეცხლი არა ხარ მცხებარე, მე კაქაჟი რომე დამწვას,
უყაბი არა ხარ—მე ბუზი. შენ ფრენა არ შეგეძლოს
ჯამნახულს უნდა ზენნი შენგან ისწავლოს

ღ შენ პირს ანძალი ამოგდის, ეს საქმე როდის გეკადროს.

(№ 72. გვ. 416 ; № 406 გვ. 569).

კვლავ ღვთისაგან უიმედოდ. ჩემი გული არ ყოფილა უიმედოდ
ქუმის და ხაყანის ომი ამ ომთან მჩნდა სათამაშოდ

მე მრავალჯერ თურანელნი გამილია სათამაშოდ

ღ მას კრმალიც ვკარ, ლახტიცა ვერ დაეკარე საავნოდ.

(№ 72 გვ. 418; № 406 გვ. 571.)

როგორც ჩანს ხოსრო თურმანიძის ენა გაცილებით დაბლა დგას საბაშვი-
ლის ენაზედ².

¹ აფრასიობის შვილია.

² ამის შემდეგ ერთგვარ გაუგებრობად უნდა ჩაითვალოს, სხვა მხრით, „შაჰნამე“-ს ქარ-
თული ვერსიების საკითხში ფრიად კომპეტენტური პირის ბ-ნ ი. აბულაძის მსჯელობა „როს-
ტომიანის“ ერთი ეპიზოდის შესახებ: „უნდა ითქვას, რომ ამ ადგილის ლექსები მეტის მეტად
დუსტირია, რითმებიც ნაძალადეგია, ზშირად ლექსთ-წყობაც ირღვევა. ეს მელექსე სხვა პირი
უნდა იყოს, რადგან ხოსრო თურმანიძის თანა მოხდენილი ლექსი ამას დია-
ლაც არ აქვს“ (ხაზი ჩვენია) (იხ. „ვერსიები“ გვ. 505 შენ. 8). ბ-ნ ი. აბულაძეს აქ თურმანი-
ძე საუფიქროსო სტილის ნიმუშად ჟავს წარმოდგენილი. თანაც მსჯელობა შეეხება იმ ნაწილს,
რომელიც საბაშვილს მიეწერება—ჩანს ბ-ნ ი. აბულაძე უგულვებელ ჰყოფს უკანასკნელის (საბა-
შვილის) ლეაწლს „როსტომიანის“ შემუსუვეებაში და მას მთლიანად თურმანიძეს მიაკუთვნებს.



რა უნდა მიეკუთვნოს ხოსრო თურმანიძეს გარდა ბარზუს ეპიზოდისა? ცნობილ ბოლოსიტყვაობაში ხოსრო აცხადებს:

„ცხრაას სამოცდა თორმეტსა ლექსს ხოსროვ მოეგონების“.

აქ ლექსში, რასაკვირველია, უნდა ვიგულისხმოთ ხანა (ოთხტაეპოვენი შაი-რი). ბარზუს ეპიზოდი კი შესდგება მხოლოდ 373 ხანიდან. ჩაურთავს თუ არა თურმანიძეს ძველ თარგმანში კიდევ სხვა გამორჩენილი ეპიზოდი—ძნელი სათქმელია. მართალია როსტომიანში ხშირად შეხედვებით ისეთ ადგილებს, რომლებიც ერთგვარ თავისებურებას წარმოადგენს სტილის თვალსაზრისით. ამ მხრით მდიდარ მასალას იძლევა ბ-ნ ი. აბულაძის „ვერსიები“, სადაც გამოცემული ტექსტი სხვადასხვა ვარიანტებით არის შევსებული. მაგ. თეთრი პილოს ეპიზოდი („აქა როსტომისაგან თეთრი პილოსი მოკულა“) [ხანები 1839—1878 ე. ი. სულ 40 ხანა]. ბ-ნმა ი. აბულაძემ თავის დროზე ყურადღება მიაქცია ამ ეპიზოდის სტილის სისუსტეს. ის საერთო თხზულებიდან გამოყო და შემდეგი დროის ჩანართად ცნო—ან უკეთ სხვა ავტორს მიაწერა (სხვათა შორის ამ ეპიზოდს შეეხებოდა ჩვენ მიერ შენიშვნაში ამოწერილი ციტატა ხოსრო თურმანიძის ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ¹).

მართლაც ენის თვალსაზრისით „თეთრი პილო“ს ეპიზოდი მეტად უხეშია და ამით საერთო წერტილში ხედება ბარზუს ეპიზოდს. მაგრამ ჩვენ შესაძლებლად არ მიგვიჩნია პირველის (თეთრი პილოს ეპიზოდი) თურმანიძისთვის მიწერა. მართალია თურმანიძე გადაჭრით აცხადებს „სხვაც ბევრი აკლდა ამ წიგნსა პირველად თარგმანულთაგან“ო. მაგრამ თვით „სპანდიერ-ბარზუს“ სრულქმნა უტვირთია. ხოსრო თურმანიძე, რომელიც იმდენად ზუსტია თავის მოწმობაში, რომ ხანების რაოდენობაც კი აქვს ჩამოთვლილი, იმის აღნიშვნასაც მოახერხებდა თუ სხვა რაიმე ეპიზოდი გადმოეცოდა.

როსტომიანზე მრავალ პირთ უმუშავიათ, რომელთაც ესა თუ ის თავისებურება შეუტანიათ არსებულ ტექსტში. მაგალითად დღემდინ უჯულგებელ ყოფილი ვინმე ერისთვის შვილი, რომელსაც, ვინ იცის, რა წილი მიუძღვის როსტომიანში. ერთ ძველ კატალოგში, რომელიც 1810 წელსაა შედგენილი, მოხსენებულია „როსტომიანი, სპარსულიდან ნათარგმნი (ნათარგმნი ერისთვის შვილისაგან როსტომიანი—შაჰნამა)“ ქვემოლ: „სამიანი, სპარსულიდან ნათარგმნი; ჟორუთიანი, სპარსულიდან ნათარგმნი; ყარამანიანი—დიდი ზღაპრების ისტორია; სპარსულიდან ნათარგმნი დავით სარდრის ორბელიანისგან“². შესაძლებელია ზოგიერთი ჩანართები ამ ერისთვის შვილს (ან სხვა ვინმეს) ეკუთვნოდეს. ყოველ შემთხვევაში ხოსრო თურმანიძეს საკმაოდ განსაზღვრული აქვს თავის მონაწილეობის სახე.

¹ იხ. „ვერსიები“ გვ. 504 შენ. 8; 505 შენ.-8.

² Цагарели: Сведения о памяти груз. письменности III, 258; აღ. ხანანაშვილი ამ მოწმობას იცნობს, მაგრამ მისთვის მაინცდამაინც ყურადღება არ მიუქცევია და მხოლოდ შენიშვნაში მიუთითებს აღ. ცაგარელის დასახელებულ თხზულებაზე („очерки“ III, გვ. 113 შენ. 3). ჩვენ მოხსენების გარშემო გამართულ სჯა-ბაასში ჩვენმა მასწავლებელმა, პრ. კ. კვეციანი, სწავლებით სამართლიანად შენიშნა რომ, აღნიშნული კატალოგი საერთოდ ნაკლები ნდობის ღირსია.



ბარზუს გარდა თურმანიძე იხსენიებს სპანდიატს. უკანასკნელის ამბავიც მას სრულ უყვია „სპანდიერ ბარზუს ამბავი აწ სრულად გაიგონების“ო. თურმანიძეს ვერ მიეწეროთ მთელ ამბავს, რომელიც ბარზუდან როსტომიანის დასასრულამდე გვაქვს: ჯერ ერთი, როგორც შევნიშნეთ, თვით ბარზუს ეპიზოდი საბაშვილის ვალექსილ ამბებშია ჩართული. საბაშვილს ვაულებქსავს როსტომიანი ლორასპამდე იმავე ბოლოსიტყვაობის ცნობით, სადაც თურმანიძის ლიტერატურული მოღვაწეობაა დამოწმებული. თანაც მოკულობით ეს ამბები თურმანიძის 972 ხანას ვაცილებით აღემატება. თურმანიძის მოღვაწეობა უნდა დაწყებულიყო ლორასპიდან საბაშვილის შრომის უშუალო ვაგრძელებად, როგორც ეს უკვე მიღებულია ჩვენ მეცნიერებაში¹. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს 1) თხზულების ენა და 2) ბოლოსიტყვაობის მოწმობა 972 ლექსის შესახებ. მართლაც ამბები ლორასპიდან—როსტომიანის დასასრულამდე შესდგება, ჩვენი ათვლით², 536 ხანისაგან + ბარზუს ეპიზოდი — 373 = რაც დაახლოებით სწორედ თურმანიძის ციფრს იძლევა (სხვათა შორის სიმბტომიტიურია ბარზუს ეპიზოდის და თურმანიძის მოწმობის ციფრების დაპირისპირებაც = 373 — 972).

ენაც როსტომიანის მეორე ნაწილისა (ლორასპიდან დაწყებული) თვალსაჩინოდ განსხვავდება კერძოდ საბაშვილის სტილისაგან. აქაც იგივე მდგომარეობა გვაქვს, რაც ბარზუს ეპიზოდში. მეტად ვაგლახი, სუსტი რითმები, ფრაზების ნაძალადევი განწყობა. საერთოდ სრული მოუხეშაობა და მოუქნელობა. ავტორს (უკეთ გამლექსავს) სრულიად არ ემორჩილება კალამი. სტრიქონები სიტყვათა უბანსო შეკოწიწების შთაბეჭდილებას სტოვებს. მხოლოდ იშვიათ გამონაკლისის სახით თუ შეხვდებით რამდენადმე გამართლებულ ადგილებს (მაგ. გოსტაშაბის და ქეთევანის რომანიული ეპიზოდი — საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენ მლექსავებს რომანიული ეპიზოდები ყველას უფრო ენერჯებათ). ამ მხრით ბარზუს ეპიზოდის და ამ ამბების გამლექსავის იგივეობა უუქვო ხდება.

ამავე მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს ბიბლიოგრაფიული ცნობის ის ადგილი, სადაც ნათქვამია: „პატრონმან ჩემმა მიბრძანა, ქართულად სწერე ესია.“ საფიქრებელია, რომ ხოსროს პატრონი, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი, არ დაავალებდა როსტომიანის თარგმანში, აქა-იქ, თუ გინდ მნიშვნელოვან, გამოტოვებულ ადგილებს აღდგენას. ჩვეულებრივ მკითხველისათვის ეს შეუმჩნეველიც დარჩებოდა. მხოლოდ განსაკუთრებით დაინტერესებულ პირს თუ ეხამუშებოდა მაგ. ბარზუს ან თეთრი პილოს ეპიზოდის ნაკლებობა. ხოსროვის პატრონი ალბად მელექსეს რაიმე მთლიან ნაწილის დამუშავებას დაავალებდა. როსტომიანისთვის სწორედ დამახასიათებელია ძირითადი ნაწილის — სპანდიატის და მისი მომდევნო ამბების ნაკლებობა. ეს ნაკლი თურმანიძის წინამორბედმა გამლექსავმა, საბაშვილმა, ძლიერად იგრძნო. თავის თხზულების შესავალში საბაშვილი ერთგვარ ბოდიშს იხდის სპანდიატის წინაშე, რომ მისი ვალექსავის სავალება არ მიეცა:

¹ ნ. შარი „ივერია“ 1891 წ. № 133; პრ. კ. კეკელიძე II, 180.

² ვსარგებლობდით ვოუ. სიმველეთა მუხუთმის ხელ. № 858, ნაკლები ბოლო შევაცეთ წ. ბ. ს. ხელ. № 1580 (ბ-ნ კ. კეკელიძეს 624 ლექსი აქვს აღნიშნული — II, 181.)



ქაიხოსრომდი გაელექსავ, მღვთით ვიტყვი რა სავალია.

და ნეტარ რა გიყო¹ სპანდიარ—სოფელი წარმავალია.²

თანაც ნაკლულის გამგრძელებლისთვის გზა წინასწარ დალოცვილი იყო „რაც აკლია, ვინც ათაოთ, სამოთხე ხედეს სულსა თქვენსა“. (Tak. op. 1,353). ამიტომაც ბუნებრივი იყო სვიმეონს—თურმანიძისთვის სპანდიტის ამბების გა-
ლექსვა დაევალება.

ამრიგად ყოველი მოსაზრება იმის სასარგებლოდ დაპარაკობს, რომ სპან-
დიტის ამბავი თურმანიძეს გაულექსავს. მასვე ეკუთვნის ბარზუს ეპიზოდის ვად-
მოლება. ამაში გამოიხატება მისი ღვაწლი „როსტომიანი“-ს შემუშავებაში.

ხოსრო თურმანიძის მოღვაწეობის დროის გასარკვევად უნდა გათვალის-
წინებულ იქნას იმ სვიმეონის ვინაობა, რომლის დავალებითაც უშრომია მელექ-
სეს. ქართლ-კახეთის ისტორიაში ცნობილია სამი მეფე ამ სახელით, პირველი
„მეფეთ მეფე“ სვიმიონ³, რომელიც ქართლს განაგებდა 1558—1600 წლებში.
მეორე სვიმიონ ცნობილია 1619—1629 წ. შესამე ვახტანგ VI ძმა, რომელიც
„დაუტევა [ვახტანგ] გამგედ ქართლისა“⁴.

პრ. კ. კეკელიძის გამოკვლევით⁵ თურმანიძის მოწმობა:

„პატრონი ჩემი სვიმიონ სვიანშვა არის სულთაგან,
მათსამცა ძეთა მიხედების, რომე მოიჭჳმონ მტერთაგან
ძმათა მათი წყალობა ნუ მოეშლების მტერთაგან“—უფრო უდგება

პირველ, სახელოვან მეფე, სვიმიონს. ამან დიდათ ისახელა თავი ოსმალთა წი-
ნაალმდეგ ბრძოლაში. 1600 წელს ჩაუვარდა მათ ხელში ტყვედ. სვიმეონს დაწა-
ორი ძე: ვიორგი და ვახტანგ⁶. ამ უკანასკნელთ უნდა შეეხებოდესო, ამბობს
პროფესორი, ხოსროს დალოცვა: ძმებს მამის წყალობა არ მოეშალოს. მეორე
სვიმიონს (1619--1629) ჩვენს ისტორიაში რაიმე თვალსაჩინო კვალი არ
დაუტოვებია (თუმცა ამისდამიუხედავათ შეიძლება პოეტს მისთვის „მორჭ-
მული“ და „სვიანი“ ეწოდებია). ამის შეილებს შესახებ რაიმე ცნობა არ გვაქვს.
შესაძლებელი კია, რომ ასეთები ყოფილიყვენ. ქართლის ცხოვრებაში შემთხვე-
ვით აღნიშნულია ვახტანგ, რომელიც მეორე სვიმიონის ძე უნდა ყოფილიყო⁷.
ვახუშტ ბატონიშვილის ვადმოცემით—ამ ვახტანგისძე ლუარსაბ როსტომ მეფემ
(1634--1658) იშვილა და მემკვიდრედ გამოაცხადა. მეორე ისტორიკოსის, ფარ-
სადან გორგიჯანიძის, მოწმობით ლუარსაბ თეიმურაზ მირზას ძეა (ე. ი. ვახტან-
გის შვილისშვილი) „ლუარსაბ თავისის ბიძის ვახტანგის შვილის თეიმურაზ მირ-
ზას შვილი იყო“⁸.

¹ ეს წაკითხვა ჩვენ სწორად მიგვაჩნია. სხვა ხელნაწერებში უშინაარსო წაკითხვაა „რა გიყო სპანდიარ“.

² წ. კ. ს. ხელ. № 1580 შესავალი; Tak. op. 1,350.

³ ქარ. ცხოვ. II, 297.

⁴ ქ. ც. II, 77.

⁵ იბ. II, 180—181.

⁶ ქ. ც. II, 33.

⁷ ქ. ც. II, 49.

⁸ ქ. ც. II, 531.



მეფეთ—მეფე სვიმეონის დროს (1558—1600), როგორც ჩანს, თურმანიძენი ისტორიულ ასპარეზზე წინ წაწეულან და მეფის ერთგულთა რიცხვში ითვლებიან. ერთ მათგანს ვინმე სულხან თურმანიძეს სვიმეონ მეფემ გორის მოურაობა უბოძა¹. საფიქრებელია, რომ ჩვენი მელექსეც ამავე მეფის ერთ-ერთი ერთგულთაგანი ყოფილიყო. მეფემ მას ცოდნისა და გამოცდილების შესაფერი საქმე მიაწოდო. ამრიგად ჩვენ სინამდვილესთან უფრო ახლოდ მიგვაჩნია, პრ. კ. კეკელიძის მოსაზრების თანახმად, ხოსრო თურმანიძის მოღვაწეობა სვიმეონ მეფეთმეფეს დაუკავშიროთ. მაშინ ხოსრო მე-XVI საუკუნის მეორე ნახევრის მწერალი გამოდის².

III. „შაჰ-ნამე“-ს პროზაული ვერსიის ახალი ვარიანტი.

(წინასწარი ცნობები).

დღემდის ცნობილი „შაჰ-ნამე“-ს ქართული პროზაული ვერსიები—საფუძვლად დასდებია ამავე თხზულების გალექსილ რედაქციებს. ასეთი გალექსვის პროცესი უნდა დასრულებულიყო მე-XVII ს-ში, მაგრამ, როგორც ირკვევა—ამით არ ამოწურულა ქართული მწერლობის „შაჰ-ნამე“-სადმი ყურადღება. ეს ერთი უპოპულიარესი და უსაყვარლესი თხზულებაა ჩვენი ხალხისთვის. შემთხვევითი კი არაა ის ბოლოსიტყვაობა, რომელიც რიტორული ანდერძის სახით დართული აქვს „როსტომიანი“-ს ერთ-ერთ ნუსხას:

„ქი მკითხველნო! ამ წიგნს ნუ დასცინებთ, თუმცა ვინ გულისხმიერად წაიკითხოთ, ჰპოოთმცა ამას შინა ძველი ზნეობა და ზოგადი ჩვეულება ძველთა ქართველთა და გმირულნი მოთხრობანი, რომლითაცა ძველნი ქართველნი შთამომავლობათა, ანდაზად დაუდებდიან და ამით მათ შორის სიმხნესა და ახოვანსა სულსა განაღვიძებდიან და სასიბრძნოცა მრავალი იპოება“³.

„შაჰ-ნამე“-სადმი გამძაფრებული ინტერესით თუ აიხსნება ის ფაქტი, რომ ქართულ ვერსიათა გამოქართულება—გალექსვის პროცესის დასრულების შემდეგ—კვლავ იქმნება სრულიად ახალი დამოუკიდებელი პროზაული ვერსია—რომელიც განცალკევებულად დგას, როგორც თავის შინაარსით, ისე თავისი ფორმით და რომელიც დღემდის ქართული მწერლობის ისტორიისთვის უცნობი რჩებოდა.

¹ კ. კ. II, 294.

² ვინმე თავი თურმანიძე იხსენიება მეფე ლუარსაბის (1605—1616) დროს. ქართლის ცხოვრებით ცნობილია ვინმე ხოსრო თურმანიძეც—ის მეფე კონსტანტინეს დროს (1469—1505) თათრების წინააღმდეგ მებრძოლთა რიცხვში ჩანს (კ. კ. II, 15). მაგრამ შეუძლებელია ის ჩვენ მელექსედ ვიცნად, რადგან უკანასკნელი გადაჭრით აცხადებს თავის პატრიონის სახელს. კონსტანტინეს დროს ხოსრო მოხსენებულია 1490 წელში მომხდარ ბრძოლის მონაწილედ (კ. კ. II, 15)—რასაცვირველია ის სვიმეონის მეუღლას თუ მოეწრო (რაც საეჭვოა) მელექსობას მაინც ვერ შესძლებდა.

ჩვენ ხოსრო თურმანიძეს ბ. ი. აბულაძე ეხლახან გამოსულ თავის „ვეფხისტყაოსანი“-ს წინასიტყვაობაში ქაიხოსრო თურმანიძე ციციშვილს უწოდებს (გვ. XXVI „ც. ტ.“ 1926 წ.) რა საბუთით?

³ Такайшвили. Опис. 1,360.



ეს ვარიანტი ჩვენამდე შენახულია ოთხ ხელნაწერში. 1) ს. ს. ს. № 900, რომელიც მუზეუმის კატალოგში შემდეგნაირად არის შეტანილი: „როსტომიანი პროზით, ჯიშედის, ზაქის და საიმის ამბავი, მხედრული ლურჯ ქალღმერთი, თათრულიდან ნათარგმნი.“ თვით ხელნაწერის სათაურში ვკითხულობთ: „აქა დაიწყების ჯიშეიდ კელმწიფის ერანის მპყრობელის ანბავი თათრულიდამ ქართულს ენაზედ გარდმოღებული, რომელსა ეწოდების „როსტომიანი“.

ამ ხელნაწერის მინაწერია: „აღიწერა კელითა ცოდვილისათა როსტომიანი ესე. აღმოკითხველნო თუ რაჲმე შეცდომილი ასო პოვოთ—ჯერ გამოუცდელი ვიყავ წერაში და რომლითაც დედანში ეწერა ისე დაუწერე და რომლითაც შეიძლება ვაპირთე. ერთიც რომ ფედ ვეჩქარებოდი. ამისთვის ვითხოვე მომითქოთ ცდომილება. აღიწერა იენისის, იე, წელსა ჩყის, 1818-го года, ивныи, 15-го дня [რუსული ძლიერ ცუდი ხელით] ფედ ცოდვილი დიაკვანი რიანანდს(?) აბულაზოე. (აბულაძე?).“

2) ამავე საზოგადოების ხელნაწერები № 605, 606—ესენი გაგრძელებაა ხელ. № 604 სადაც იწყება ნადირ-შახის ისტორია. ისტორია დამთავრებულია № 605 და მას უშუალოდ მოსდევს ჩვენი თხზულება. ეს ხელნაწერები შემოწირულია მუზეუმში კათალიკოზ კირიონის მიერ და, ალბად, უკანასკნელის დაეალებით გადმოწერილი უნდა იყვეს ლენინგრადის ყოფ. საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერიდან¹. ტექსტს დასაწყისში წამძღვარებული აქვს შემდეგი ცნობები: „ქართული თარგმანი სპარსულ მოთხრობის ფერიდუნ და ზოაქის შესახებ. ხელნაწერი ეკუთვნის მე-XVIII ს. დასასრულს და დაწერილია მხედრული ასოებით. ხელნაწერში 128 თაბახია; დასაწყისი ფოთლები დაკარგულია. შინაარსით ეს ხელნაწერი დიდათ მოგვაგონებს ფირდუსის „შახ-ნამე“-ს. გადათარგმნილ იქნა ხელნაწერი (?) ქართულად სწორედ მე-XVIII ს. დასასრულს ხელნაწერში ხშირად გვხვდება ხოლმე სპარსული და თათრული სიტყვები.“

ხელნაწერი მოთავსებულია ა. ნ. გრენის კოლექციაში № 1.

ა. ნ. გრენის კოლექცია პეტერბ. საიმბ. წიგნთ-საცავს (საჯაროს) შეუქმნია 1892 წ.“

მაშასადამე ჩვენი ხელნაწერი პეტრ. საჯ. ბიბლ. კუთვნილ დედნის პირია.

3) ყ. წ. კ. გ. ს. ხელნაწერი № 2393—კატალოგში საამიანად არის შეტანილი, ალბად, გადამწერის შემდეგი მინაწერის გამო: „წელსა ჩყლს (1838) სეკლენბრისასა გადაწერე ესე წიგნი საამ ფალავნისა მე დავით ივანესემ ამირიძემ. მკითხველნო უკეთუ შეცდომა პოვოთ გთხოვთ ნუ დამგოხთ. შენდობა ბძანეთ. იყოს მოსახსენებელ და სახსოვრად დამწერი ამის დავით ივანეს ძე ამირიძე“ 4) ს. ს. ს. ხელნაწერის დედანი ანუ ლენინ. საჯარო ბიბლიოთეკის გრენის კოლექციის № 1.

როგორც მოყვანილი მინაწერებიც ადასტურებენ—ხელნაწერები საერთოდ კარგი ღირსების ვერაა. ყველაზედ სრულია ს. ს. ს. № 900. № 605—606

¹ ნადირ შახის ისტორიის დედნის მოკლე აღწერაა და აქვს ნ. მარს (იხ. მისი Краткий каталог собрания груз. рукописей приобретенного императорскою публичною библиотекою в 1896 г. С.—Петербург 1900 № 9 (საბინის კოლექციის № 7).

შესავალში აკლია რამდენიმე გვერდი (900 შედარებით) და დამთავრებული არაა (900 შედარებით აკლია 17 გვერდი). შესავალი ნაკლულევანი უნდა ჰქონდეს ამ ხელნაწერების დედანსაც (პეტრ. საჯარ. ბიბლ. გრენის კოლექცია № 1). უ. წ. კ. ხელნაწერს (2393) რამდენიმე გვერდი აკლია, როგორც დასაწყისში ისე დასასრულში.

რადგანაც ჩვენი თხზულება საყურადღებო მასალას შეიცავს „შაჰ-ნამე“-ს ცნობილ ევრსიებთან შესადარებლად—საკუროდ მიგვაჩნია აქ მისი მოკლე შინაარსის წარმოდგენა.

იყო სახელოვანი მეფე ჯიმშიდ (თუ ჯიმშიდ) ერანის მფლობელი. მას ჰყავს ერთი ყაფიჩი“ სახელად „მიზმან ყაფიჩი“—უკანასკნელის შვილია ზოაქი (ან ზოჰაქი) ჯადოქრობაში დახელოვებული. ეშმაკის შთავგონებით **ზოჰაქი მოჰკლავს** თავის მამას და გვამს ჯიმშიდის სასახლეში დამალავს. მკვლელობა დაბრალდება ჯიმშიდს. უკანასკნელმა იცის, რომ ტახტი ჩამოერთმევა და დახმარების საძიებლად გაიქცევა ჩინეთში. ერანში გამეფდება ზოჰაქი. უკან დაედევნება ჯიმშიდს. დაამარცხებს ჩინეთის მეფეს. ჯიმშიდ თავისი ნებით გამოცხადდება ზოაქთან, უკანასკნელი მას არ დაინდობს და ჰკლავს. გამარჯვებული ზოჰაქი ბრუნდება ერანში. ჯიმშიდს ცოლად ჰყავდა ჩინეთის მეფის ქალი, რომლისგანაც დიბადდება **ფრიდონ**. ზოაქი მესტროლაბეთავან გაიგებს, რომ ფრიდონის ხელისაგან დაეცემა. ბრძანებას გასცემს, რათა ახლად დაბადებული ბავში ყველა დახლოცონ. ფრიდონი გადარჩება. ის იზრდება მთებში. ზოჰაქი ეძებს ფრიდონს მაგრამ უშედეგოდ.

ზოაქს შეუჩნდება ეშმაკი და მოცდუნებას ცდილობს. პირველად მიზანს ვერ აღწევს. ბოლოს მზარეულის სახით გამოცხადება ხელმწიფეს. ზოაქი აიყვანს. ეშმაკი მშვენიერ საქმელებს ამზადებს. ერთხელ მეფეს აბანოში მიართმევს ეშმაკი უცხო ქამადს. ზოაქს ეამება და მადლობას უხდის. ეშმაკი თხოვს მზრებზე კოცნის ნებას. მეფე დასთანხმდება. კოცნის შენდეგ ეშმაკი გაუჩინარდა. მალე მზრებმა ტება დაუწყო და ორი გველი გამოესხა. გველები ემუჭრებიან ზოაქის ყურებს. ისეე მოდის ეშმაკი და ასწავლის გველების მოთვინიერების წამალს. დღეში—ორი კაცის ტვინი უნდა აძლიონ. ზოაქმა ამ გზით დიდი მსხვერპლი შეიწირა. მის საბრძანებელში არის, სხვათა შორის, ერთი მჭედელი სახელად **გოვიაჰვარ** (ან გოვდიაჰვარ). მას 9 შვილი ყავდა. ზოაქის გველებმა 7 შეუქამა. ჯერი მიდგა დარჩენილ ორ ვაჟზედ: **ყარუნ** და **მურდაზზე**. მამა აჯანყებას აწყობს ზოაქის წინააღმდეგ. 12 ათასი ლაშქრით გაემგზავრება ფრიდონთან. გამოაცხადებს მას მეფედ. ფრიდონი შურს იძიებს ზოაქის წინააღმდეგ. დაამარცხებს, დაატყვევებს, გამეფდება ერანში. მაგრამ **ზოაქი** მაინც ცოცხალი რჩება. ის **გრძნებით გაიქცევა** და უცხო მზარეს გარდაიხეწევა. ამასთან პარალელურად ვადმოკეულია გმირის **გარსაშიზის** მოღვაწეობა ზააქის დროს. გარსაშიზი ითრითის შვილია. ის 10 წლისას დაამარცხებს ვააფთრებულ სპილოს. ზოაქი მოიწვევს გარსაშიზს თავის სასახლეში მამითურთ და ცდილობს მის დაღუპვას, როგორც ჯიმშიდის თესლის წარმომადგენელს. მრავალ საფათერაკო საქმეს შეუკვეთს, მაგრამ გარსაშიზი ყოველთვის გამარჯვებული რჩება. ის ჰკლავს მინერა დებს, მარტორქას, ვეშაპებს და სხვ.



ზოაკის აღსასრულის შესახებ არაფერია ნათქვამი — არ ვიცით თუ რა ბედი ეწვია მას. ყოველ შემთხვევაში ფერიდუნს თავი დააღწია.

ფერიდუნს მიეცემა სამი ვაჟი: უფროსი **თურ**, საშუალო **სალმ**, უმცროსი **ირაჯ**. მამა დაცდის შვილებს. გაისტუმრებს მათ სანადიროდ და გზად ვეშაპის სახით ეჩვენება. მხოლოდ ირაჯი მიხვდება ამ გონივრულ თვალთმეცობას. მამა მას, როგორც ყველაზედ ჭკვიანს, ერანში გაამეფებს. თურს დაუპყვიდრებს თურქისტანს. სალმი კი ურუმში გახელმწიფდება. უფროსი ძმები უკმაყოფილო არიან თავისი წილით და შაკერულად ჰქლავენ ირაჯს. ფრიდონს მწუხარებისაგან თვალები დაუბრმავდება. მალე ირაჯის **ცოლს-მიეცემა ქალი**. უკანასკნელის ქორწინების ნაყოფია მშვენიერი ვაჟი, რომელსაც **მანუჩარს** დაარქმევენ. მეტსახელად „მინაჩერ დაარქვეს, იმიტომ რომ ფრიდონს იმისი ნახვით თვალუბი აეხილა“ (ფ. 8B). სწორედ იმ დროს, როცა მანუჩარი დაიბადა, გარსამიზის შვილს, ნარიმანსაც, (ამის თავგადასავალზე მოთხრობაში არაფერია ნათქვამი) მიეცემა ვაჟი — საამი. საამი და უფლისწული მანუჩარ ერთად იზრდებიან. მალე შურს იძიებენ თურ და სალმზე. ორთავე დატყვევებულია ბრძოლაში და მოხუცი **ფრიდონი თავის ხელით მოჰკვთის მათ თავს**. ურუმში და თურქისტანში მოკლული ძმების შვილებს გაამეფებენ. (თურის შვილია — ფიშანგი, სალიმის — მოხსენებული არაა).

ყოველივე ეს გადმოცემულია 1—15A გვერდზედ. გვ. 15A ასეთი თავია: **აქა იწყების მანუჩარ კელმწიფის ანბავი**. ფაქტიურად კი ბოლომდი საამის თავგადასავალია გადმოცემული. ერთ დღეს, ნადირობისას, საამი კანჯარს დაედევნება. კანჯარი მას უცხო სასახლეში მიიყვანს, იქ გმირი მშვენიერ ქალის სურათს ნახავს. ის ქალი ჩინეთის მეფის ასული **ფერიდუხტი**ა. იწყება საამის რომანტიული თავგადასავალი. ის მიემართება ჩინეთში. გზად დაამარცხებს უამრავ დევებს, აგსულებს. ჩინეთის მეფე **ხაყან** ჩინი, თავის ვეზიოის შთაგონებით, წინააღმდეგია, რომ ფერიდუხტი საამს მისცენ — რადგან საამი „საბაოთ“ ღმერთის თაყვანისმცემელია — ესენი კი კერპთაყვანისმცემლები. ფერიდუხტ და საამ ურთიერთის სიყვარულით იტანჯებიან. ხაყანჩინი მრავალ საარაკო-საგმირო საქმეებს დაევალებს საამს, მაგრამ ყოველივე ძლეულია მისი არაბუნებრივი ძალის მიერ. მეფე მაინც ღალატის გზას ადგია. განაბოლოს ყოველივე ბრძოლით წუდება. ხაყანჩინი მოჰკლეს. მისი ვაზირი ძელზე ჩამოჰკიდეს. ჩინეთი და მაჩინეთი თავის ერთგულებს დაუმკვიდრა საამმა. წინასწარ ყველანი „საბაოთ“ ღმერთის რჯულზედ მოიყვანა. საამ ბრუნდება ერანში, მაგრამ გზად **აბრაჰი** დევი გრძნებით მოსტაცებს ფერიდუხტს. შეპირებული საამ მანუჩარის თხოვნით მაინც ბრუნდება ერანში. აქ საამ სახელოვან ბრძოლებს გარდაიხდის დასავლეთის მეფის **ადისძე შადადის** წინააღმდეგ. ეს უკანასკნელი „წყებულა თვესა თვისსა დღე ხადოდა“ (59B). დასავლეთის კელმწიფეც დამარცხებულად შერიტოს, მხოლოდ იმის შემდეგ, რაც ფერიდუხტს დევის ტყვეობიდან გამოიხსნის. შადადის დამარცხების შემდეგ საამ მცირე ხანს დაჰყოფს ერანში და მალე ფერიდუხტის საშველად მიდის. დაამარცხებს და ყმად გაიხდის **შავ დევს**. **აბრაჰი** დევსაც, რომელსაც მისი სატრფო ჰყავს, დაიმორჩილებს და შეტ-



რული ერნში მოჰყავს. ამდენი ტანჯის შემდეგ საამი ეწევა თავის წადილს. დაქორწინდება ფერიდუხტსა და თუთიზე. მთელ დროს განცხრომაში ატარებს ხან მანუჩართან და მის შვილს ნოვზართან—ხან კიდევ თავის საგეარეულო მამულში სისტანში, სადაც მისი მშობლები და პაპა ცხოვრობს. საამის პაპა, გარსაშიბი, იმ ხანებში „დიდათ მოხუცებული იყო და წელში ორად იყო მოხრილი“ (59B). მანუჩარის რეზიდენციაა შამი ქალაქში.

ფერიდუხტისგან საამს მიეცემა ზაალი. ბავში თეთრი თმა-წარბით დაიბადება. მამა დანადგლიანდება. ბრძანებს ბავშვის შორეულ მინდორში გადაგდებას. ზაალს ზრდის უცხო ფრინველი სიმურღი ანუ ფასკუნჯი, რომელიც „იალბუზის მთის კალთებში მკვიდრობდა“ (84 A). ლმერთი დასჯის საამს შვილისადმი ასეთი მოპყრობის გამო. ის დასნეულდა და 7 წელს ლოგინად წვეს. მისი სხეული ისეთი მყარალი გახდება, რომ ვერვინ, თვით მისი საყვარელი ფერიდუხტიც კი ვერ ეკარება. ანგელოზის შთაგონებით საამ მოიკითხავს თავის შვილს. უკანვე დაიბრუნებს. მეფე მანუჩარსაც აახლებს მანუჩარი ცდის ახალგაზრდა ზაალს. ის სწვენიერი ზრდილი გამოდგება. სიმურღმა მრავალ ზნეობაში გაწვრთნა.

ერანს ახალი მტერი გაუჩნდება. „გუშების კელმწიფის გუშიბნი გუმ ოცდაათის ათასის ქილიმ გუშების ლაშქრითა ასტარხნის მხრიდამ ჩვენსა საომრათა წარმოსულა“—ო (84B) სწერს საამს მანუჩარი. ფალავანი სწრაფად გაემართება მაზანდარან-ასტარხანის მხარეს. —ზაალი კი სანადიროდ ქვაბულისტანს ეწევა. იქ ზოაქის ნათესავი მერაბშა მეფობს. მერაბი დიდი ძღვენით გაუმასპინძლდება ზაალს. ზაალი გაიგებს მერაბის ასულის რუდაბას აშბავს და გამიჯნურდება. მამისგან ზაალის ქების მოსმენის შემდეგ გამიჯნურდება რუდაბაც. ძიძა და მოახლეების საშუალებით, რუდაბა თავის სასახლეში მოიწვევს ზაალს. ციხიდან თავისი თმის ერთ ნაწნავს გადმოუშვებს და ისე აიყვანს მალალ გალავანზე თავის სატრფოს. ზაალ და როდაბ ერთმანეთს ცოლქმრობის პირობას მისცემენ (წერილობით). შეეყვარებულთა მეორე შეხვედრაზე—მოთხრობა წყდება.

ამ მოკლე შინაარსიდანაც ჩანს თუ რა ურთიერთობაშია ახალი ვარიანტი „შაჰ-ნამე“-ს ჩვეულებრივ რედაქციასთან და, კერძოთ, მის ქართულ ვერსიებთან. ზოგიერთი მომენტები ყოველ წვრილმანშიც კი საერთოა. მაგ. ზააქის მზარეულისგან ცთუნება, გველების გამოსხმა, ფრიდონის შვილებზე სახელმწიფოს დაყოფა. ერაჯის მკვლელობა. მანუჩარის დაბადება, ფრიდონის დაბრმავება და ფალავანის ახელა. დასასრულ ზაალის მანუჩარის მიერ გამოცდა და ზაალის რომანტიული (თუ რომანიული) თავგადასავალი. მაგრამ საერთოდ და მთლიანად ეს სრულიად ახალი ვარიანტია, რომელიც ძირითადად განსხვავდება ჩვეულებრივ რედაქციისაგან. მაგალითად: 1) ზააქის მამაა „მიზან ყაფიჩი“, რომელიც ჯიმშედის მოხელეა—ჩვეულებრივი რედაქციით: ზააქის მამაა მურვიდ მისრეთის მულობელი.

2) ზააქი თვით ჰკლავს მამას. გვამს ჯიმშედის სასახლეში ჰმალავს და სხვ.—ჩვეულ. რედ: ზააქის მამას ეშმაკი ჰკლავს მუხანათურად (ორმოში).

3) ზააქი ვაიქცევა ჩინეთში—ჩვ. რედ. ზააქი ინდოეთში შეათარებს თავს.

4) ფრიდონ ჯიმშედის შვილია ჩინეთის მეფის ქალიდან—ფრიდონ აფთიონის შვილია, მეფის შთამომავალი.

5) ზააქი თავს დაახწევს ფრიდონს და უცხო მხარეს გარდინხვეწება — ზააქი დემავენდის მთებში სამუდამოდ ჩაკიდულია ღრმა ორმოში.

6) ზააქის დროს მოღვაწეობს ითრით (უთრუთ) და მისი შვილი გარსაშობ (გორჯასპი) — ეს ჩვეულებრივი რედაქციისთვის ანაქრონიზმია. რასაკვირველი თავისებური და სრულიად უცნობია ამ მოღვაწეობის ყოველი დეტალი.

7) ფრიდონი თავის ხელით ჰკლავს დატყვევებულ შვილებს სალიმ-თურს-ფრიდონ ღრმა მწუხარებით და გლოვით დაიტირებს სხვადასხვა დროს ბრძოლაში დაღუპულ შვილებს, რომელთაც თავები მას, თითქოს, სამახარობლოდ მოსდის.

8) შემდეგი ანბები: მანუჩარის ომები და საამის რომანიული თავგადასავალი სრულიად უცნობია შაჰნამესთვის. ანაქრონიზმია გორჯასპის და საამის თანადროული სიცოცხლე.

9) თავისებურადაა გაშუქებული ჩვენს ვარიანტში საამის დაავადმყოფება, როგორც ერთგვარი სასჯელი ზაალისადმი არა მშობლიური მოპყრობის გამო.

თანაც უნდა ხაზი გაუსვათ იმ გარემოებას, რომ იმ მომენტებს, რომლებიც ასე თუ ისე უახლოვდებიან შაჰნამეს — აქ ძლიერ ცოტა ადვილი უკავია. მაგ. მთელი თავგადასავალი მანუჩარამდე მხოლოდ 15 ფურცელზეა. დანარჩენ ანბებს ე. ი. ფაქტურად საამის რომანიულ თავგადასავალს მთელი დანარჩენი თხზულება (სულ 87 ფურცელია). ამ თავგადასავალს კი სრულიად არავითარი საერთო არ აქვს შაჰნამეთი ცნობილ ანბებთან. არსებითად შეიძლება ითქვას, რომ თხზულება მთლიანად საამის მოღვაწეობაზედ არის აგებული. ამიტომაც ერთგვარი საბუთიც ჰქონდა გადამწერ ამირიძეს, თხზულებისთვის „წიგნი საამ ფალავნისა“ ეწოდება. მეორე გადამწერის სახელწოდებას „ფერიდუნ და ზოაქი“ მთელ თხზულებას თავზე ვერ მოვახვევთ, რადგან ამას, შედარებით, მცირე ადვილი აქვს დათმობილი.

საამი ახალ ვარიანტში სრულიად ახალი მომენტითაა წარმოდგენილი. „შაჰნამე“-ს ჩვეულებრივი რედაქციით ის ცნობილია, როგორც გმირი — ფალავანი, სისტანის ფალავანთა ხერხემლის ერთი მსხვილი რგოლი. — იქ ერთი სტრიქონიც კი არაა დათმობილი მის რომანტიულ-რომანიულ ცხოვრებისთვის. ახალ ვარიანტში კი საამი წარმოდგენილია უპირველესად ყოვლისა, როგორც შეყვარებული ჰაბუჯი. ის რომანტიკოსი რაინდია. საამმა ლამაზი ქალის სურათი ნახა, შეიყვარა და თავისი მომავალი ამ ქალის ძიების გზაზე წარმართა. ეს გზა მას ხშირად გაახიარებინებს გახელებული მაჯუნის ბედს. როცა მას თითქოს იმედიც წარეკვეთა სატრობს ველურ ცხოველებთან: „მინდვრის მხეცნი და ნადირნი საამ ფალავანსა ესრეთ შემოსჩვეოდენ, რომ აღარ ერიდებოდნენ. და ფალავანსა ტირილსა და ოხერისათვის ყური შეეჩვიათ. და ფალავანსა პირის-პირ ზოგნი სძოდნენ, ზოგნი იწვნენ და ზოგთა ეძინათ“ (54B). სიყვარულით გატაცებულმა საამმა თვით ხელმწიფე — პატრონის, მანუჩარის, პირობასაც კი გადასცდა. პირველად ხელმწიფის სურვილის წინააღმდეგ გაუდგა თავისი სწრაფის გზას. შემდეგ დაპირებულ დროს ხელმწიფესთან აღარ დაბრუნდა. თუმცა საერთოდ საამი, როგორც ჩვეულებრივად შაჰნამეს ყველა გმირებიც, ხელმწიფეს და მის უფლებას უწინააღმდეგე თავყენს სცემს.



საამი სიყვარულში უაღრესად გულწრფელია და ერთგული. მან არ გაიზიარა შადადი ხელმწიფის ქალის თუთის სარეცელი, თუმცა უკანასკნელი: „ესკეთისა შეენებისა და ქვევისა იყო, რომ ფერიდუხტისთანა¹, რამდენიმე მოახლეთა ფერობდა“ (69A).

თავის რომანტიულ ბუნებასთან ერთად საამი სახელოვანი ფალავანია. მას შესწევს გამბედაობა ამაყად განაცხადოს მთელი სამყაროს ბოროტ ძალების წინააღმდეგ „სად გარდაურჩებით ხმლისა ჩემისა ნაკვეთსა“ (64A). მისი მკლავი მკვეთრად და შეურხეველად ანადგურებს ბუმბერაზი ძალ-ღონის პატრონ დევებს. ჯადოსნებს. თილისმებს. ურიცხვ ლაშქარს. თავისი გამორული მოღვაწეობის აპოთეოზში საამის წარმოდგენაში გაიელვებს მისი ხმლის წინაშე წამოჩქილი მტრების პროფილები:

„მე ვარ საამ ქვეყნის ფალავანი: ზინდა ჯადოს მკვლელი. ნჰანგალისა, მაქუქალისა, ქეივანისა—მკვლელი. აღმასის თილისმისა დამრღვევი. რიზვან ფერის ჯადოს მკვლელი. ხაყან ჩინისა, ჩინეთისა, მაჩინისა, ხვარასნისა, ბაღისა, თურქისტნისა აღმაოხრებელი და დამამარცხებელი. და ამომწყვეტელი—შიმუდადისა და ადიშიმუდისა ლაშქრისა. ამომწყვეტელი — შიმუდისა და იმისის შეილისა“ (64A).

საამის ფალავნობას კეთილშობილი სიღარბისლე ხასიათებს. ის გაურბის უბრალოდ სისხლის დაღვრას. ბრძოლაში მუხანათური ხერხით სარგებლობას. დამარცხებულ მტერს სისხლს არ თხოვს. მონანიებულ მოპირდაპირეს სიამოვნებით უნარჩუნებს სიკოცხლეს და მეგობრადაც იხდის (შავი დევი და სხვ.). მაგრამ გაკადნიერებულ თავხედობას და ლალატს-ის საშინელების გრიგალად ევლინება. მაშინ საამი „მთვრალი ლომია“ თავზარდამცემი.

ჩვენი თხზულებისთვის, საზოგადოდ, და საამის მოღვაწეობისთვის, კერძოთ, ფრიად დამახასიათებელია რელიგიური მომენტი. საამი ერთგვარ მისიონერულ როლსაც ასრულებს. საამი აღიარებს „ყოვლისა შემომქმედსა საბაოთ ლმერთს“. მისი პირველი მოთხოვნილება დამარცხებული მტრის მიმართ (ან მეგობრად შემომდგარ ფალავანის) არის ახალ რჯულზედ მოქცევა. „საბაოთ ლმერთის“ თავყვანები (ჩინეთი, მაჩინეთი, დევუისტანი). ყველგან მმართველებად მისი ერთგული და თანამორწმუნენი დანიშნა. ახალ რჯულზედ მოაქცია თავისი სატრო და ქორწილსაც „საბაოთ ლმერთის“ წესისაგებ გარდიხდის.² ამ ძირითად სახეებშია მოცემული საამ ფალავანის ფიგურა: რომანტიულ-გმირულ-მისიონერული მოღვაწეობა. ამის გარშემო უამრავი ეპიზოდები და ფანტასტიური თავგადასავალია ამენებული. წარმოუდგენელი ფანტასტიკა, დაუსრულებელი ხლარობები, ბრძოლები, თილისმები, დევები, აესულები. საამი ყოველივეს ძღვეს თავისი სიყვარულით, ძლიერი მკლავით და რელიგიური ტემპერამენტით. ყოველივე ეს (გმირული მომენტის გამოკლებით) სრულიად უცნობია ფირდოუსის შაჰნამესთვის საერთოდ და მის ქართულ ვერსიებისთვის კერძოთ.

¹ ფერიდუხტ საამის სატროფოს სახელია.

² მსგავსავე „მისიონერულ“ მოღვაწეობას ეწევა ყარამანი („ყარამანიანი“) და პეტრე ლარაძის „დილარიანი“-ს მთავარი გმირი —დილარი.



ჩვენი ძეგლი განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ენობრივი და თავისი წარმოშობის თვალსაზრისით. როგორც შევნიშნეთ ერთადერთი სრული ხელნაწერის (ს.ს.ს № 900) სათაური გვაუწყებს „თათრულიდამ ქართულს ენაზედ ვარდმოლებული“ საკითხავია თუ რას ვიგულისხმებთ „თათრულში“.

„შაჰ-ნამე“-ს ქართული ვერსიების მოზრდილი ნაწილის გამომცემელმა ბ.ბ. ი. აბულაძემ პირველად მიაქცია ყურადღება გამოცემულ ძეგლებში, კერძოდ საამიანში, (აგრეთვე საამიანის გამოუცემელ პროზაულ რედაქციაშიც) თურქული ტერმინების და საერთოდ სპარსული დედნისთვის უცრო ელემენტების არსებობას. ეს გარემოება მან საკმაო საფუძვლიანობით გაითვალისწინა. ბ-ნი მკვლევარი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საამიანის პროზაული და გალექსილი რედაქციის დამუშავება უნდა „ეკუთვნოდეს სწორედ იმ ეპოქას, როდესაც თურქული ლიტერატურისა და ცხოვრების გავლენის ქველები შემოიჭრა ჩვენში.“¹

ბ-ნ ი. აბულაძის მოსაზრება კიდევ უფრო განავრცო აკად. მარმა. უკანასკნელი სწორედ ი. აბულაძის აღნიშნულ შრომისადმი მიძღვნილ რეცენზიაში კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ „Особенную важность и желанную новость в этих наблюдениях [Ю. Абуладзе] представляет чреватое для истории грузинской литературы указание, что в возрождении грузинской литературы в начале XVI в. особую роль сыграла — турецкая литература,“² აკად. მარი არ დაკმაყოფილდა ამ ვაკვირითი ხასიათის შენიშვნით და მან სერიოზულად დააყენა საკითხი ალორძინების პერიოდის ქართული ლიტერატურის წყაროების ვადასინჯვის შესახებ. ის ამბობს: „Вопрос о том же самом явлении, о возможной и даже вероятной связи грузинской литературы с турецкой, начинает возникать и по фактам и соображениям иного порядка“ აქედან: „и необходимость пересмотра в частности и вопроса об источниках возрождения грузинской литературы“ (ხაზი ჩვენია).³

აკ. ნ. მარის ეს მოთხოვნები, ჩვენის აზრით, მეტად მონიჭებულ და დროულად უნდა ჩაითვალოს — კერძოდ, ვფიქრობთ, ამის საბუთს უნდა გვაძლევდეს „შაჰ-ნამე“-ს ახალი პროზაული რედაქცია. ხელნაწერის მოწმობა თათრული ენიდან ვადმოლების შესახებ წამოყენებულ დებულების სისწორეს უნდა ადასტურებდეს. მართალია ალორძინების ხანაში სპარსელები და თათრები თითქოს შესატყვის ცნებებად იხმარებია. კერძოდ ამას სისტემატიურად ჩადის ამ ეპოქის ისტორიოგრაფია. მაგ. ვახუშტ ბატონიშვილი, ფარსადან გორგიჯანიძე (ამისი მაგალითები მრავლადაა ჩბინიშვილის რედაქციით გამოცემულ „ქართლის ცხოვრება“-ს მე-II ტომში. ს. პეტერბურგი 1854). მაგრამ ამ შემთხვევაში უფრო რელიგიური მომენტი უნდა ჰქონოდათ მხედველობაში. ენის თვალსაზრისით დიფერენციაციის საუკეთესო მაგალითი იმავე ისტორიოგრაფიაში გვხვდება. მაგ. მშექაბუჯის შესახებ ნათქვამია „იცოდა მშექაბუჯ არაბული და სპარსული და თათრულიცა“⁴. პოეზიაში ეს დიფერენციაცია უფრო ნათელი

¹ „შაჰ-ნამე“-ს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები“ გვ. XXI.

² Записки Коллегии Востоковедов. Ленинград 1925, I, 113.

³ იხ. Записки... გვ. 114.

⁴ ქარ. ცხ. II, 259.



ოცო. აღორძინების პერიოდის ჩვენი სიტყვა-კაზმული მწერლობა ძირეულად სპარსული შემოქმედების ნაყოფით იკვებებოდა. და ეს ჩვენ მწერლებს სასახელოდაც კი მიაჩნიათ. ამ ეპოქის ისეთი ტიპიური და ერთ-ერთი უნიჭიერესი წარმომადგენელი, როგორცაა გვირგვინოსანი პოეტი თეიმურაზ პირველი, (რომელმაც, სხვათა შორის, დიდათ იწვინა სპარსელების მზაკვრული სული პოლიტიკურ ასპარეზზე) ქართულ სიტყვას იწუნებს და, სამაგიეროდ, ქებათა-ქებას უძღვნის სპარსულის მკვერობას. თავის ერთ, სპარსულიდან ნათარგმნ, თხზულების (ლეილ-მაჯნუნიანი) შესავალში ის პათეტიურადაც გაიძახის:

„სპარსთა ენისა სიტკომან მასურვა მუსიკობანი“.

ბოლოს-ბოლოს ჩვენ გვაქვს დადებითი ცნობაც, რომ ქართული მწერლობა იცნობდა თურქულ ლიტერატურულ ნიმუშებს. თავის დროისთვის დიდათ ცნობილი ნოდარ ციციშვილი თავის ნათარგმნ „ბარამ გურიანი“-ს შესავალში აცხადებს, რომ ის („ბარამ-გურიანი“) პირველად ნიზამი განჯელს უთქვამს. ნიზამის ბაძავს ხოსრო დაძლევი, აგრეთვე:

„ნავაისს ესე ამბავი ჩაღათურითა ენითა

უთქვამს და მისებრ მეღეჟსე სხვა ვინმცა ვიაზრენითა“.¹

მართლაც ნევაი, (ან ნავაი). ა. მჯულღერის სიტყვით, ლიტერატურული ფსევდონიმი თავის დროის სახელგანთქმულ მწერლის, პოლიტიკურ მოღვაწის და მეცენატის მირ ალი შირ'ის,² რომელსაც სხვა მრავალ თხზულებათა შორის „ბარამ-გურიანი“-ც დაუწერია.³ საყურადღებოა, რომ სწორედ ჩვენი ლიტერატურის აღორძინების დასაწყისში, სახელდობრ მე XV—XVI საუკუნეში, ფართოდ ვაშალა ფრთები ოსმალურმა მწერლობამ. ამავე პერიოდში ოსმალეთთან გაცნობელებული პოლიტიკური ურთიერთობა—ლიტერატურულ ურთიერთობის საუკეთესო პირობას შექმნიდა.

¹ Такайшилы. Описание II, 527—528.

² История Ислама. С. Петербург 1896 г. III, 405.

³ А. Крымский „История Турции и ея литературы“ 1910 г. стр. 41—42; აგრეთვე მისი სტატია ბროკავუზ-ფერთანის ენც. ლექსიკონში—ტომი 67 გვ. 162.

შესაძლებელია თურქი ავტორი ვიცნათ თეიმურაზ პირველის შემდეგ მოწიბობაში. თეიმურაზი „ლეილ-მაჯნუნიანი“-ს შესავალში, ამბობს, რომ ამ თხზულების დაწერაში ის ვიღაც უცნობ მწერალ „შინ შეიდ“-ს ეცილება. ასე იკითხება ეს ადგილი უმრავლეს ხელნაწერებში. ზოგიერთში არის წაითხვა „შინ სეიდს“ (წ. კ. 1508) „შინ სადის“ (წ. კ. 3706; 2694) „შინისლამს“ (წ. კ. 1084) „შინორმანს“ (1517). სპარსულ ლიტერატურაში, სადაც „ლეილ-მაჯნუნი“ მრავალ პოეტთა წაბაძვის საგნად ქცეულა—ჯერ-ჯერობით უცნობია ეს „შინ შეიდი“ სამაგიეროდ ოსმალურ ლიტერატურაში მართლაც ვინმე „შინი“-ს მე-XV ს. სპარსულ მწერალთა მსგავსად დაუწერია ჩვენთვის საყურადღებო თხზულება. (А. Крымский, „История...“ 1910 г. გვ. 50) ამიტომ ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია თეიმურაზის „შინ შეიდში“—ოსმალთა „შინი ვიცნათ. მით უმეტეს თეიმურაზის ბიოგრაფიიდან ვიცით, რომ მან „ქარაღ იცის თათრულ ი და სპარსული ენა, რა ენებსაც მჭერმეტყველად ლაპარაკობს“ (თამარაშვილი: ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ გვ. 102). ცნობილია, რომ თეიმურაზმა პირადათაც ამოგაუწერა ოსმალეთში. ამიტომ ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ თეიმურაზი, ვიღაცეა სპარსული პოეზიის დარგში, ოსმალურ ლიტერატურულ ნიმუშებშიაც იქნებოდა გაცნობილი. მით უმეტეს ამ შემთხვევაში მას უნდა ცოდნოდა „ლეილ-მაჯნუნიანი“-ს არსებობის ფაქტი „თათრულ“ ენაზედაც.



ფრიად საყურადღებო მისაღებს იძლევა ჩვენი თხზულების ენა. საზოგადოდ ცნობილია, რომ თურქული სალიტერატურო ენა არაბულ-სპარსულ და ნაციონალ-ელემენტების სრული ნალრევია, იმდენად დაშორებული სასაუბროს, რომ ჩვეუ-ლებრივ გაუნათლებელ თურქისთვის ის გაუგებარია¹. ისე რომ ქართული თარ-გმანის საშუალებით მეტად ძნელია, იმის გათვალისწინება თუ საიდან მომდინარეობს იგი. ყოველშემთხვევაში საცხებით მართებულია ხელ. № 605 ცნობა, რომ ჩვენი თხზულება საცხეა არაბულ-სპარსულ-თურქულ სიტყვებით. აქ ხშირად გვხვდება სპარსული გამოთქმები, როგორც მაგ. „დასტი ჭები“ „ზარზამინი“ („ზარ ზამინში დააბატიმრეს“ (16B). „დივზადი“ „თირა ბარანი“ („თირა ბარანი უნდა ვიყოთ“ გვ. 37A). „ბაზახი ხამი“ (38A) „მანზილ, მანზილ იარეს“ (12B; 42A). „ბეიბან მინდორსა გაემართა“ (53A). „ბურჯისა ერთსა ქონგურს მოსდო“ (55B). ერთ შემთხვევაში მთარგმნელი თვითონ განმარტავს უცხო ცნების მნიშვნელობას „სია ქუმთას უწოდებენ რომელიცა ითარგმანების შავი მთა“ (10B), მართლაც აზრის მნიშვნელობა სისწორითაა გადმოცემული.

ხშირია ფრაზები: „მძიმე ხალათი ჩააცო“ „სარტყელსა ხელი ჩაუვლო“ „საყულო გარდინივს“ და სხვ.

მაგრამ აღსანიშნავია, რომ არაბულ-სპარსულ სიტყვებთან ერთად წმინდა თურქულიც გვხვდება მაგ. „ყაფიჩი“ „ყარაული“ „უზბაში“ „მინბაში“ „ეახში“ „ყულუხჩი“ „ყაფიჩიბაში“ „ჩაფარი“ „ელჩი“² (ალბად თურქული ენის სპეციალისტები კიდევ ბევრ მსგავს ტერმინებს წააწყდებიან ჩვენ ძეგლში).

მოყვანილი მოსაზრებები, ჯერ-ჯერობით, არ გვაძლევს უფლებას დამტკიცებულად ჩავთვალოთ ჩვენი ძეგლის „თათრული“ წარმოშობა, მაგრამ ერთი კი უეჭვოა: არც ერთი მოსაზრება ამ დებულების საწინააღმდეგოდ არ ლაპარაკობს და, მაშასადამე, უფლებაც არ გვაქვს ეპვი შევიტანოთ ხელნაწერის ცნობაში: „ანბავი თათრულიდამ ქართულს ენაზედ [ნათარგმანები]“.

ქართული თარგმანის ენა მეტად უხეშია. აქ უგულვებელყოფილია ყოველგვარი ლიტერატურული ნორმები. არქაიზმები, ნეოლოგიზმები, ვულგარიზმები—დომნალივით ერთმანეთშია არეული. ნორმის გარეშეა უცხო სიტყვების და გამოთქმების ხმარება.

მთარგმნელი ერთი უნიკო კალმოსანთავანი უნდა ყოფილიყო. ვინაა მთარგმნელი არ ვიცით, მხოლოდ უეჭვო უნდა იყვეს ხელნაწერის ცნობა: ვადათარგმნელ იქნა თხზულება ქართულად მე-XVII-ს. დასასრულსო. (ს.ს.ს. № 605 წინასიტყვაობიდან).

¹ შედ. მაგ. А. Крымский, История.. 1916, 1. 248, 249, 250 და სხვ.
² უნდა ისიც ითქვას, რომ ეს ტერმინები შესაძლებელია თვით, სპარსულშიც იყოს (სპარსულშიც ბევრი თურქული სიტყვები შეჭრილა). აგრეთვე ქართველ მთარგმნელსაც შეეძლო აქა-იქ თავისი საკუთარი ტერმინოლოგიაც გაესაღებია.



საარქივო ბიბლიოთეკა და მისი შემადგენლობა.

საკითხის დაყენება. — სამეცნიერო დაწესებულებათა შორის, თავისი დანიშნულებისა და დაკისრებულ ფუნქციების მიხედვით, ერთმეორესთან განსაკუთრებით ახლო დგანან არქივი, ბიბლიოთეკა და მუზეუმი. მართო ის გარემოება, რომ სამივე ამ დაწესებულების მთავარ დანიშნულებას წარსულის ძეგლების შეგროვება და დაცვა შეადგენს, თავისთავად ლაპარაკობს მათ ახლობელ კავშირსა და მონათესავეობაზე. მაგრამ მეორეს მხრივ ის ფაქტი, რომ თვითეულ ამ დაწესებულებათაგანს წარსულის ძეგლების მხოლოდ განსაზღვრული კატეგორიის (არქივს — უმთავრესად წერილობითი ძეგლების, ბიბლიოთეკას — ბეჭდვითი ნაწარმოებთა, ხოლო მუზეუმს კიდევ — ნივთიერ კულტურის ძეგლების) პატრონობა აქვს დაკისრებული, აუცილებელს ხდის არქივსა, ბიბლიოთეკასა და მუზეუმს შორის ერთგვარ დემარკაციულ ხაზის გაყენას და მათი ძირითადი ფუნქციების გამიჯვნას.

საარქივო ბიბლიოთეკისა და საარქივო მუზეუმის ცნებათა ქვეშ არ იგულისხმება ბიბლიოთეკა და მუზეუმი ჩვეულებრივის გაგებით, მაგრამ ამისდა მიუხედავად არქივსა, ბიბლიოთეკასა და მუზეუმს შორის არსებულ ურთიერთობის ორი დასახელებული მომენტი საარქივო ბიბლიოთეკისა და საარქივო მუზეუმის საკითხშიც აქტუალურ მნიშვნელობას ღებულობს. საარქივო ბიბლიოთეკის და საარქივო მუზეუმის საკითხის დაყენებისა და გადაჭრის დროს მხედველობაში უნდა იყოს მიღებული, როგორც ერთი მომენტი, ისე მეორეც: არქივისა, ბიბლიოთეკისა და მუზეუმის მონათესავეობა, რომელიც დამყარებულია საერთო სამოქმედო სარბიელის (წმრსულის ძეგლების) ნიადაგზე, საფუძვლად უნდა დაედვას არქივებთან ბიბლიოთეკისა და მუზეუმის, როგორც დამხმარე აპარატის არსებობას, ხოლო მათმა ძირითად ფუნქციათა სხვაობამ, რომელიც თვითეულ ამ დაწესებულებათაგანის სამუშაო დარგის სხვაობასთან არის დაკავშირებული, უნდა განსაზღვროს საარქივო ბიბლიოთეკისა და მუზეუმის მთავარი დანიშნულება და ხასიათი.

განვიხილოთ მოკლედ ასეთი მიდგომით საარქივო ბიბლიოთეკის საკითხი და ვნახოთ, როგორია მისი როლი საარქივო საქმის დარგში.¹

* „საქართველოს არქივი“-ს მეორე წიგნში უკვე დაიბეჭდა ვ. ბროსეს წერილი საარქივო ბიბლიოთეკის შესახებ. ამჟამად იბეჭდება დისკუსიის სახით შ. ჩხეიძის ეს წერილიც. რედაქცია იმედოვნებს, რომ სხვა პირებიც მოისურვებენ ამ საკითხის შესახებ თავისი აზრის გამოთქმას, რომ შესდგეს სათანადო მასალა საკითხის უკუოვანად გადასაწყვეტად.

რედაქცია.

¹ საარქივო მუზეუმისა და მის შემადგენლობის საკითხს ჩვენ ცალკე შევხებით.



საარქივო ბიბლიოთეკის აუცილებლობა.

მაგრამ ვიდრე საარქივო ბიბლიოთეკისა და მისი შემადგენლობის საკითხს არსებითად შევებობოდეთ, საჭიროა გავცეთ პასუხი შემდეგ კითხვაზე: არის თუ არა აუცილებელი, რომ არქივებთან და არქივთსაცავებთან არსებობდეს ცალკე ბიბლიოთეკა და, თუ აუცილებელია, სახელდობრ რატომ?

ჩვენ უკვე ვიცით, რომ „საარქივო მასალის“ ცნებაში შედის ბეჭდვითი ნაწარმოებთა განსაზღვრული კათეგორიაც. ბეჭდვითი ნაწარმოებთა ასეთ კათეგორიას მიეკუთვნება ის ნაბეჭდი მასალები, რომელნიც აღმოცენებული არიან დაწესებულებათა თუ ორგანიზაციათა მუშაობა-მოქმედების პროცესში და რომელთაც, მაშასადამე, თავისი შინაარსისა და წარმოშობის მიხედვით, ორგანიული კავშირი აქვთ ჩვეულებრივი, ე. ი. წერილობითი საარქივო მასალასთან. ასეთ საარქივო მასალას წარმოადგენს, მაგალითად, დაწესებულებისა და ორგანიზაციის მიერ გამოცემული თავისი მუშაობა-მოღვაწეობის დაბეჭდილი ანგარიშები, კანონებისა, დეკრეტებისა და ოფიციალურ დადგენილებათა თუ განკარგულებათა კრებული, დაწესებულების ისტორია, თვით საარქივო მასალების აღწერა, კათალოგი და სხვა.

დასახელებული კათეგორია ბეჭდვითი ნაწარმოებთა, საარქივო მასალების კონცენტრაციისა და დაწესებულებიდან საარქივო ორგანოებში მათი გადაცემის დროს, სრულიად ბუნებრივის გზით, არსებულ წესებისამებრ, გადადის და გროვდება სახელმწიფო არქივთსაცავებსა და აქტთსაცავებში. სახელმწიფო, პროფესიული და კოოპერატიული დაწესებულებები თუ ორგანიზაციები, საარქივო კანონების მიხედვით, ვალდებული არიან თავიანთი საარქივო ფონდებთან ერთად გადასცენ არქივს ყველა ის ნაბეჭდი მასალებიც, რომელნიც ამ ფონდების ბუნებრივ დამატებასა და შევსებას, ან უკეთ, ორგანიულ ნაწილს წარმოადგენენ. წერილობითი საარქივო მასალები და ნაბეჭდი საარქივო მასალები, უკეთეს ისინი ერთი დაწესებულებისა ან ორგანიზაციის მუშაობა-მოქმედების შედეგად აღმოცენებულან, შეადგენენ ერთ მთლიან საარქივო ერთეულს — საარქივო ფონდს — რომლის გაორება და დაქუცმაცება, თანამედროვე არქივისტიკის თვალსაზრისით, უშეშვლად დაუშვებელია. სწორედ ამიტომ, როგორც ვთქვით, ნაბეჭდი საარქივო მასალაც წერილობით საარქივო მასალასთან ერთად, დაწესებულების საარქივო ფონდის არქივისათვის გადაცემის დროს, გადადის უკანასკნელის განკარგულებაში და იქცევა მის საკუთრებად.

ამ გზით საარქივო დაწესებულებათა განკარგულებაში თანდათანობით თავს იყრის დიდძალი დაბეჭდილი მასალა, რომელიც არსებითად ჩვეულებრივი საარქივო მასალისაგან არაფრით არ განსხვავდება და, როგორც ასეთი, მის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს. ამ წესით საარქივო დაწესებულებაში დაგროვილი ნაბეჭდი საარქივო მასალა წლების მანძილზე, განსაკუთრებით მსხვილ არქივთსაცავებსა და აქტთსაცავებში, სწრაფად იზრდება და ჰქმნის საკმაოდ მნიშვნელოვან ფონდს ბეჭდვით ნაწარმოებთა. ეს ფონდი დღითი დღე და სისტემატურად კიდევ უფრო იზრდება და მდიდრდება ამგვარივე ხასიათის მასალათა

¹ იხ. შ. ჩხეტიია, არქივთმეცნიერების შესავალი, თავი 5.

ახალი ნაკადით, ვინაიდან დაწესებულებების მიერ ნაბეჭდ საარქივო მასალის გადაცემა არქივებისათვის, ისევე როგორც წერილობითი მასალისა, შეუჩერებლად გრძელდება.

ამ გარემოებასთან დაკავშირებით ბუნებრივად იბადება საკითხი არქივთსაცავებში დაგროვილ ბეჭდვითი ნაწარმოებთა ბედ-იღბალის შესახებ: ხომ არ წარმოადგენს ეს მასალა არქივისათვის ზედმეტ ბალასტს, რომლისაგან იგი უნდა განიტვირთოს? ის გარემოება, რომ დაბეჭდილ საარქივო მასალასა და დაწერილ საარქივო მასალას შორის, როგორც ენახეთ, უშუალო და ორგანიული კავშირი არსებობს, რის გამოც მათი განცალკევება დაუშვებელია, თავისთავად უდავოს ხდის ორივე კათეგორიის საარქივო მასალის ერთ დაწესებულებაში — არქივში — დაბინავების აუცილებლობას; მაგრამ მეორეს მხრივ იბადება საკითხი, როგორი წესით უნდა მოხდეს ამ ორი არსებითად ერთნაირი, მაგრამ მაინც განსხვავებული საარქივო მასალების, არქივის კედლებში მოწესრიგება და გამოყენება: ხომ არ შეიძლება მათი ერთმეორეში აღრევა და გათქვევთა? სხვას რომ თავი დავანებოთ, წერილობითი საარქივო მასალებისა („საკმეები“, სიგელ-გუჯრები) და ნაბეჭდი მასალების (წიგნები, კრებულები და სხვა) ერთმეორისაგან განურჩევლად, ერთი წესის მიხედვით, მოწესრიგება და ინვენტარიზაცია ტექნიკურადაც შეუძლებელია და, შესაძლებელიც რომ იყოს, დაუშვებელია. წერილობითი ძეგლების ინვენტარიზაცია და სისტემატიზაცია სხვანაირ ტექნიკას მოითხოვს, ხოლო ბეჭდვითი ნაწარმოებთა კიდევ — სხვანაირს, წერილობითი საარქივო მასალის მოწესრიგებისა და გამოყენების მეთოდი ერთია, ხოლო წიგნებისა — მეორე. ერთი სიტყვით როგორც მეცნიერული, ისე აგრეთვე პრაქტიკული თვალსაზრისი, რომლითაც უნდა მიუდგეთ ამ საკითხს, უდავოს ხდის იმ გარემოებას, რომ ნაბეჭდი საარქივო მასალა განცალკევებულ უნდა იქნეს წერილობითი საარქივო მასალისაგან და რომ ამგვარ მასალისათვის არქივში უნდა შეიქნას ცალკე — ბეჭდვითი — განყოფილება.¹

ეს ბეჭდვითი განყოფილება, რომელიც თითქმის ყველა ცოტად თუ ბევრად მსხვილ არქივთსაცავებთან ძალა-უნებურად ჩნდება, იგივე თავისებური ბიბლიოთეკა არის (რა თქმა უნდა, არა ჩვეულებრივი გაგებით), რომელიც არქივთან ორგანიულად არის დაკავშირებული, მაგრამ ამავე დროს თავის შესანახ ერთეულების სისტემატიზაციისა და კატოლოგიზაციისათვის სხვაგვარ მეთოდს და წესებს მოითხოვს, ვიდრე არქივთსაცავი. ეს ბიბლიოთეკა, მთლიანად რომ ავიღოთ შინაარსის მიხედვით, არქივის დამატებასა და შევსებას წარმოადგენს, მაგრამ მეორეს მხრივ იგი განსხვავებული ნაწილია ამ დაწესებულების და მას უკანასკნელისაგან რამოდენიმედ განსხვავებული ფუნქციებიც აქვს დაკისრებული.

ამ რიგად ის მოვლენა, რომ საარქივო ორგანოთა და არქივთსაცავთა წიაღში, არსებულ საარქივო წესების მიხედვით, ბუნებრივად იქმნება და ჩნდება ბეჭდვითი ნაწარმოებთა ერთი კათეგორიის ფონდი, რომელიც ორგანიულ, მაგრამ მაინც ერთგვარადაც განკერძოებულ, ნაწილს წარმოადგენს ჩვეულებრივი სა-

¹ ასეთი ბეჭდვითი განყოფილება თითქმის ყველა ჩვენი ცოტად თუ ბევრად მსხვილ არქივებთან არსებობს: მავალითად, საისტორიო — სამხედრო არქივთან, მთავარ საისტორიო არქივთან, მუნიციპალურ არქივთან, იურიდიულ არქივთან და სხვაგანაც ჩვენ გვაქვს საქმოდ დიდი მოცულობის ბეჭდვითი განყოფილებები.

არქივო ფონდისას, — აუცილებელს ხდის არქივთსაცავებთან ცალკე საარქივო ბიბლიოთეკის არსებობას. ამ შემთხვევაში საარქივო ბიბლიოთეკა, ვითარცა არქივის ნაწილი და დამხმარე აპარატი, ბუნებრივი გზით და ლოლიკური აუცილებლობით, იქცევა არქივის მთლიანი აპარატის ერთგვარ ვინტად და ატრიბუტად.

მაგრამ ამას გარდა არის სხვა გარემოებაც, რომელიც არქივებთან და არქივთსაცავებთან საარქივო ბიბლიოთეკების არსებობის საკითხს დადებითად სწევებს.

საარქივო მასალა არ არის უძრავი და უხმარი მუშა, ხოლო არქივიც ამ მუშის საფლავი და აკლდამა, როგორც ბევრსა ჰგონია. თანამედროვე არქივი დიდი ლაბორატორიაა, სადაც მძაფრი სამეცნიერო მუშაობა სწარმოებს და სადაც ისტორიის ფურცლები იწერება. ამ მუშაობის ობიექტი და ბაზა საარქივო მასალაა, რომელიც წარსული ცხოვრების ღირსშესანიშნავ მოვლენების შესახებ უტყუარ და სანდო ცნობების წიალშემცველია. საარქივო მასალაზე მუშაობს ერთის მხრივ არქივისტი, რომელსაც ვვალემა, მისი სისტემატიზაციითა და ინვენტარიზაციით, ამ მასალის მეცნიერულ და პრაქტიკულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად დამხადება, ხოლო მეორეს მხრივ — მკვლევარი-ისტორიკოსი, რომელიც წარსულ ცხოვრების ფაქტებით დაინტერესებულია.

არქივებსა და არქივთსაცავებში ამგვარი მუშაობის დროს მკვლევარს და თვით არქივისტსაც სჭირია წინასწარ ზოგიერთ ისეთ საკითხების გამოკვლევა, რომელიც საარქივო მასალის შესწავლასა და დამუშავებასთან არის ხლომე დაკავშირებული. მკვლევარმა, მაგალითად, ვიდრე საბუთის შესწავლასა და მასზე დამყარებით გამოკვლევას შეუდგებოდეს, წინასწარ უნდა გამოარკვიოს შემდეგი საკითხები: გამოკვლევებულია თუ არა ის ისტორიული საბუთი, რომელიც მას ამჟამად დაინტერესებს და რომელზედაც ის მუშაობას აწარმოებს, არის თუ არა ეს საბუთი გამოკვლევული მეცნიერის მიერ და რა მხრივ, მოიპოვება თუ არა დამატებითი ბიბლიოგრაფიული ცნობები ამ საბუთისა და მასთან დაკავშირებულ შრომების შესახებ, არის თუ არა შემუარული ან სხვაგვარი ცნობები საბუთში მოხსენებულ ისტორიულ პირთა შესახებ, რამდენად სანდოა ეს საბუთი და სხვა. ხოლო არქივისტიც, რომელიც, როგორც ვთქვით, მოწოდებულია მოახდინოს მის განკარგულებაში მყოფ საარქივო მასალების კლასიფიკაცია და სისტემატიზაცია, იძულებულია წინასწარ გაეცნოს იმ დაწესებულების თუ ორგანიზაციის ისტორიას, რომელსაც ეს საარქივო ფონდი ეკუთვნის წარმოშობით, გამოარკვიოს ამ დაწესებულების სტრუქტურა და მისი ცვლილებების ფაზები, გაითვალისწინოს ძვით ამ საარქივო ფონდის თავგადასავალი, მისი შექმნის პროცესი და სხვა.

ყველა ამ და სხვა მრავალ ანალოგიურ საკითხების გამოკვლევა შესაძლებელი უნდა იყოს იმ დაწესებულების კედლებში, სადაც ეს მუშაობა სწარმოებს და სადაც ამ მუშაობის ობიექტი — საარქივო მასალა — იმყოფება, ე. ი. არქივში და არქივთსაცავში. მართალია, ამ საკითხების გამოსარკვევად ზოგიერთ საჭირო ცნობების მიღება და ამოკრეფა შეიძლება თვით საარქივო მასალებიდან, მაგრამ უმეტესი საკითხების გამოსარკვევად საჭიროა სხვა დამატებითი აპარატი, რომელსაც შეუძლია ამგვარი დახმარების გაწევა როგორც არქივისტისათვის,



ისე მკვლევარისთვისაც. ასეთი დამხმარე აპარატი შეიძლება იყოს ცნობათსაძიებელი ლიტერატურის შემცველი ბიბლიოთეკა, ან სხვანაირად რომ ვთქვათ, საარქივო ბიბლიოთეკა.

ის მოსაზრება, რომ მკვლევარს და არქივისტსაც ამგვარი ცნობებისათვის შეუძლიათ ისარგებლონ სხვა ბიბლიოთეკებით, სრულიად უსაფუძვლოა და არქივებთან ცნობათსაძიებელ ლიტერატურის შემცველ ბიბლიოთეკის აუცილებლობას ვერ გააბათილებს, ვინაიდან ამგვარი შესაძლებლობა, როგორც მკვლევარისა ისე არქივისტისათვის, თითქმის არ არსებობს, ან ყოველ შემთხვევაში ძალიან ცოტაა. საქმე იმაშია, რომ არც არქივისტმა და არც განსაკუთრებით მკვლევარმა არ შეიძლება წინდაწინ იცოდეს ყველა ის საკითხები, რომელთა გამორკვევა საჭირო იქნება განზრახულ მუშაობისათვის. ეს საკითხები უმათერესად თანდათანობით და ნაწილ-ნაწილად (და არა ერთბაშად) აღიძვრებიან ხოლმე თვით მუშაობის პროცესში და ხომ არ შეიძლება ყოველთვის, როდესაც საკითხი წამოიჭრება საარქივო მასალაზე მუშაობის დროს, მკვლევარმა ირბინოს სხვადასხვა ბიბლიოთეკებში. სხვას რომ თავი დაეხანებოთ, ეს ფიზიკურადაც საკმაო უბერხელობასა და დაბრკოლებას ჰქმნის მკვლევარის ნაყოფიერ მუშაობისათვის. ამას გარდა საარქივო ორგანოს მოვალეობა არის მკვლევარს შეუქმნას ხელსაყრელი პირობები მუშაობის დროს და მიაწოდოს მას საარქივო მასალასთან დაკავშირებული ცნობები. ამისთვის კი მას (არქივს) თავის განკარგულებაში უაქმედლად სჭირდება ისეთი დამხმარე აპარატი, როგორიცაა საარქივო ბიბლიოთეკა.

ამ რიგად ის მეორე გარეშობაც, რომ საარქივო ორგანოთა მიერ თავისი პირდაპირი დანიშნულებისა და ფუნქციის ჯეროვანად შესრულებისათვის ცნობათსაძიებელი ლიტერატურა აუცილებელია, არქივთსაცავეებთან დამხმარე აპარატის—საარქივო ბიბლიოთეკის—არსებობის სასარგებლოდ ლაპარაკობს და ამ საკითხს დადებითად სწყვეტს.

საარქივო ბიბლიოთეკის ხასიათი და შემადგენლობა.

ახლა იბადება საკითხი, როგორი ხასიათისა უნდა იყოს ჩვეულებრივი საარქივო ბიბლიოთეკა და როგორი უნდა იყოს მისი შემადგენლობა?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა სრულიად ავდგილი საქმეა მას შემდეგ, რაც ჩვენ გამოვარკვეით, თუ როგორია ის ძირითადი მოთხოვნები, რომელთაც ჩვეულებრივად უყენებენ საარქივო ბიბლიოთეკას, როგორც საარქივო ორგანოს დამხმარე აპარატს. ამ მოთხოვნილებათა მიხედვით, თავისდათავად ცხადია, საარქივო ბიბლიოთეკა, რომელსაც შედარებით ვიწრო და განსაზღვრული დანიშნულება აქვს, არ შეიძლება არ განსხვავდებოდეს ჩვეულებრივი სახალხო ან საჯარო და აკადემიური ბიბლიოთეკებისაგან. საარქივო ბიბლიოთეკა მოწყობილი უნდა იყოს ერთის მხრივ იმ განსაკუთრებულ ფუნქციებთან შეფარდებით, რომელიც მას თავის დანიშნულების მიხედვით აქვს დაკისრებული, ხოლო მეორეს მხრივ მისი ხასიათი უნდა ეგუებოდეს იმ არქივთსაცვის საარქივო ფონდების ხასიათსა და მოცულობას, რომელთანაც ეს ბიბლიოთეკა მოწყობილია. ამ მხრივ საარქივო ბიბლიოთეკა, როგორც ვთქვით, უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ არქივის დამატებითი აპარატი, რომელიც დახმარე-



ბას გაუწევს ისტორიკოსს და მკვლევარს სამეცნიერო ძიების დროს, ხოლო არქივისტს—საარქივო მუშაობის დროს.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ არქივი და საარქივო ორგანო საერთოდ ვერ დაისახავს თავის მიზნად წიგნებით ფართელ სარგებლობის ორგანიზაციას. ამ დანიშნულებას ემსახურება, როგორც ვიცით, სპეციალური ინსტიტუტი და მისი თავის მიზნად დასახვა საარქივო ორგანოების მიერ, სხვა მოსახრებას რომ თავი დავანებოთ, იქნებოდა სხვისი ფუნქციების მითვისება, რაც თავისთავადაც დაუშვებელია. ამიტომ საარქივო ბიბლიოთეკის ხასიათი და შემადგენლობა, ვიმეორებთ, სასტიკად შეთარღვეული უნდა იყოს იმ საარქივო დაწესებულების ფუნქციონალურ მოთხოვნილებებთან, რომლის დამატებას იგი წარმოადგენს. სხვანაირად რომ ვთქვათ, საარქივო ბიბლიოთეკაში უნდა იყოს ისეთი წიგნები და გამოცემანი, რომელნიც შეიცავენ არქივისტისა და მკვლევარისათვის ამა თუ იმ არქივში მუშაობის დროს საჭირო და აუცილებელ ცნობებს.

განვიხილოთ უფრო კონკრეტად საარქივო ბიბლიოთეკების შემადგენელ ლიტერატურის ძირითადი კათეგორიები და გამოვარკვიოთ, ნიშანდობლივ რა ხასიათის წიგნები და გამოცემები შეიძლება მიეკუთვნოს თვითეულ კათეგორიას.

რაკი ჩვენ ვიცით, რომ ნორმალური საარქივო ბიბლიოთეკა უმთავრესად ორ გარკვეულ მიზანს—საარქივო საბუთზე მომუშავე მკვლევარისა და საარქივო დაწესებულებაში მომუშავე არქივისტის მოთხოვნილებებს—ემსახურება, ამიტომ ცხადია იგი უნდა შეიცავდეს ორი მთავარი კათეგორიის ლიტერატურას: ერთის მხრივ საარქივო ბიბლიოთეკაში უნდა ინახებოდეს წიგნები და გამოცემები, რომელნიც მკვლევარს საბუთის შესწავლისა და დამუშავებისათვის აუცილებლად სჭირდება, ხოლო მეორეს მხრივ იქ დაცული უნდა იყოს ისეთი ლიტერატურა, რომელიც არქივისტს გაუადვილებს მასზე დაკისრებულ საქმიან რთულ მოვალეობის შესრულებას.

ორივე კათეგორიის ლიტერატურა, უფრო წვრილ კათეგორიებად და ჯგუფებად რომ დავანაწილოთ, მივიღებთ შემდეგ სამ ძირითად ჯგუფებს:

1. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება დაწესებულებათა და უწყებათა ოფიციაირი გამოცემები, რომელნიც ჩვეულებრივად შეიცავენ კანონებს, დეკრეტებს, ინსტრუქციას-წესებს, ოფიციალურ მოხსენებებს, პროექტებს, დაწესებულების მუშაობა-მოქმედების ანგარიშებს და სხვა. ლიტერატურის ამავე ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს აგრეთვე ისეთი გამოცემები, რომელნიც უწყებისა და დაწესებულების ისტორიას წარმოადგენენ და რომელნიც ამავე დაწესებულებისა და უწყების მიერ არიან გამოცემული.

საერთოდ ოფიციალურ გამოცემებს საქმიან დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ მკვლევარისათვის, მაგრამ ასეთი გამოცემები განსაკუთრებით საჭიროა არქივისტისათვის.

2. მეორე ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს სპეციალური საარქივო ლიტერატურა: მონოგრაფიული შრომები არქივთმეცნიერებიდან, საარქივო ჟურნალები, გამოცემები, სადაც საარქივო საბუთებია გამოქვეყნებული, საარქივო მოღვაწეთა ყრილობებისა და კომფერენციების ანგარიშები, არქივებისა და ცალკე საარქივო საბუთებისადმი მიძღვნილი აღწერები და გამოკვლევები, არქივების ყულაუზები



(путеводители) და სხვა. ეს ჯგუფი შეიძლება შეხამებულ და შევსებულ იქნეს ისეთი ლიტერატურით, რომელიც არქივთმეცნიერებასთან ახლო მდგომ დისციპლინებს (პალეოგრაფიას, დიპლომატიკას, სფრაგისტიკას და სხვ.) წარმოადგენს.

მეორე ჯგუფის ლიტერატურა, თავისდათავად ცხადია, უფრო საჭიროა არქივისტიკისათვის, მაგრამ იგი ზოგიერთ შემთხვევაში დიდ დახმარებას გაუწევს მკვლევარსაც.

3. დასასრულს, მესამე ჯგუფს შეადგენენ ისეთი გამოცემები, რომელნიც ბიბლიოგრაფიულ და ცნობათსაძიებელ ლიტერატურას შეიცავენ. ასეთ ლიტერატურას წარმოადგენენ: მაგალითად, კათალოგები, ენციკლოპედიური და სხვაგვარი ლექსიკონები, ცალკე ბიბლიოგრაფიული შრომები, წიგნის მატრიანები და სხვ. ეს ჯგუფი შეიძლება გაძლიერებულ იქნეს ისეთი ლიტერატურით, რომელიც შეიცავს ცნობებს საარქივო მასალებისა და არქივთსაცავის შესახებ. ასეთია მაგალითად საარქივო მასალების მიხედვით შედგენილი მუშაობები, მოგონებები და სხვა მისთანანი.

მესამე ჯგუფის ლიტერატურა ერთნაირად საჭიროა როგორც მკვლევარისა, ისე არქივში მომუშავისათვის.

ამ სამი ჯგუფის მიხედვით საარქივო ბიბლიოთეკას უნდა ჰქონდეს სამი ძირითადი განყოფილება: 1) დაწესებულებათა და უწყებათა ოფიციალური გამოცემების განყოფილება, 2) სპეციალური საარქივო ლიტერატურის განყოფილება, რომელიც შეიძლება შევსებულ იქნას ისტორიულ-ფილოლოგიური ლიტერატურის ზოგიერთ კათეგორიითაც და 3) ბიბლიოგრაფიული და ცნობათსაძიებელი ლიტერატურის განყოფილება¹.

საკითხის პრაქტიკული მხარე.

ახლა გვრჩება გამოვარკვეოთ საკითხის ერთი მხარე, რომელიც პრაქტიკულ მომენტს ჰგულისხმობს, სახელდობრ, საკითხი, როგორ ხდება არქივებთან და არქივთსაცავებთან საარქივო ბიბლიოთეკის მოწყობა, ან სხვანაირად რომ ვთქვათ, უნდა გამოვარკვეოთ საკითხი—როგორ იქმნება საბიბლიოთეკო ფონდები საარქივო დაწესებულებებთან.

ჩვენ უკვე ვამბობდით, რომ დაწესებულებები, არსებული საარქივო წესისა და პრაქტიკის თანახმად, ჩვეულებრივი საარქივო მასალებთან ერთად, საარქივო ორგანოთ გადასცემენ ხოლმე ნაბეჭდ საარქივო მასალებსაც. ეს ნაბეჭდი საარქივო მასალა, რომელიც დაწესებულებიდან ბუნებრივის გზით გადადის არქივებში, შეადგენს საარქივო ბიბლიოთეკის ფონდის ძირითად პლასტას. მაგრამ დაწესებულებისაგან მიღებული ნაბეჭდი მასალები, ვერც თავისი მოცულობით და ვერც შინაარსით, ვერ შექმნიან ისეთ მნიშვნელოვან საბიბლიოთეკო ფონდს, რომელსაც შეეძლება საარქივო ბიბლიოთეკის დანიშნულების გამართლება. საჭიროა მისი შევსება და გაფართოება ისეთი ლიტერატურით, რომელიც იქ არ აღმოჩნდება და რომელიც ამავე დროს საჭირო არის. საიდან უნდა მოხდეს ეს შევსება?

საარქივო ბიბლიოთეკების ფონდის შესავსებლად ყველაზე უფრო მნიშვნელოვან წყაროს თვით ბიბლიოთეკები წარმოადგენენ, განსაკუთრებით ისეთი

¹ იხ. დამატება.

ბიბლიოთეკები, რომელნიც თავისი ხასიათის მიხედვით, თანამედროვე პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურის ფართე მასაში გამტარებელ აპარატს წარმოადგენენ. ასეთი ბიბლიოთეკებია უმთავრესად პოლიტგანმანათლებელი, სახალხო, საჯარო და ნაწილობრივ კიდევ დაწესებულებათა ბიბლიოთეკები. ასეთი ბიბლიოთეკათა დანიშნულებას განსაკუთრებით ისეთი წიგნების შეძენა და გავრცელება შეადგენს, რომელთაც თანამედროვე ინტერესი და ღირებულება აქვთ: იქ ინახება ისეთი წიგნები, რომელნიც ფართე შკითხველისათვის მისაწოდებლად გამოსადეგია და რომელნიც, მაშასადამე, თავისი შინაარსით თანამედროვე მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელია. ხოლო ისეთი წიგნები, რომელთაც ასეთი მოთხოვნილების დამაკმაყოფილება არ შეუძლიათ, ასეთ ბიბლიოთეკების კედლებში ვერ დაიჩვენებიან.

ცნობილია, რომ წიგნები დროთა განმავლობაში ჰკარგავენ თავის უწინდელ მნიშვნელობას და იქცევიან მხოლოდ ბიბლიოგრაფიული და ისტორიული ინტერესის მატარებელ ძეგლად. ასეთი წიგნები, როგორც ვთქვით, ჩვეულებრივს ბიბლიოთეკებში სრულიად ზედმეტ ბარგს წარმოადგენენ და, როგორც ასეთნი, იქიდან გამოსარიცხი არიან. ვერც სხვა ბიბლიოთეკები, როგორც მაგალითად, საუნივერსიტეტო და საერთოდ აკადემიური ბიბლიოთეკები, ვერ დაისახავენ თავის მიზნად ხანგასულ და დამძველებულ ლიტერატურის გამრავლებას, ვინაიდან მათთვისაც ასეთი ლიტერატურა გამოუსადეგარ და, მაშასადამე, ზედმეტ ბალასტს წარმოადგენს.

ამ გარემოებასთან დაკავშირებით, როგორც ვიცით, ყველა ტიპის ბიბლიოთეკებში ხდება წიგნების გადარჩევა და წმენდა, რის შედეგად ის ლიტერატურა, რომელიც ამ ბიბლიოთეკებისათვის, თავისი შინაარსისა და ხანგასულობის გამო, მიუღებელი და შეუფერებელია, მათი შეშადგენლობიდან გამოირიცხება ხოლმე. ბიბლიოთეკებიდან ამ გზით გამოირიცხული ლიტერატურა, საარქივო პრაქტიკის თანახმად, გადადის საარქივო ორგანოთა განკარგულებაში და ამრიგად შეადგენს უკანასკნელის საბიბლიოთეკო ფონდს.

აქვე საჭიროა აღვნიშნოთ, რომ არსებობენ ისეთი ბიბლიოთეკები, რომელთაც წმინდა საარქივო ხასიათი აქვთ, და რომელნიც ამის გამო არქივებად ითვლებიან კიდევაც. ასეთი ბიბლიოთეკებია, მაგალითად, დს. ევროპაში ფრიდრიხ ენგელსის, დიდროს და სხვა მოღვაწეთა პირადი ბიბლიოთეკები. ასეთი ბიბლიოთეკები მოიპოვება ჩვენშიაც.

ასეთი ბიბლიოთეკები ჩვეულებრივად მრავალ ხელნაწერ მისალასა და საბუთებს შეიცავენ, ამას გარდა წიგნების ფურცლებზე (კიდებებზე) უწინდელ პატრონთა მიერ გაკეთებული შენიშვნები მოიპოვება. ამიტომ ეს ბიბლიოთეკები, საარქივო პრაქტიკის მიხედვით, როგორც ვთქვით, საარქივო ბიბლიოთეკებად, ან უკეთ საარქივო ფონდად ითვლებიან და, როგორც ასეთნი, არქივებისთვის გადასაცემად არიან განკუთვნილი. ეს ბიბლიოთეკებიც, მაშასადამე, ბუნებრივად საარქივო ბიბლიოთეკების ფონდს გააძლიერებენ და შეავსებენ.

დასასრულ, საარქივო ბიბლიოთეკები თავისი ფონდის შესავსებლად იძულებული იქნებიან ზოგიერთი საჭირო ლიტერატურა შეიძინონ შესყიდვით. ეს შეეხება უმთავრესად სპეციალურ საარქივო წიგნებსა და გამოცემებს. ამგვარი შეძენა უნდა ხდებოდეს წინასწარ შემუშავებულ პროგრამის მიხედვით იმ არქივის ხასიათსა და მოცულობასთან სასტიკად შეფარდებით, რომელთანაც ეს ბიბლიოთეკა ეწყობა.

1 იხ. Протоколы первого съезда архивных деятелей, 1926 წ., М. Л., გვ. 67.

დამატება

1. საინფორმაციო მარკინგული საარქივო ბიბლიოთეკის შემადგენლობისა

1. დაწესებულებათა და უწყებათა ოფიციალური გამოცემები.

1) დაწესებულებათა და უწყებათა მუშაობა-მოქმედების ანგარიშები. მაგალითად: ა) რესპუბლიკის სოციალური წესის სამმართველოს და დამზღვევე კასების 1924—25 საოპერაციო წლის მოქმედების ანგარიში, 1926 წ., ტფილისი; ბ) საქართველოს ს.ს.რ. მთავრობის 1925 წლის მოქმედების ანგარიში, 1926 წ., ტფილისი, და სხვ.

2) კანონები, დეკრეტები, დადგენილებები, ინსტრუქციები და წესები. მაგალითად: ა) ამიერ-კავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის ძირითადი კანონი (კონსტიტუცია), 1926 წ., ტფილისი; ბ) საოქალაქო სამართლის კოდექსი, 1926 წ., ტფილისი; გ) კრებულთა დადგენილებების და ცირკულიარების, 1926 წ., ტფილისი, და სხვ.

3) დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ისტორია, თავგადასავალი და წესდება. მაგალითად: ა) საქართველოს ბინათმშენებლობის ქოპერაციის „საბკავშირო“-ს წესდება, 1926 წ., ტფილისი; ბ) საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ისტორია 1926 წ., ტფილისი, ს. თალაკვაძესი; გ) საქართველოს ს.ს.რ. საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკების პროფკავშირის წესდება და სხვ.

4) დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ოფიციალური ორგანოები: ჟურნალები, ბიულეტენები და გაზეთები. მაგალითად: ა) გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 - 21 წ., ტფილისი; ბ) საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ბიულეტენი № 1—6 და შემდეგი; გ) სახელმწიფო სტატისტიკის მთავრობის, 1925 წლიდან; დ) გაზ. „კომუნისტი“, „მუშა“, „Заря Востока“ და სხვა.

2. არქივთმეცნიერება და მისი მონათესავე დარგების ლიტერატურა.

1) საარქივო მონოგრაფიები და შრომები: წიგნები, სახელმძღვანელოები და სხვ. მაგალითად: ა) Archivwesen, Löher; ბ) Das deutsche Archivwesen, Seine Geschichte und Organisation, Loewe; გ) Anleitung zum Ordnen und Bearbeiten von Archiven, Müller, Feith და Frűin; დ) Архивное дело на Западе, Д. Самоквасов, 1900 წ. მოსკოვი; ე) Архивное дело в России, Д. Самоквасов, I-II, 1902 წ., მოსკოვი; ვ) Архивные Курсы, вып I, II, III, პეტროგრადი, 1920 წ.; ზ) არქივთმეცნიერების შესავალი, შ. ჩხეტია, 1927 წ., ტფილისი; საარქივო აღმშენებლობის ძირითადი პრინციპები უკრაინაში, შ. ჩხეტია, 1926 წ., ტფილისი; ი) Нариси з архивознавства, В. Романовський, ხარკოვი, 1926 წ. სხვ.

2) საარქივო ყრილობებისა და კონფერენციების ანგარიშები. მაგალითად: ა) Протоколы I-го С'езда Архивных Деятелей РСФСР в 1925 году, ბ) Международный с'езд архивариусов и библиотекарей 1910 года, — Журнал мин нар. пров. 1911 года, февраль გ) Працы Першаго З'езду Дасьледчыкаў Беларускае Архэолёгіі і Архэографіі 17—18 студзеня 1926 году, მინსკი, 1926 წ. და სხვ.



3. საარქივო კანონები, წესები, ინსტრუქციები და სხვ. მაგალითად: ა) Сборник узаконений и распоряжений по архивному делу, московский, 192 წ.; ბ) Руководство по приему, размещению и составлению описей архивного материала, 1922 წ., მოსკოვი; გ) Правила постановки архивной части делопроизводства, 1926 წ., მოსკოვი, დ) საარქივო კანონები და წესები საქართველოში, ჟურ. „საქართველოს არქივი“, წიგ. I, ტფილისი, 1926 წ. და სხვ.

4) საარქივო ჟურნალები და ბიულეტენები. მაგალითად: ა) საისტორიო-საარქივო სამეცნიერო ორგანო „საქართველოს არქივი“ წიგ. I, II, III და შემდეგი ნომრები, 1926 წ.-დან, ტფილისი; ბ) ანალოგიური ორგანო რუსეთის ცენტრ-არქივის Архивное Дело, вып. I-X და შემდეგი ნომრები; გ) ჟურ. ცენტრარქივის საარქივო ჟურნალი Архивна Справа, № 1-4 და შემდეგი; დ) Бюллетень Центрархива РСФСР, № 1-58 და სხვ.

5) არქივთმცნიერების მონათესავე დარგების ლიტერატურა — ისტორია, პალეოგრაფია, დიპლომატიკა და სხვ. მაგალითად: ა) ქართველი ერის ისტორია, წიგ. I, II, IV და შემდეგი, პროფ. ივ. ჯავახიშვილის; ბ) ქართული სამართლის ისტორია, პროფ. ივ. ჯავახიშვილის; გ) ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინეთა და ესლა, ივ. ჯავახიშვილის; დ) ქართული საფას-საზომთა მკვლევება ანუ ნუზმატიკა-მეტეოლოგია, ივ. ჯავახიშვილის, 1925 წ., ტფილისი; ე) ქართული დამწერლობათა-მკვლევება ანუ პალეოგრაფია, ივ. ჯავახიშვილის, 1926 წ., ტფილისი, ვ) ქართული სიგელთა-მკვლევება ანუ დიპლომატიკა, ივ. ჯავახიშვილის, 1926 წ. ტფილისი; ზ) ქართული ლიტერატურის ისტორია, პროფ. კ. კეკელიძის, წიგ. I, 1924 წ., წიგ. II, 1926 წ., ტფილისი და სხვ.

6) გამოცემები, რომლებშიც ქვეყნდება საარქივო მასალები. მაგალითად: ა) Акты Кавказской археографической комиссии, 12 ტომი, 1866-1904 წ.წ., ტფილისი; ბ) საისტორიო მოამბე, წიგ. I, II, 1924 წ., წიგ. I, II, 1925 წ., ტფილისი; გ) Красный Архив, 1-18 ტ.; დ) Червоный Архив № 1, ხარკოვი, 1925 წ. და სხვ.

3. ბიბლიოგრაფიული და ცნობათ-საძიებელი ლიტერატურა.

1) ენციკლოპედიური და სხვაგვარი ლექსიკონები. მაგალითად: ა) ქართულ-იტალიური ლექსიკონი, შედგენილი პაოლინის მიერ, 1629 წ., რომი; ბ) მეტოდური ლექსიკონი ქართულ-ფრანციკულ-რუსული, მპყრობელი ლექსთა ყოველთა ნაწილთა სიტყვათა, უმეტეს ხმარებულთა და განწყობილთა საგანთაებრ, სულხანოვი, 1839 წ., ტფილისი; გ) სამეცნიერო ლექსიკონი ქართულ-რუსულ-ფრანციკული, დავითი ჩუბინოვი, 1840 წ., სანკტ-პეტერბურგი; დ) ქართული ლექსიკონი, საბა-სულხან ორბელიანის, გამოცემული რ. ერისთავის რედაქტორობით, 1884 წ., ტფილისი; ე) Большая Советская Энциклопедия, მოსკოვი, 1890 წ.; ვ) Энциклопедический Словарь, Брокгауз-Ефрон, С-Петербург, 1890 წ.; ზ) Энциклопедический Словарь Русского Библиографического Института, Гранат и К⁰; თ) Большая Энциклопедия, „Просвещение“ და სხვ.

2) კათალოგები და მაჩვენებლები. მაგალითად: ა) ქრონოლოგიური მაჩვენებელი წიგნთა და წიგნაკთა, დაბეჭდილთა ქართულს ენაზედ 1629 წ.—1883 წლამდე, კავკასიის საცენზურო კომიტეტის გამოცემა, 1883 წ., ტფილისი; ბ) კატალოგი ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნთსაცავის, დ. კარიჭაშვილი, 1904 წ., ტფილისი, დამატებითი კატალოგი, 1911 წ.; გ) ტფილისის ბიბლიოთეკების ქართული წიგნაკების შეერთებული კათალოგი, 1925 წ., ტფილისი, და სხვ.



3) ადმინისტრატიული დანაწილებისა და სამსამართო ცნობების შემცველი გამოცემები. მაგალითად: ა) საქართველოს ადმინისტრატიული დაყოფა, შინაგან საქმეთა სახ. კო—ტის გამოცემა, 1925 წ. ტფილისი; ბ) Административно-политическое строение СССР, Ленинград, 1924 წ.; გ) ქალაქ ტფილისის მაჩვენებელი, ტფილისის აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილების გამოცემა, 1925 წ.; დ) ცნობათა წიგნი „მთელი ტფილისი“, 1926 წ., ტფილისის აღმასკომის გამოცემა; ე) Справочная книга „Советское Закавказье“, Закавказье-ს გამოცემა, 1927 წ., ტფილისი, და სხვ.

4) ბიბლიოგრაფიული გამოცემები. მაგალითად: ა) საქართველოს წიგნის პალატის ორგანო „წიგნის მატეანე“, წიგ. 1—4 და შემდეგი ნომრები, ბ) პერიოდული საბიბლიოთეკონომიო და საბიბლიოგრაფიო ორგანო „წიგნის მეგობარი“, № 1—2, საქართველოს პოლიტგანათლების მთავარი სამმართველოს ტ პროფკავშირთა საბჭოს გამოცემა, 1925 წ., ტფილისი; გ) სვანეთის ბიბლიოგრაფიისათვის, ისტორიული ცნობა, პიმენ დვალი, 1926 წ., ტფილისი, და სხვა მისთანანი.

II საგნის ლიტერატურა.

1. F. Eichler, Bibliothekswissenschaft, 1923 წ., Graz—Leipzig.
2. Langlois et Stein, Les Archives de l'histoire de France, 1893 წ., Paris (განსაკ. გვ. 849, 850, 851, 852).
3. Revue Internationale des Archives, Bibliothèques et Musées, Paris, 1895—97 წ. წ. (განსაკ. გვ. 19, 20, 21, 1895 წ.).
4. Bulletin des bibliothèques et des archives, Paris, 1883 წ.—დაბ.
5. Löhner, Archivlehre, Paderborn, 1890 წ., (განსაკ. გვ. 266, 325, 326, 337).
6. Revue des Bibliothèques, Paris, 1923 წ. (განსაკ. №№ 4—6).
7. М. Ахун, К вопросу об организации научно-справочных библиотек при архивохранилищах, А. Д., წ. VIII—IX.
8. И. Маяковский, Архив, библиотека и музей, А. Д., V—VI, VII, 1926 წ.
9. В. Щеглов, Международный съезд архивариусов и библиотечарей 1910 года, (Журнал министерства народного просвещения, 1911 წ. თებერვალი).
10. Протоколы съезда архивных деятелей РСФСР, М.—Л. 1926 წ. (ადორატსკის მოხსენება და რეზოლუცია მის მოხსენების შესახებ).
11. В. Романовский, Нариси з архивознавства, історія архивної справи на Україні та приципи порякування в архівах, 1927 წ., Харків (თავი—Архівна бібліотека, გვ. 122).
12. Вюллетень Центрархива РСФСР, № 2 (57), 1927 წ. 30 მარტი (თავი—Об организации научно-справочных библиотек при местных архивных учреждениях).



**მეფე გიორგი IX მიერ მცხეთის სუბტიცხოვლისადმი
გოძეხული. სიგელი 1447 წ.**

საქართველოს ცენტრარქივის ძველი ქართული საბუთების არქივში და
ცულია¹ მეფე გიორგი IX მიერ მცხეთის სვეტიცხოვლისადმი ბოძებული
„ველითა“ ელიოზის ძისა ელიოზისითა: „ეტრატზედ დაწერილი სიგელი
სიგრძით 283 და სიგანით 33 სანტიმეტრი. ტექსტი მხედრული XV საუკუნის
ჩინებულ მდივანწიგნობრულის ხელით არის ნაწერი და თვითეული სიტყვის
შემდგომ ნახმარია სამწერტილი (.), ხოლო თვითეული სტრიქონის ბოლოს
ნიშნად ნახმარია ორწერტილხაზი (:—), რასაც ვტოვებთ სტრიქონის დასაწყის-
ის და დასასრულის აღსანიშნავად. სიგლის შუანაწილის სამი სტრიქონის და ბო-
ლო სამ სტრიქონის ფოტოტიპი დაბეჭდილია ტფილისში 1881 წელს შეკრე-
ბილ მე-V არქეოლოგიურ ყრილობის შრომებში². ეტრატი პალიმესტია და
ბევრ ადგილას მოსჩანს სომხური ტექსტი. სიგელს აქვს შემდეგი მიწაწერები:

- ა) II გვ. XVIII საუკ. ხელით: „გუჯარი: ქართული: და: კახური: ყველა:
ამაში: სწერია:, № 60
- ბ) „ „ სიგელი: კახური: და: ქართლული: სოფლებისა: გუჯარია:“
- გ) „ XVII საუკ. ხელით: სიგელი ძაგნაკორნული: და: ნოდოკრი-
სა: და: ერწოსი: და: ანეშურია.

თვით სიგელი შესდგება შვიდი კეფისაგან, რომლებიც ერთი მეორესთან,
ზოგი პირდაპირ გადაკერებულია ყაქის ძაფით, ზოგი კი ჯვარედინათ შეერთე-
ბულია აბრეშუმის თეთრი ძაფით. ზოგიერთ კეფს შერჩენილი აქვს ტექსტისავე
ხელით ნაწერი კეფთა სათვალავი, რომელიც აწერია კეფს მარცხენა მხრით,
ან თავში ან ბოლოში, მაგ. გ, ე, ვ და ზ.

თავი სიგლისა დაზიანებულია და ბ.კეფთან შეერთებულია მწვანე და შავი
ფერის აბრეშუმის ძაფით. სიგლის მარცხენა მხრის ზოგიერთი ადგილები გან-
რყუნილია და ტექსტის 5 სტრიქონი დაზიანებულია. როგორც სიგლის თხრო-
ბა-განგებულებიდან ჩანს „...ქამთა შლილოიისაგან შეცვალებოდეს და საყდარ-
სა აღარა ჰქონდეს.... პატრონისა მამისა ჩუენისაგან განჩენილისა დამტკიცება...“

¹ არქივის № 7124, მცხეთის ნუსხით № 60, ს ი ბ. (ასომთავრულად).
² Труды V-го Археологического съезда в Тифлисе 213 გვ. და Табл. XXVI, № 3.
Москва 1887 г.



ახლად გუჯართა ამით ჩუნეცა დავამტკიცეთ*ო, ამბობს გიორგი IX, მაშასადამე სიგელი წარმოადგენს საკათალიკოზო მამულების სიის განახლებას. ტექსტის პირველი შემოკლებული რუსული თარგმანი დაბეჭდა დ. პ. ფურცელაძემ¹. ხოლო ქართულად აგრეთვე შემოკლებით განსვენებულმა ისტორიკოსმა თედო ჟორდანიამ² თავის ქრონიკაში და მესამედ ცალკე პატარა წიგნად გამოსცა ს. კაკაბაძემ³. ზემოხსენებულ მკვლევართ ზოგიერთი ვარემოებისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ; ტექსტი შემოკლების გარდა, ზოგიერთგან დამახინჯებულიცაა, რის გამოც ტექსტის ახლად გამოცემა აუცალებლად მიგვაჩნია. ჩვენამდე მოღწეული ეს-საბუთი გარდანაწერი უნდა იყოს⁴ იმ დედნიდან, რომელიც გიორგი IX უნდა ებოძებინა მცხეთის ტაძრისადმი. დედანი შეუძლებელია დაწერილიყო ისეთ ეტრატზედ, რომელზედაც ბევრ ალავას გარკვევით მოჩანს სომხური ტექსტი.. ეს სიგელი რომ დაწერილი ყოფილიყო „პელითა ელიოზის ძისა ელიოზისითა“, რომელსაც უძველად ეცოდინებოდა, რომ ამ დროს ვახტანგი უკვე ცოცხალი აღარ იყო, იგი უშეძელია, არ დასწერდა ჯერ ვახტანგის სახელს და ზედვე არ დააწერდა გიორგის სახელს. ეს რასაკვირველია გარდამწერის ბრალი უნდა იყოს, რაც უნდა მომხდარიყო იმავე ხანებში, ყოველ შემთხვევაში მე-XV საუკუნის პირველ ნახევრის დასასრულამდე. როგორც ცნობილია „ჩხვიძის ქრონიკით კეს რლდ (1446 წ.).... მეფე ვახტანგ მიიცვალა“⁵ რაც უნდა მომხდარიყო 1446 წლის დეკემბრის 10-20-დე, და, როგორც ეს პატივცემულმა პროფ. ივანე ჯავახიშვილმა გამოარკვია, გიორგი მე-IX-ე „1446 წ. 25 დეკემბრის ახლო ხანებში უნდა დამჯდარიყო მეფედ“⁶ ის გარემოებაც რომ „ქეს რლე; დეკემბრ. კე: დღეს“⁷ გიორგი IX მეფობის ერთი ინდიქტიონი სრულდება, ამორი აზრის დამადასტურებელი საბუთია.

რაც შეეხება ტექსტს, მასში საკმაოდ არის დაყალბებული ადგილები⁸, მაგ. იქ სადაც იწყება სიტყვები: „შავქედს ჩაღმართ“—იდან მოყოლებული ვიდრე სიტყვები: „ერწოს სოფელი“ ამოფხვკილია მთელი 5 სტრიქონი და მე-XIX საუკ. დასაწყისის ხელით არის ნაწერი; სადაც სიტყვებია: „ივრის პირას“, სწორედ იქ მოჩანს „შავქედს ჩაღმართ“; „მუხრანს“ ალავს არის რ... ნ...ს“. სადაც ეწერებოდა „მუხრანს“; სადაც სწერია „მცხეთის გორა“, გარკვევით მოჩანს „მცხეთის სახლი“; სადაც „ამის შიგან არის“, იქ ჩანს „ორნივე უდაბნოი“; სადაც „მთა საფსტე“ა, მოჩანს „დოდო“; სადაც

1 Д. П. Пурцеладзе Грузинские Церковные гуджары 104 ст. 1881 г. Тифлис.
 2 თ. ჟორდანი, ქრონიკები II წ. 259 გვ.
 3 ს. კაკაბაძე, მცხეთის საკათალიკოზო მამულების გუჯარი 1447-1448 წ. გიორგი IX-ის მიერ ბოძებული.
 4 შენ: ტექსტის შედარებისას ვიხმართ, ჟორდ, ქრონიკ.=ქრ. ს. კაკაბაძეს მცხ. საქ. მამ.=კაკ.
 5 რასაც ტექსტის ზოგიერთი ადგილების გამოტოვება და აღრეულობაც ამტკიცებს.
 6 თ. ჟორდ, ქრონიკები II წ., 258 გვ.
 7 პროფ. ი. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, მეოთხე წიგნი I ნაწ. 42 გვ. ტ. 1924 წელ.
 8 თ. ჟორდ. ქრონიკები II წ: 260 გვ.
 * რაც ტექსტში შევად იქნება აწყობილი.



„ციხე გარდმოვლით“ არის, „წისა დავითისა“ მოჩანს; სიტყვიდან „ქეხო-ფადალაშენი“... ჩანს „საფლავისა“... მისითა: — მამულითა... და: — შესავლი-თა: და სამკრითა და მზღვრითა... მითითა... და... უკლებლად... შეუკადრებე-ლი: .. [შეკადრებული ყ... არს... ელი... და მითითა... მამულებითა“.

აქ მცხეთის გორა გეოგრაფიული ადგილის აღწინაშენელია, ხოლო „მცხეთის საკათალიკოზო ტახტი, როგორც საბრძანებელი „მცხეთის სახ-ლ“-ის სახელს ატარებდა¹“. ცხადია თუ ამ ორ ცნებათა შორის რა დიდი გან-სხვავება არის; მაშასადამე დაყალბება, როგორც ამ და სხვა ბევრ შემთხვევა-შიაც, „შედარებით ახალი, „შეთხუზული“ უნდა იყოს“ ერთის მხრივ“ წოდებრი-ვი უპირატესობის მოსაპოვებლად². და მეორეს მხრით მითვისების მიზნით აღ-გილ-მამულებისა, რასაც სხვათა შორის სიგლის II-ე გვერდზედ რუსულად მინა-წერი შემდეგი გადაწყვეტილებაც ამტკიცებს:

1848 года июня 4 дня, на основании журнального постановления Тиф-лисского Уездного Суда на 7-го мая сего 1848 года состоявшегося, на сем документе делается настоящая надпись в том, что таковой был принимаем в соображение при решении дела об имени Дворян Гараканидзеых с церковью и что по сему делу состоялось решение Правительствующего Се-ната, Высочайшее утвержденное, в силу коего определено отобранное от Дворянина Гараканидзеа в 1810 году в церковное ведомство имение и кре-стьян в селении Земоавчалах, возвратить ему с доходами с того времени церквою полученными.

Заседатель В. Шульцки (?)

Секретарь Котийкин

Столоначальник Могнетов (?).

ამ სიგელის ძირითად ტექსტში გარაყანიძეთა შესახებ კრინტიც არ არის დაძრული, მაგრამ, როგორც მინაწერიდანა ჩანს, ეს სიგელი ჰქონიათ „შემდეგე-ბაში“ გადაწყვეტილების დროს, რაც ახასიათებს მაშინდელ „ახალ“ დაწესებუ-ლებათა მიდგომილებას — ცალმხრივობას, რის დამადასტურებელი საბუთები მრავ-ლად მოიპოვება.

რომ შემთხვევით გამოტოვებული, გადასწორებული და ჩამატებული ამ სი-გელში არაფერია, არამედ ყოველივე განზრახ არის, ამაში ჩვენ უკვე ზემოდ დაფ-რწმუნდით. იმ შემთხვევაში, როდესაც მეფეებს ან სხვა დანარჩენთ გამოჩვენო-დათ ხოლმე სიგელში რომელიმე სოფლის სახელი აღუწინაშენელი, მაშინ, უმეტეს შემთხვევაში განსაკუთრებული სიგელი იწერებოდა, მაგ. გიორგი IX-ვე 1449 წ-დეკემბრის კე. დღეს კოზ დავითისადმი ბოძებულ სიგელში ნათქვამია: „მოგა-კსენენ ნიაბის ბოლოს გომნი სოფელი სრულიად და უკლებლად... ძეულად-განცა მცხეთისანი ყოფილიყვნენ... შეკვლიყო (სიგლის დამწერს) და — ახლად შემოგწირენით და მოგაკსენეით“ და სხვა³.

¹ პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია წ. I. 7-8 გვ. ქ. 1919 წ.
² მისივე, ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა გვ. 188 ტ. 1926 წ.
³ თ. ევარდ. კრონიკ. II წ. გვ. 261.



სიგელი მრავალ მხრივ საყურადღებოა, განსაკუთრებით კი „მცხეთის სახლის“, სხვადასხვა ხანებში, ადგილ-მამულის რაოდენობა-სიგრცის და ეკონომიური ვითარების ცვალოდობადობის შესწავლისათვის. ტექსტს ვებეჭავთ უცვლელად.

ბ ე ძ ს ბ ი

[რო]მელი არს და რომლისა:—(ხვეულად) —[ძა]ლით ექმნეს ყოველნი აღნაგნი არსისა ირსთა უცვალებელისა:— სა ძალგანუზომელისა გარე შემოუწერელისა, ხოლო მიუ: —[დგა]მელობით ცნობილისა, რომელსა ძალნი უკორცოთანი თუნი: —ერ გარეშე მისსა სახიერებით ვერ მისწუთებინან ცნობად და თულ: —[ნი] შედგმად, რომელსა ცანი ვერ დაიტევენ და წესნი ანგელოზთანი: —უძრწიან, რომელსა ქუეყანა ვითარცა გუგა ეგრეთ შემოუწერია, უსაზღვრო: —განუცდელი და გარე შემოუწერელი, ურაბამო, ურაულო, ყოველგან მყოფი: — და ყოველთა მხედი, მბადი და წარმომაარსებელი ყოველთა ყოფილთა და: —ყოველთა ეპა, ვითარ კსნისათუის ჩუენ ცოდვილთასა სამოსა შენსა უთესლოდ და: —უხრწნელად შეურევენელად და შეუგინებლად დაიტა დაუტევენელი ცათა და ქუეყა: —ნისა და თბითა კაცობრივითა შემოსილ იქმნა, რომელმან წმის ყოფით და: —ჰბადნა ყოველნი აღნაგნი, ვითარ მონათა თანა შერაცხილად ჰშევ, ვიტყუი: ლთე: —ბასა და კაცებასა ორითა ბუნებითა სრულითა, რომლისა შობასა ანგელოზნი: —ვითარცა ლთსა. მოგუნი, ვითარცა მეუფესა ვარსკვლავნი, ვიდარცა დამბად: —ებელსა ერნი, ვითარცა მაცხოვარსა და მწყემსნი, ვითარცა მონასა მ: —სახურებდეს რომელსა ევენებოდა ვითარცა კაცსა და თავსიღვა ჩუენ ცთომილთათუის: —შომშილი, წყურილი, ნალულისა სუმა, ყურიმლისა ცემა და სამსჭუალთა მიერ: —გუერდსა მოწყლვა, ეპა, რომლისა მრ აღიკოცა ყოველივე მომუჟირტოვენება: — და უსჯულოება, ცხედარო სოლომონისო, ასულო დავითისო, რომელი შეყუარებულ: —იქმნა ძისაგან შენისა, რომელი ეგე ადამს ემაჲ და დედა ექმენ ევას დედაო: — და ქალწულად მშობელო ევმანოელისა, რომელი ეგე სამწლის მიყუანე: —ბულ ექმენ ტაძარად, ტაძარო სულისა წმიდისაო, მახარებელო ევას ნაშობთა: —ბრალეულთაო ბნელისაგან წყუდიადისა ნათლად მომუჟინებელო, არ მუცლით: —ქალწულო, გარნა სულისა მიერ წმიდისა ნათლად მოცემისა და ჩუენდა ზღუდედ: —გამორჩეულო წარმმართველო მეფობისა ჩუენისაო, დიდებაო და სიმტ: —კიცო სკიპტრა პორფირისა და გუირგუინისა ჩუენისაო მეტეხთა და ხახულისა ლთის: — მშობელო, მეოხებითა და შუა მდგომელობითა მედარებელმნ¹ ძისა: — თქუენისამნ და მონდობილმნ ცვა ფარვათა თქვენთამნ და განმერთებელმნ ლი: — ხო იმერისა და ლიხთ ამერისამან ორისავე სამეფოსა მტკიცეთ და შეურყე: — ველად მპყრობელმნ აფხაზთა და ქართველთა მეფეთა მეფე-

¹ კატ. 2 გვ. მკადრებელმან.
შენ. გეოგრაფიული სახელები ტექსტიდან განსხვევების მიზნით აწყობილია გაფანტულად.
შენ.: სადაც ორივე გამოცემაში ასო ვ არის იქ უნდა იყოს უი.



მან გიგი¹: — რაოდენი ქება და მადლობა შევსწირო თქუენდ მომართ, ვითარი ქველის: — საქმე ექმნე² წინაშე ძისა თქუენისა ჩუენდა მომართ ესრეთ წყალობა აურაცხელისა: — ვითარცა ესერა ბრწყინვენ ოთხნივე კედარნი მეფობისა ჩუენისანი და შეწვენითა: — და წინამძღობითა ძელისა ცბორებისათა აგარის ნათესავანი (sic) და მტერნი და წი: — ნა აღმდგომნი ჩუენნი სამარადისოდ ლტოლვილ და უკუნქცეულ არიან დღე: — ნდელად დღედმდე, არამედ აჰა ესერა მოწვენულ იყო საშინელება და რისხვა: — საშინელებით აღძრული, მსგავსი ცოდვითა ჩუენთა და ეამსა პაპისა ძმისა ჩუენი: — სა მეფეთა მეფისა გგისსა და მეფობასა და პატრონობასა შინა მისსა მოსრულ: — იყო უსჯულოებით აღძრული და ყოვლისა ქუეყანისა მარკრებელი და: — ყოვლისა სჯულისა მტერი აგარის მონათესავე და წინა აღმდგომი ყოველთა: — ჯუარის მოსავთა უსჯულო თემურ მრავლითა და აურაცხელითა ულუსითა: — და ამოწყუიდა საქართველო და მრავალნი სულნი პირითა მახუილისათა მოცსრნეს: — და ახალი იერუსალემი და ქრისტიანეთა სჯულისა საძირკველი და განმანათლებელი ქრი: — სტიანეთა დედა ქალაქი საყდარი მცხეთა დაექცია და უსაშინელეს და უმწარეს მოწე: — ვნულ იყო დღე იგი დღესა მას რომელ კრეტ საბმელ³ ტაძრისა განიბო მზე და: — ბნელდა და ქუეყანა ზარტეხილ იქმნა, ხოლო ვინათგან არა და უტეობს უფალი: — კუერთხსა ცოდვილთასა ნაწილსა ზედა მართალთასა კულად მშუილობა ყო (ღმერთმან) საქართველოს: — ა ზედა და შემდგომად ამისა ღირსყო ღწ მამა ჩუენი პატივსა მეფობისსა: — მოღებად და ეგულვა და ეგულს მოდგინა კულად აღშენებად ყოვლად წმიდისა: — და პატიოსნისა ტაძრისა ყდ სანეტარო[ი]სა⁴ დედა ქალაქისა მცხეთისა საყდრისა: — და ენება მოწყალეზსა (sic). ღთისსა და ყოვლითურთ სრულ ექმნა და რომელნიცა: — საყდრისა მამულნი ეამთა შლილობისაგან შესცვალებოდეს და საყდარსა ალა: — არა (sic) ჰქონდეს ყოველნივე შეწირნეს და სიგელებითა დაემტკიცნეს ხოლო: — შემდგომად მათსა ვინათგან ინება მოწყალეზმან⁵ ღთისამან და ორისავე ტაბ: — ტისა კელმწიფედ მპყრობელ ვიქმენით რადმცა უკუილაგმა გონება ჩუენი: — სამსხურებელად სუეტისა ღთივ აღმართებულისა კუართისა სამეუფოსა და: — მიპრონისა ღთ მყოფელისა და ვითა სამართლად გუმართებდა პატრონ: — ისა მამისა ჩუენისაგან განჩენილისა და მტკიცება ეგრედ ჯერ ვიჩინეთ: — გამოწულილვით⁶ ვიძიეთ და გულს მოდგინებით ახლად გუჯრითა ამით: — ჩუენცა⁷ დავამტკიცეთ⁸ და ვათარხნეთ და ვათავის უფლეთ რაცა და რასთანაცა: — ტაძრისა თქუენისა საყდრისა დედა ქალაქისა მცხეთისა შავქედ ჩამოღმართ: — იორისა პირს მუხნანნი არს და

¹ ქრ II. 259 გ-ი ტექსტში ამ სიტყვის ქვეშ მოსჩანს ტექსტის ხელითავე ნაწერი ვახტანგ წაუშლიათ.
² დედანში იქნებოდა ქმენ.
³ კაც. გვ. 3, კრეტ. საბმელ
⁴ იქვე, სანეტარისა.
⁵ კაც. 4 გვ. მოწყალეზმანი
⁶ ქრ. წ. II გვ. 259, გამოწულივით
⁷ ამ სიტყვის წინ არის განზე გვიანის ხელით: საგარეჯოს სამძღვარს+.
⁸ კაც. 4 გვ. დავატკიცეთ.



მცხეთის გორა ამას შიგნით ასწორივ მაღლა მთა საფსტე: — ციხე დაციხეს აქეთ ციხეს გარდმოვლით სერს წავლით ტაზრებს მთაში შემოსასწორებით კეხთვადალაშენი: — და მათნი მათნი და ბარნი, სოფელნი და აგარაკნი შენნი და უშენნი, კაწართს აქეთ დელე ჩასწორ, გაღ: — მა სამგორთ, თამარ მეფის აღებულს რუს აქთ ჩავლით: — ნაგებს მზღურამდი ჩავლით სერსერ ნი, აქეთ პირ ჩავლით: — საჯერნე ტბა, შურთაზნთ კლდე, ჩავლით ლურჯი კლდე, მაჰმადის გორა, დიდგორას აქათ იორისკენ ესენი და ამას შიგნითნი სვეტიცხოვლის სამანნი: — ერწოს სოფელი — ნოდოკრა და გორანა ჩეკური მისითა მიმდგომითა პიტ: — ლოვნითა სავლებო ერთი ილს სოფელი წობენა მისითა მზღვართა: — დაჰაისძე მისითა მამულითა ძაგნა კორნათავე ერთი გლეხი შერგილას შვილი გიჯიურ: — ელი მისითა მამულითა, მონასტერი ანეში მისათა შესვლითა, სოფელი: — ბაგა მისითა მამულითა ახატანს ექუსი გლეხი ბიწმენები სოფლები მისითა: — მზღვართა ტოხასძენი მათითა მამულითა ზედაძენელა შვილი მისითა მამულითა: — ჯაქუი¹ მისითა მზღვართა ფოსუი მისითა მზღვართა ჯუარი მისითა შეს: — ავლითა, ოროტითა და კუტალითა¹, ავჯალა (sic) მისითა მზღვართა კუნენელნი: — ამა წესითა. რომე რაცა გამოსავალი და გამოსალეზი გამოვიდოდეს: — წელიწადსა შიგა მისი ნახევარი უტლებლად მცხეთასა მიხუდებოდეს და მი: — იღებოდეს აგრევე მისაქციელური, ეკუდურსა წეროვანი და გოროვანი: — მისითა მზღვართა წყალ შატროვანი ნასოფლარი მისითა მზღვარი: — თა მუხრანი რაცა ძუელითგან გაჩენიული (sic) არის მისითა წყლითა ტურა: — თა ნასოფლარი მ.. და აგარა მისითა მზღვართა ციხე ბარდვი მისი: — თა მზღვართა ნოზა² მზღვართა ტაირისვილნი მათითა მამულითა ქარცის: — ძე მისითა მამულითა ნიგოზანი მისითა მზღვართა ქვეში მისითა მზღვ: — რითა ჰინქველისძე მისითა მამულითა: — ჰრებლისძე³ მისითა მამულითა, კულბითს სამი საგლებო გაგელის შვილისა ლიპარიტის შვილი. და მიქლუტა: — ური, სათიკარი, ნასოფლარი მისითა მზღვართა, ზაკუი მისითა მზღვარი: — თა, ვირშა მისითა შესავლითა, გორს ფუშრუკასძე და დიაკონისძენი და ვენა: — კი, ქოჩი ბეგაური, გელიაური და აყუშური, რუის მრუელაშვილი მისითა: — მამულითა თავ ბერისძისა სანაგლოდ, თეას(?) სამხარაძე და ცეცხლადე, ტანძიელნი: — მათითა მამულითა, იმერკევეს მაჯანისძე და ციხე ქორზანას ვენაენი, კუედღურეთს: — რაცა ძუელითგან მცხეთისა ყოფილა და არის, სარკე მისითა შესავლითა, ატენს: — წინუბნელი, კეზუს ზიკური, მამული ნიაბ მეტეხნი და ჩოჩეთი და ნასოფლა: — რი, გომნი მზღვართა კავთისკევეს გაგელის შვილი მისითა მამულითა ივანისაძე: —

¹ ამ ორ ზანშორის ჩაუმატებიათ გვიანის ხელით ერთი სტრიქონი და ისევე ამოუფხვიათ.
¹ კაკ. გვ 5. კეტალითა
² " " " ნიზა
³ " " — ჰარებლისძე



რითა და სასხორს ჟირიულითა, ძეგუი მისითა მზღვარითა, ციხედიდი მისითა: — მზღვარითა, არმაზის ციხე მისითა მონასტრითა და ბაჟითა, მთას ნასოფლარი სათაღემისი, კარსანი, მუხათგუერდი და ნაქულბაგეენი, უბიტი და თელვანი მამულითა: — და მზღვარითა, კოდმანი მისითა მზღვარითა, დიღუამს სამნი გლეხნი მათითა მამულითა, ქალაქს კარნი და ჯანდიელა ფულჩისტა¹ ქურციკა მექვაზე და ლუჯა, მეტეხის ჰალა²: — და მამული, მეზეთედ სომხითხ ყორანთა მისითა მზღვარითა, ახოტა, დლანი მ: — ძლითი, სხვენი, შხლტა, მითა მზრთა³ ესე ხელკურ თხელსა მამასა ჩუენსა მეფეთა მეფესა: — ალექსანდრეს შეწირნეს თარხნად თავის უფლად და შეუვლად დაემტკიცენს. აწ: — ჩუენ ახლად გუჯრითა ამით ვათარხნეთ და ვათავისუფლეთ ყოვლისა სათხო: — ვარისა და გამოსალევისაგან არა ეთხოვბოდეს და არა ეწერებოდეს არა ოდე: — ს და არას ეშსა შიგა, არა არდიდი სათათრო ულუფა, არ წურილი სა: — წერი მუღამი ულუფა, არ მეჯინებთა, არ ბაზიართა, არ ახოვრსალართა, არ მეძ: — ალეთა, არ ულაცი ეთხოვბოდეს, არ საკლავისა შემნახვენი, არ სამუჯარაულოს: — შეშის მზიდვენი და არ წყლის მზიდვენი და რაცა კაცისაგან მოიგონების და ანუ: — მწიგნობრისაგან დაიწერების არასაანა არა, ეთხოვბოდეს და არა ეწერებოდეს არა: — ფერი და არა სათხოვარი არა და არა ვისირა საქმე უც მცხეთისა შესავალსა შიგან: — არ კარით ჩუენით წარვლენილთა მოსაქმეთა და მოურავთა და არა სხუისა: — ადგილისა მოურავთა, ვიცა მცხეთისა საქონებელსა ახლოს იახლოს არას: — დაბადებულს და არას ნათესავსა კაცსა არა საქმე უც მცხეთისა შესავალსა, გუერდის: — არ პური და არ ლუინო, არ ძროხა, არ საკლავი, არ სამუშაო არასთანა არა და ვითა: — არავინ ღირსა და ვერცავინ მკადრე არს მტკიცედ ბრძანებულისა ამის ჩუენისა; — მოშლასა აგრე უცილებელად ყოვლისა კაცისაგან მოგაკენეთ თქუენ, დიდსა და: — ცათა მობაძავსა ახალსა იერუსალიმსა და სამკუდარებელსა ჩუენსა დედა ქალაქსა: — მცხეთას კათოლიკე ეკლესიასა და მას შინა სუეტსა ღთივ აღმართებულსა, კუართსა სამეუ: — უფლოსა და მირონსა ღთ მყოფელისა, წარსამართებელად მეფობისა და განგრძეობი: — სათუის დღეთა ჩუენთასა და ნუგეშინის საცემლოდ (sic). ცოდვილისა სულისა ჩუენისა: — დღესა მას საშინელსა და ზარის საკდელსა, რათა გუიოხო წინაშე მსაჯულისა: — და დაგუიციენე ორკერძოვე მტერისა საბრკეთა და ყოველთავე საგნებელთაგან და: — აჰა თქუენ, წმიდაო მღდელთ მთავართ მთავარო, პატროსანო და მიმსგავსებელო და თანა: — მერაბამეო წმიდათა მღდელთ მოძღუართა ბასილი და გრიგოლისო, ქართლისა კზო: — დავით, რაგუარაცა ჩუენგან ასრე დამტკიცებულსა და განთავის უფლებულსა მართებს, ეგრე: — თ მეგდრებელ იქმენ ღთსა მიმართ, მოსატევებელად ცოდვათა ჩუენთა და ნუშკა და: — ვიწყებულ ვიქმნებით ლოცვათა და ეედრებათა შინა თქვენთა. და აწ ვინცა და რა: — მანცა გუარმან კაცმან, ანუ დიაცმან, ანუ მძღავრმან მძღავრობითა, ანუ უქუდაცმან: — რჩომი-

¹ კაკ. გვ. 5. ჯანდიელა ფულჩისტა.

² კაკ. გვ. 5. დაღუკაძე ტეხისხალა

³ უნდა იყოს მათითა მზღვარითა. კაკ. გვ. 6.



ბ ე მ ს ბ ი

... სოფელი ალაიანი, სოფელი კურაგ[თი](?) : — კვეს თორმეტი
საკუმლო, სოფელი ველური, წოლდას:—სამი კომლი კაცი, სოფელი ნი-
გოზა, სოფელი უფლისციხე:—და მონასტერი და ციხე მისის შესავლითა,
გორს რაც:—მცხეთის მამულნი და ვაჰარნი არიან. სოფელი ზგრტი მ:—
ისის მითა და ბარითა, ნასოფლარი სათიბი, სოფელი ქუეში:—,სოფელი
ფლაგი, სოფელი დისევი, სოფელი ჩხოკეთი, სოფელი სა:—თიკარი,
ვანათს კომლი კაცი ცხრა, სოფელი ქუაბნი:—სოფელი ქორდი, პატარა
მედვრეკისი, ერუელსა (?) გილაძენი:—ვირშას მონასტერი მთავარანგე-
ლოზისა მისისა შესავ:—ლითა და წის წყლითა. ქრციწვალს ელიოზიძეთა
მისის მამულითა. გორის პირს სოფელი არაშენდა, ახალდაბს:—კომ-
ლი კაცი სამი, მთავარანგელოზთ უბანს, რუის მრ:—ელაშვილი, ულუ-
მბა მისის შესავლითა ბაეითა და მამუ:—ლითა, მონასტერი კაცხი შესავლითა
და სოფელი რაკელა:—ულუმბის ძირს სოფელი მოხისი მისის მითა ბარი-
თა: შესავლითა წყლითა და ქალითა. კასპთან აშურიანი, შუა:—შარს ქებით
მტკურამდინ სოფელი საკრე. ვგრეთვე:—არაგვს გაღმა მონასტერი ჯვრისა
მითა, ბარითა:—, წყლითა და ქალითა და ვენაეთა. სოფელი ფოსო, სოფელი
ჯაქვი:—სოფელი ავქალა, სოფელი კუტალი, სოფელი იოროტა:—იორზე
მონასტერი სიონი და მონასტერნი ქუაბნი მითა და:—ბარითა და სმ
თო წყლითა, შესავლითა და გასავლითა. სოფელი კეხ:—თა, სოფელი ტაზრე-
ბი, სოფელი ჭადაშენი, სოფელი ყანობი, სამეხათ: აქეთ საგა-
რეჯოსაკენ, რომ მშრალი კევი ჩაივლის იორ:—ისაკენ ძმარანთ სახლთან
ჩასწორ იორთავენ (sic) გაღმა სამგ:—ორთ თამარ დედოფლის აღებულს
რუსშიგნით ჩავლით:—საჯერანეს ტბისაკენ, ტბიდან შურთხანთ კლდემდე,
შუ:—რთხანთ კლდით ლურჯ კლდემდე, ლურჯის კლდიდამ მამადის:—გო-
რამდე, დიდის შარას შიგნით ამოვლით თარაქისაკენ, თარაქის ბოლოს
მცხეთის გორა, მუხრანნი, ავლით მარიამ:—ჯვარნი, რომელსა დაე-
ლათის ეწოდების. გორა დაღმა საფსი:—ტე ციხემდი, თვალნი, გიორგი
წმინდა, ბერთუბანი ტპა:—ტარძელნი მათითა მითა, ბარითა, წყლითა
და წისქულითა. სოფელი ჯიმი თი მისითა მამულითა დავითაღმაშენებელის.—
ეკლესიას ჩავლით(?) გარდაღმა გრძელთ კევი წნორამდე. სოფელი ახალშენი
სოფელი შანშიანი, [სოფელი]:—ჩალაუბანი, სოფელი ვან[თა], სოფელი აქ[შ-
რა], სოფელი]:—ხოდაშენი, დავითის საფლაგი, დოღოს რქა მონასტერი და:
უღაბრო მათისა შესავლითა, ეს პირაქეთ საგარეჯონი მათი:—თა მითა, ბარი-
თა, წყლითა, წისქვილითა და მათისა:—შესავლითა ყოვლის კაცის უცილებლად-
შალაურს კომლი:—კაცი რვა, ფიჩხოანს კომლი ხუთი, შილდას მონასტე:—
რი ვარცნისა ლთის მშობელი, სოფელი ვეძის კევი, ქვემო:—თეთრს კლდე
მდინ, სოფელი ფაშაანი, გაგაზს რაც:—მცხეთის მამული არის, ზეარნი
და შვიდნი კომლი:—კაცი. ქვეყანა ბრაუნთა შვიდი სამამასახლისო სოფელი
და მონასტერნი მთავარანგელოზთა მისითა შესა:—ვლითა ლაგოდკევი, ღა-
ნუკს კომლი კაცი ოთ:—ხმოცი, ბაზარს ვაჰარი სომეხი და ურია კომლი:—

ოცდა შვიდი ენის ელ ში. სოფელი კუნელანი და წინა:—უბანი, სხვანი
რანიცა მამულნი და აგარაკნი არიან:—სოფელი გაქლოატი (?), გრწოს
სოფელი ჩეკური:—და ლერწამი, სოფელი ნოდოკრა და მონასტერი:—
სოფელი კუერნაულა, სოფელი თვალჯი, სოფელი გორო:—ენა, სოფელი
ნოჯა, ნოჯიკეთი და ბიტლოვანი, სოფელი:—წირდალი, ძაგნაკო-
რას კომლი კაცი ცამეტი ღა:—ფირასშვილის მამული და შერგილასშვილისა,
მონასტერი ანეშისა და სოფელი ანეში, სოფელი ქ:—ოპორტი, სოფელი
ქუმო ბიჭმენი, სოფელი ზემო:—ბიჭმენი, სოფელი არჯაკალი, სოფელი
იეტისი, სო:—ფელი აძვი, საგურამოს ოთხი კომლი კაცი:—მელალა-
ჟნი. კიდევ ერწოს მონასტერი ბოქ:—ორმა და მისნი შესავალი ციხე და
წობენა და სხ:—ვანი რანიცა მამულნი და აგარაკნი ანუ მთას:—და ანუ ბარ-
სა, ანუ ქართლსა და ანუ კახეთსა, ანუ სამცხე სათაბაგოსა, ანუ
სომხეთსა, ანუ:—საბარათოს რანიცა მამულნი შენნი და უშენნი:—იყვნენ
დღესა ანუ დღეისა წალმა იქნებოდენ:—აწ ჩვენ ახლად გუჯრითა ამით ვათარ-
ბნეთ და ვათაეისუფლეთ ყოვლისა სათხოვარ:—ისა და გამოსაღებისაგან. არა
ეთხოვებოდეს:—რა, არა ეწერებოდესრა არა ოდეს და:—არა ეამსა შიგან: არა ღი-
დი სათათრო:—ულუფა, არა წურილი საწერი მუდამი:—ულუფა, არა მოხელეთა,
არა ქალაქის მო:—ფრაფთა, არა მელიქთა და არა ნაცვალთა:—და არა სხვას
ჩვენისა კარისა წარღვნილთა:— არა ბაე, არაბაშ მალი, არა საური, არა:—
ტიკი; არა ტომრა, არა ცხვარი, არა:—ძროხა, არა სამოურაო, არა საყასპო,
არა:—საჭურჭლე, არა ბაზირთა, არა:—ახოსრალთა, არა მერ[კ]მლეთა(?) არა
ულაყი ეთ:—ხოვბოდეს, არა საკლავის შემნახავი, არა სამ:—ხვარეულოს შეშის
მზიდაენი და არცა წყლისა:—მზიდაენი და არაცოდენ ჩვენისა კართ წარ:—
ვლენილნი მოსილნი თქვენთა მამულთა და:—საბრძანებელთა შიგან წარვი-
დოდენ უთქვენ უმ[ჩ];—ძანებლათა და თქუენი ყმანი სადაცა მკხარეს:—იყუ-
ნენ ლაშქარ ნადირობას თქვენ და თქვენს სარ:—დალთა შემოეყრებოდენ
და ჩვენთა ამაღლებ:—ულთა დროშათა ზედან იქნებოდენ, სხვა ამათ:—ჩვენ-
ოდენ არა ნივთისაგან კიდენ არაოდეს გეთ:—ხოვბოდენ: არა ჩვენგან და არცა-
სა:—ვინცაგინ იქნებოდენ არა ეთხოვოდენ (sic) არა:—ოდენ, ანუ კაცთაგან
მოიგონების და:—ანუ მწიგნობრისაგან დაიწერების არაფე:—რი და არა სათხო-
ვარი და არავისრა საქმე:—უცს მცხეთისა შესავალსა შიგან და ვითა:—არა-
ვინ ღირს არს და ვერცარავინ მე:—აღრე არს მტკიცედ ბრძანებისა ამის:—ჩვე-
ნისა მოშლასა, აგრევე უცილებლად:—ყოვლისა კაცისაგან მოგაკენეთ თქვენ:—
დიდსა და ცათა მობაძავსა ახალსა:—იერუსალიმსა და სამკვდარებელსა
ჩვენსა:—დედა ქალაქსა მცხეთისა კათოლიკე ეკლესი:—ასა და მას შინა სვე-
ტსა ლთიე აღმართ:—ებულსა, კუართსა სამეუფოსა და მირონსა:—ლთ მყო-
ფელსა და თვით საუფლოსა ზა:—ტსა ლთისასა კელით უქმნელსა, წარსა:—მა-
რთებულად მეფობისა ჩვენისა და განგრძ:—ელებისათვის დღეთა ჩვენთასა და
ნუგეშ:—ინის საცემელად ცოდვილისა სულისა ჩ:—ვენისა დღესა მას საშინელ-
სა და ზარისა:—სახდელსა, რათა გვიოხო წინაშე მსაჯუ:—ლისა, დაგვიცენე
ორკრძოვე მტერ:—ისა საფრხეთა და ყოველთა საგნებელთ:—აგან და აწე
ვინცა და რამაცა გვარმან:—კაცმან, ანუ ანუ (bis) მძლავრმან მძლა:—ერობით, ანუ



უქვედაესმან რჩომის:—ათვის შესცვალოს და კელყოს ამისად შლად და ქცევედ და რაცა ამოშიგან მ:—ცხეთის საქონლები მამულნი და[კვიწე]:—რიან ანისად გამოხვებად, ანუ ვინ:—იურვოს, ანუ მოციქულად შეექნას:—, ანუ რასაცა მიზეზისა შეცვალოს, [იგი]:—მცა იცვალეების სჯულისაგან ქრი:— სტიანეთისა, რისხაეს მას-ცა და უსაბამო:—ლთი მამა, ძე და სული ცხოველი უკე:—თუ მეფემან შეცვა-ლოს, მეუფეო მეუ:—ფეთაო, შენ იგი შეცვალე დიდებისაგან:—შენისა, უკეთუ დე-დოფალმან შეც:—ვალოს, დედოფალო დედოფალ:—თაო, შენ იგი შესცვალე დი-დებისაგან შენისა და ძისა შენისა. ვინცა და რა:—მანცა გვარმან კაცმან და ანუ დია:—ცმან მოგონოს (sic) და შეცვალოს, ანუ: სა—ქმით ისაქმოს, ანუ თვით თავისათვის:—ანუ სხვისათვის, ალიკოცენ და მოისპენ ქვეყანით საკსენაბელი მისი. კრულმცა:—არის ცათა შინა და ქუეყანასა, ზედა შემცა:—ედების ძრწოლა კე-ნისი, კეთრი გეზი:—სი, შიშთვილი იუდასი, დანთქმა დათან:—და აბირონისი, ნესტორ და ოროგინესთანა:—მცა არის სამკვედრებელი სულისა მისისა:—და მასზე-დაცა და ესრულების კმა იგი ჯ:—ვარცმისა, რომელ თქვეს: სისხლი მაგისი ჩუნ :—ზედა და შვილთა ჩვენთა ზედა და ასდა მერ:—გისა ფსალმუნისა წყევა მასზე-დაცა და კდების და ვინცა დაამტკიცოს, ლთნ ყოველი მ:—ისი გაგებული მტკი-ცედყოს დაიწერა გუჯარი ესე ჩვენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩვენისა . . .





ქახეთის აღწერა 1801—1802 წლისა.

საქართველოს ცენტრარქივის ძველი საბუთების არქივში 6871 საინვ. №-ით დატულია ქახეთის ერთი კუთხის მოსახლეობის აღწერის დაგთარი: იგი არის ერთი იმ დავთართაგანი, რომლითაც უხელმძღვანელიათ 1802—1803 წლ. კამერალური აღწერის შედგენის დროს. როგორც კავკას. არქეოგრაფ. კომისიის აქტებიდან ირკვევა, საქართველოს კამერალური აღწერის საკითხი პირველად გენ.-ლ. კნორინგს აღუძრავს; თავის „უქვეშ. პიტაკში“ 1801 წ. ივლ. 28, № 1, საქართველოს ერთ გუბერნიად და 5 მაზრად გაყოფის გეგმის წარდგენასთან ერთად იგი სწერს რუსეთის ხელმწიფეს¹: „...უცხო ტომის ხალხთა პროვინციების კანცელარიათა, კომენდანტთა, მოურავთა (ордоничий), საერობო კომისართა და ბოქაულთა მოვალეობა იქნება ამ დროს შეუდგენ თავიანთ ხელქვეით ხალხთა აღწერას“-ო²; ამის შემდეგ „უმაღლესი რესკრიპტით“ 1801 წ. სექტ. 12-ს მას (კნორინგს) ევალება საქართველოს კამერალური აღწერა³. კნორინგი 1802 წ. ივნ. 10-ს, № 1,565 მიწერილობით აღწერის შედგენას ავალებს კვარტირმ. ნაწილის პოლკ. დრენიაკინს რისთვისაც აძლევს ვრცელ ინსტრუქციას; აქვე მოვიყვან მას ნაწილობრივ: „პოლკ. დრენიაკინს... უმაღლესი... რესკრიპტით, ბოძებულით ჩემდამო 1801 წლის სექტემბრის 12-ს, მებრძანა შე შედგენა საქართველოს კამერალური აღწერისა... და ვანდობ თქვ. მ.-კ-ბას და თქვენი გუნდის ორ კაპიტანს, ბარ. გიერტსა და ჩუიკოს საქართველოს კამერალური აღწერის შედგენას და მოგიწერო შესასრულებლად შემდეგს: 1)... დაუყოვნებლივ შეუდგეთ თქვენდამო მონდობილ საქმეს... 2) შეადგინოთ სწორი გეგმები ქალაქ ტფილისისა, თელავისა, გორისა და დუშეთისა... 3) გადაილოთ რუკაზე ხელსაწყოთი ყველა სოფლები, მონასტრები და სხვ. საცხოვრებლები სწორი ცნობით: თუ ვინ ცხოვრობს იმ სოფლებში, ვის ეკუთნის—ხაზინას, ეკლესიას, საქართველოს სამეფო გვარის წევრთ, თუ ბატონთ... თუ მამრობითი და მდედრობითი

¹ АКАК—იდან ამოღებული ადგილები აქაც და ქვემოთაც მოყვანილი მაქვს თარგმანით.
² АКАК, I, გვ. 431, № 543.
³ იქვე, გვ. 433, № 548, მ. 8.



სქესის სულთა რიცხვის ცალკალკე გაგება შეუძლებელია, უაღრესად ეცადეთ თვითოეულ სოფელში მოსახლე კომლთა ანუ ოჯახთა რიცხვი მინც შეიტყუოთ: ცალკე ქართველთა, ცალკე სომეხთა, ცალკე თათართა, ცალკე ოსთა, ცალკე ებრაელთა და სხვა ეროვნებათა... 6)... უკეთუ სადმე საგნების ამოცნობაში რაიმე დაბრკოლება შეგვხვდებოდა, შევიძლიათ ამისათვის მიმართოთ გარეშე პირთ, რაშიაც დაგებმარებიან .. მოურავნი და ბატონნი იმ ადგილთა და სოფელთა; მაგრამ ამათ ყველაზე ნაკლებ უნდა დაუჯეროთ, ეინაიდან ისინი თავიანთ გლენთა რიცხვსა და სარგოს რაოდენობას ჩვეულებრივ ამცირებენ... 7) თქვენ გაძღვეთ დავთარს (ведомость) საქართველოს ყველა სოფლებისას, რომელიც კი გადმოიმცემს მე ქართველ მოხელეებმა. ერთი შეხედვითაც კი ის ბევრში არ არის სწორი, მაგრამ თქვენი მთავარი საქმეა, რომ ეს უსწორობა ადგილობრივ შეამოწმოთ“-ო 1” და სხვ.

დრენიაკინი დაუყოვნებლივ შესდგამია დავალების ასრულებას, მაგრამ დაუნახავს რა საქმის სირთულე, მიუმართავს პიტაკით კნორინგისათვის, რომ სამი კაცი აღწერას 7 წელს ძლივს მოგათავებთო და უთხოვინა საქმის დასაჩქარებლად 9 კაცის მომატება. თანახმად ამ პიტაკისა კნორინგის შემდეგ მმართველს თ. ციციანოვს 1803 წ. იანვრის 17-ს, № 2 პიტაკით აღუძრავს ამაზე შუამდგომლობა², რის შემდეგაც 1803 წ. მარტის 7-ს დრენიაკინს უმატებენ 10 კაცს³. ახალ მომატებულ კაცებთან ერთად მუშაობა აღბად დაიწყებოდა მარტის შემდეგ და აღწერა უნდა დასრულებულიყო 1803 წლის ბოლოს: თუ დრენიაკინის სიტყვით სამი კაცი აღწერას მოათავებდა 7 წელს, ეხლა უკვე 13 კაცი საქმეს მორჩებოდა უფრო ადრე: 7 წელი ანუ 84 თვე : 13 = 6 $\frac{1}{2}$ თვეს, ე. ი. 1803 წლის დამლევს; მაშ უნდა ვიგულისხმოთ, რომ აღწერა, დაწყებული 1802 წელს, დასრულდებოდა 1803 წლ. ბოლოს.

ეს აღწერა ჯერჯერობით არა ჩანს არქივში, ეგების აღმოჩნდეს გაურჩეველ ფონდებში; არის სხვა ამგვარივე აღწერა, მხოლოდ თელავის მაზრისა და, როგორც ამ აღწერის წინა საბუთებიდან ჩანს, იგი დაწყებული ყოფილა 1804 წელს საქართველოს უზენაესი მართებლობის აღმასრ. ექსპედიციის მიწერილობებით (ს. № 77 თუ 79; ფ. 1, ივნ. 16, № 5702 და ფ. 11, სექტ. 10, № 7143) და ეს უკანასკნელი მეორე აღწერა უნდა იყოს. პირველი აღწერა რუსულად იქნებოდა შედგენილი, რადგანაც, როგორც 1804 წლ. აღწერის შემოსხენებული ნაწილი (თელავის მაზრა). ისე შემდეგი ხნის 1821, 1831, 1861 წლ. ყველა კამერალური აღწერები, რომელნიც დღეს ცენტრარქივშია დაცული, რუსულად არის. სახელმძღვანელოდ პირველი რუსული, 1802—1803 წლ., აღწერისათვის, როგორც ზენოთ მოყვანილი ამონაწერის ბოლო ნაწილიდან ჩანს, ჰქონიათ ქართული დავთრები, რომლებიც ქართველ მოხელეებს გადაუციათ კნორინგისათვის: „თქვენ გაძღვეთ დავთარს (ведомость) საქართველოს

¹ იქვე გვ. 487, 488, № 587.

² АКАК, II, გვ. 15.

³ იქვე, გვ. 26, 27.



ყველა სოფლებისას, რომელიც კი გადმომცეს მე ქართველ მოხელეებმა-“ო“; სიტყვა ведомость-ის ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს ქართული აღწერის დავთრები. სწორედ ერთი ამ დავთართაგანი უნდა იყოს ზემოხსენებული. მას არა აქვს შედგენის თარიღი, მაგრამ იგი რომ სწორედ ამ დროისაა, ამის ადასტურებს მისი ქალაქი, რომელსაც აქვს ქარხნის თარიღი 1799 წლ. როგორც არქივში დაცული სხვა დავთრებისა და ნაწერებიდან ჩანს, ამ ხანაში ქალაქი დაუწერლად შეიძლება დარჩენილიყო სულ ბევრი 3-4 წელი, ასე რომ ხსენებული დავთარი შედგენილი უნდა იყოს სწორედ პირველი აღწერის დასაწყისისათვის, ე. ი. 1802 წლისათვის და ამრიგად იგი შეიძლება დავათარიღოთ 1801—1802 წლით.

II.

ქართული აღწერის დავთარი წარმოადგენს ერთ მოზრდილი ფორმატის რვეულს 44 ფურცლად; ქალაქი ლურჯი ფერისაა და აქვს ჭვირნიშანი ქარხნისა და 1799 წლ. თარიღი. პირველ ფურცელს წინა პირზე აწერია: Описание Кахетии: ამავე ფურცელს აქვს დავთრის საინე. ნომრები, რომლებიც რამდენჯერმე შეუცვლიათ: ყოფილა №№ 261, 164, 320, 318, 303, 329; ესენი ყველა გახაზულია წაშლის მიზნით; არის კიდევ №№ ფმთ და 288, რომელიც დავთრის ძველ ნომერთაგან უკანასკნელად უნდა ჩაითვალოს. როგორც ზევით მოვიხსენიე, დავთარი შეიცავს კახეთის მოსახლეობის მხოლოდ ერთი ნაწილის აღწერას: იპურობს სოფლებს ივრის პირის ს. „სათისჭალა“-დან მოკიდებული არაგვის ხეობის ს. ბულაჩაურამდე, შემდეგ თიანეთს, იქიდან შიგნით კახეთის სს. უტო-ახმეტა-მატან-ახადელს და ბოლოს ალაზნის გაღმა-მხარს ყვარლამდე (ჩათვლით); მეორე დიდი ნაწილი აღწერისა კი, ე. ი. ალაზნის გამოღმა-მხარი, მთელი ქიზიყი და გარე-კახეთის აღმ. ნაწილი არა ჩანს; იგი მეორე, ან მეორე და მესამე რვეულებად ანუ დავთრებად იქნებოდა აღწერილი და შესაძლებელია ისიც აღმოჩნდეს არქივის ჯერედ გაურჩეველ რომელსამე ფონდში. ხოლო თუ მე ამ დავთარს კახეთის აღწერა ვუწოდებ ეს იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, თვით დავთარს ასე აწერია და მეორეც, მისი ნაკლებობა იმედს არ გვიკარგავს დანარჩენი რვეულების პოვნისას.

აღწერა შედგენილი არის ქართულად, რაც ფრიად სასიხარულოა; ამით თავიდან აცილებულია ის დიდი ნაკლი, როგორიცაა მაგ. გვარსახელთა, გეოგრაფიულ ნომენკლატურათა და სხვათა დამახინჯება, რომელიც სწევია მე-XIX ს-ს რუსულ დაწესებულებათ საქართველოში. ნაწერია კარგი ხელით ვინმე მდივანმწიგნობრობაში გამოსული პირის მიერ. იგი ჩვეულებრივ ძველ აღწერათა, გამოსავლის დავთართა მსგავსად არის ნაწარმოები, ე. ი. თვითოეული სოფლის მოსახლე კომლის სახელმწიფო სამსახურის შემძლე თავთა, ანუ დღევანდელი შესა-

¹ იქვე I, გვ. 488, მ. 7.

ტყვისი ტერმინით „მკლავთა“ გვარისა და სახელის, რაოდენობის და სოციალური მდგომარეობის ჩვენებით, და ამ მხრივ იგი დიდად განსხვავდება ზემოხსენებული 1804 წლის თელავის მაზრის რუსული აღწერისაგან, რომელიც თვითოეულ სოფელში აღნიშნავს მხოლოდ კომლ-სულთა და მამულის რაოდენობის ჯუმლს და სოციალური დანაწილებაც არა ისეთი სისრულითაა წარმოდგენილი, როგორც ეს პირველშია. აღწერილია სულ 36 სოფელი. საქართველოს 1802 წლის მაზრებად დაყოფის უწყებით კახეთს შეადგენს თელავისა და სიღნაღის მაზრა. პირველში შედის ქ. თელავი, 92 სოფელი და თუშეთი; ხოლო მეორეში—ქ. სიღნაღი და 33 სოფელი¹. მიუხედავად სიმცირისა, აღწერას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს, იგი ძვირფასი მასალაა მე-XVIII ს-ს დასასრულისა და მე-XIX ს-ს დასასყისის კახეთის მოსახლეობისა და მისი სოციალ-ეკონომიური ცხოვრების შესასწავლად. აქ სარკესავით ნათლად ჩანს ხალხის მდგომარეობა. აღწერილია მხოლოდ ღდაბიო ხალხი და სულ მცირედ სხვა წოდებისაც; ყველა ისინი დაყოფილია სოციალურ ჯგუფებად: სახასოდ, საბატონოდ და სხვ.; აღწერაში ადგილ-ადგილ შერეული არის სხვადასხვა ჯგუფი, რაც იმით აიხსნება, რომ აღმწერი თვითოეულ ადგილს ანუ უბანს მოსახლეობისას ცალკე სწერს. აღწერას დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ენათმეცნიერებისა, ხალხის მოსახლეობის მოძრაობისა და სხვა მრავალი საკითხისათვის.

აღწერის ცნობებიდან შედგენილი ცხრილის № 1 მიხედვით სულ აღწერილი არის 2274 კომლი; მათგან—სოციალური დანაწილებით: აზატი 8 კ.; ყმა: სახასო 532 კ.; საბატონიშვილო 78კ., საბატონო 696 კ., საკათოლიკოზო 60, საეკლესიო 570 კ., სოფლისა 2 კ., კერძო პირისა 1 კ.; სულ 1939 კ.; ხიზანი: საზოგ. 284 კ., ყმა 33 კ., ნასყიდი 10., სულ 327 კ.; პროცენტებით: აზატი 0,3%, ყმა 85,3%, ხიზანი 14,4%; ეკონომიური დანაწილებით: მამულიანი 2101 კ., უვენახო 5 კ., ბოვანო 168 კ.; პროცენტებით მამულ. 92,4%, უვენახო 0,2%, ბოვანო 7,4%.

გადასახადთა გამოღების თვალსაზრისით შედგენილი ცხრილის № 2-ა მიხედვით არის: 2274 კომლი, 3492 თავი, 3 ნახევარ-თავი; მათგან: გამომღები—2038 კ., 3114 თ., 3 ნახ.-თ.; გამოსაღებიდან ამოშვებული—ქვრივობოლი, მოხუცებული, სნეული, ამოწყვეტილი, შეუძლებელი, უცხოეთს მყოფი 236 კ., 378 თ.; პროცენტ.: გამომღები 89,6%, გამოსაღებიდან ამოშვებული 10,4%.

ქვრივ-ობოლთა, მოხუცებულთა, სნეულთა, ამოწყვეტილთა, შეუძლებელთა და უცხოეთს მყოფთა რაოდენობის გაგების მიხინით შედგენილი ცხრილის № 2-ბ მიხედვით არის: ქვრივი 1 კ.; ობოლი 136 კ., 136 თ.; მოხუცებული 58 თ.; სნეული (უძღური, დამბლა, დაზამლული, დაშავებული, უსინათლო, კოჭლი, კუტი და სხვ.) 90 თ.; ამოწყვეტილი 6 კ.; შეუძლებელი 84 თ.; უცხოეთს მყოფი 4 თ..

¹) АКАК, I, გვ. 461, 471—474, № 575.



მოსახლეობის ერთი ნაწილის ხელობის თვალსაზრისით შედგენილი ცხრილის № 3 მიხედვით არის: თანამდებობის პირი — საერო 47, სასულიერო 84, სულ 131; ვაჭარი 1; ხელოსანი 78; მოხამსახურე 136; სულ ერთად 346.

ეს არის ის სტატისტიკური და სოციალ-ეკონომიური ცნობები, რომელსაც იძლევა კახეთის აღწერა 1801—1802 წლ. სამწუხაროდ, როგორც ზეითაც აღვნიშნე, იგი მთელი კუთხის ცნობებს კი არ შეიცავს, არამედ მისი ერთი მცირე ნაწილისას და რომ ეს ნაწილი რაოდენიმე მანეტ შეევასოთ და უფრო სრულად წარმოვიდგინოთ იმ დროინდელი კახეთის მოსახლეობის სურათი, ესარგებლომ და მომყავს აქვე ცნობები შემოხსენებული, მეორე, 1804 წლ. რუსული, აღწერიდან, რომელიც თუმცა მთელ კახეთს არ სწვდება, მაგრამ პირველთან შედარებით მაინც ერთი-ორად მეტს ტერიტორიას იპყრობს; მისი გამოკვეყნება პირველთან ერთად წერილის ისედაც სიდიდისა გამო ვერ მოხერხდა.

III.

თელავის მაზრის 1804 წლ. რუსული აღწერის დავთარი ინვენტარულად ჯერ აღწერილი არის. მას უზის ძველი ნომრები წიგნის ზურგზე: 77 და 79; წინა ყდაზე აწერია რუსულად „Камеральное описание Телавскаго уезда, составленное в 1804-ом году“. აქვს 132 ფურცელი, აკლია მე-93-ე ფ.; დავთრის პირველი ნახევარი (ფ. 1—92) შეიცავს თელავის მაზრის 1804 წლ. აღწერის მასთან დაკავშირებული მიმოწერით, ხოლო მეორე ნახევარი კი (ფ. 94—132) ს. ურიათუბნის 1816 წლ. აღწერას და სხვა მიმოწერას. ნაწერია ლურჯ ქაღალდზე 98 და 99 ფურცლებს გარდა; უკანასკნელი თეთრია.

თელავის მაზრის აღწერა შედგენილია 1804 წელს. ქ. თელავი ცალკე არის აღწერილი, მაზრა კი ცალკე. თელავი აღწერილია ორჯერ: პირველად ეროვნების მიხედვით, იენისში (ფ. 1—5: პიტაქი იელ. 3, № 375 და სია მცხოვრებთა), მეორედ წოდებათა მიხედვით სექტემბერში (ფ. 11—19: პიტ. სექტ. 23, № 557 და სია მცხოვრებთა); მაზრის აღწერა დაუსრულებიათ იმავე წლის სექტემბერში (ქაღალდს აქვს ქარხნის თარიღი 1803 და 1804 წლ. და ფ. 23-ს აწერია წინა გვერდზე რუს.: სექტ. 26).

ქ. თელავის პირველი აღწერა სრული ვერ არის: იქ ნაჩვენებია 282 კომლი; მათგანი 198 სომეხი და 84 ქართველი. მეორე აღწერა უფრო სრულია. აღწერილია (იხ. ცხრილი № 4 ა და ბ) სულ 312 კომლი; მამრი 741, მდედრი 609; ორისავე სქესისა 1350 სული. კომლზე საშუალოდ მოდით 4 სული. წოდებათა მიხედვით არის: ვაჭარი 73 კ., ხელოსანი 181 კ., თანამდებობის პირი 35 კ., ვლახი 23 კ.; ეროვნება ნაჩვენებია მხოლოდ სასულ. პირთა: ქართველი 17 კ., სომეხი 18 კ.

მაზრის სოფლები დაწვრილებით არის აღწერილი. აღწერის სწერს თვითოეულ სოფელს და მის მოსახლე კომლებს ცალ-ცალკე ჯამად მათი ქუთვნისების მიხედვით. თუ რომელ ბატონს (თავად-აზნაურს), ან კ.თო-ლიკოზს, ბაზინას, ეკლესია-მონასტერს რამდენი კომლი ან სული ეკუთნის, შემდეგ აღნიშნავს მამულიანთა და უმამულოთა რაოდენობას; მამულიანთ უწერს სახნავ



მიწას, ვენახს, ტყეს, წისკვილს და ბოლოს უჩვენებს, თუ რით ცხოვრობენ მამულიანნი და უმამულონი უმთავრესად. აღწერილი არიან გლეხნი, აზნაურთაგან კი მხოლოდ 2 კომლი ს. კონდოლში.

მაზრა იპყრობს სულ 83 სოფელს (იხ. ცხრილი № 5), რომელშიაც ცხოვრობს 4804 კომლი გლეხი, სულად: მამრი 18088, მდედრი 16000; ორისავე სქესისა 34088; პროცენტ.: მამრი 53,1%, მდ. 46,9%; რამდენსამე სოფელში მდედრთა სქესი ძლიერ დაცილებულია პროცენტულად მამრთა სქესს, ასე მაგ. ს. კურდღელაურს არის მ. 55,6%, მდ. 44,4%, ს. გრემს მ. 59,5%, მდ. 40,5% სოფ. ვარდისუბანს მ. 62,5%, მდ. 37,5%. ზემოხსენებულ კომლთა რიცხვიდან (4804) არის: განთავისუფლებული 2 კ., 6 მ., 4 მდ.; სახაზინო (ყოფ. სადედ., ყოფ. საფულ. და სახაზ.) 1368 კ., 4850 მ., 4329 მდ.; საბატონო 1811 კ., 7022 მ., 6078 მდ.; საკათოლიკოზო 98 კ., 386 მ., 381 მდ.; საეკლესიო 1233 კ., 4739 მ., 4159 მდ.; სახაზინო-საკათოლიკოზო 292 კ., 1085 მ., 1049 მდ., პროცენტ.: განთავისუფლებული 0,04%, სახაზინო 28,5%, საბატონო 38,2%, საკათოლიკოზო 2,06%, საეკლ. 25,1%, სახაზ.-საკათოლ. 6,1%. მამულიანი არის: სახაზინო 1174 კ., საბატონო 1431 კ., საკათოლ. 88 კ., საეკლ. 1131 კ., სახაზ.-საკათოლ. 292 კ., სულ 4116 კ.; უმამულო: განთავისუფლებული 2 კ., სახაზინო 194 კ., საბატონო 380 კ., საკათოლ. 10 კ., საეკლ. 102 კ., სულ 688 კ.; პროცენტ.: მამულიანი 85,7%, უმამულო 14,3%, სახნავი მიწით არის 3987 კ.¹, ვენახით — 3280 კ., სავენახე ადგილით 229 კ., წისკვილით 102 კ.; სახნავი მიწა საერთო — 37280 დღიური, სახნავი მიწა გაყოფილი კომლზე — 7674 დღ., სულ 44954 დღ.; თუ გავყოფთ ამ ჯამს კომლთა რიცხვზე, 4804-ზე, მივიღებთ კომლზე 9,3 დღ.; თუ გავყოფთ სულთა რიცხვზე, 34088-ზე — 1,3 დღიურს სულზე. თვითთველ კომლში საშუალოდ არის 7 სული (34088:4804=7).

აღმწერს მოსახლეთა ეროვნება არა აქვს აღნიშნული გარდა სამ სოფელში (კურდღელაური, ყარაჯალა და კაპანაკი) მცხოვრებ თათართა, სადაც ითვლება სულ 134 კომლი, მამრი 257, მდედრი 233, მაგრამ თავისთავად იგულისხმება, რომ დანარჩენი ნაწილი ქართველია, ე. ი. 4670 კომლი, მ. 17731, მდ. 15767; პროცენტ.: ქართველი 97,2%, თათარი 2,8%. ქართველთა რიცხვის უუმცირეს ნაწილს, როგორც ესა ჩანს საქართველოს 1802 წლ. მაზრებზე დაყოფის უწყებიდან, შეადგენენ სომხები².

მეურნეობის მაჩვენებელი ცხრილის № 6 მიხედვით მოსახლეობა ცხოვრობს: ხვნა თესვით საერთო ან საკუთარ მამულზე 3987 კ.³, ხვნა-თესვით სა-

¹ ერთი და იგივე კომლი ხშირად არის მფლობელი სახნავი მიწისაც, ვენახისაც ან სავენახე ადგილისა და წისკვილისაც, ასე რომ თვითთველ ხსენებული დარგის კომლთა ჯამში ამისა და მიხედვით ერთი და იგივე კომლი გამეორებული არის.

² AKAK, I, გვ. 461, 471—473, № 575.

³ ერთი და იგივე კომლი ხშირად მისდევს მეურნეობის რამდენსამე დარგს: ხვნა-თესვას, მევენახეობას და სხვ., ამისდა მიხედვით აქაც სხვა და სხვა დარგის კომლთა ჯამში ერთი და იგივე კომლი ხშირად არის გამეორებული.



ლალოდ აღებულ მამულზე 476 კ., მევენახეობით 3280 კ., მესაქონლეობით 832 კ., მეაბრეშუმეობით 892* კ., ტყით 905 კ., წისკვილით 102 კ., ხალიჩა-ფარდავის ქსოვით 35 კ., ვაქრობით 111 კ., ხელოსნობით 20 კ., ხელსაქმით 8 კ., ბატონთან მუშაობით 63 კ., სხვა სამუშაოთი 279 კ.

მთელი თელავის მაზრის მოსახლეობის ჯამი თვით კ. თელავის ჩათვლით არის 5116 კ., 18829 მ., 16609 მდ.; ორისავე სქესისა 35438 ს.. პროცენტებით მამრი 53,4%, მდედრი 46,6%. კომლზე საშუალოდ მოდის 6 სული (35438:5116=6).

აღწერის მიხედვით კ. თელავის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, როგორც ეს ზეგით მოყვანილი რიცხვებიდანაც ჩანს, ცხოვრობს ვაქრობითა და ხელოსნობით, ხოლო მაზრისა: მამულიანი საზოგადოდ ხენა-თესვით და მევენახეობით, უმამულო უმთავრესად საღალოდ აღებულ მიწაზე მოქმედებით, ზოგი კი ბატონთან მუშაობით და სხვ. საქმით; მამულიანთა ერთი თვალსაჩინო ნაწილი (ალაზნის ვალმა-მხარი) ხენა-თესვასთან ერთად მისდევს მეაბრეშუმეობასაც და სხვ. ამით ვასრულებ აღწერის განხილვას.

დიდ მადლობას ვუცხადებ პროფ. ივ. ჯავახიშვილს, პროფ. აკ. შანიძეს და ვარლ. თოფურისს, რომელთაც ხელმძღვანელობა გამიწიეს აღწერის კვლევაში და გამოქვეყნებაში.

გამოკლევას დაერთვის ცხრილები №№ 1, 2, 3, 4, 5 და 6 და ტექსტი 1801 - 1802 წლ. აღწერისა საძიებლით.

აქვე მოვიყვან ზოგიერთ შენიშვნებს, რომლებიც საჭიროა წინასწარ გათვალისწინებულ იქნეს.

I. ცხრილი № 1-ისათვის.

1. აღწერის სს. უტო, ახმეტა, ვალურისა და ფიჩხოვან, არგოზ, მალრანის მოსახლეობა შერეულად აქვს აღწერილი; მათი ცალ-ცალკე აღრიცხვის შეუძლებლობისა გამო ცხრილში ისინი შეეერთე ცალკე ჯგუფებად.
2. ზოგიერთი ბიზანი არაა დასახელებული, თუ რომელ მამულზე სახლობს; სახასოზე, საბატონოზე, თუ საეკლესიოზე, და ამ გაურკვევლობისა გამო ასეთები მე აღვნიშნე კითხვითი ნიშნით.
3. მამულიანთა რიცხვში არის ერთი რიგი მოსახლეებისა, რომელიც სხვის მამულზე სახლობს; ცხრილის სირთულის თავიდან ასაცილებლად ის მე არ გამოვყავი ცალკე ჯგუფად.
4. „სოფლის ნასყიდი“ და კერძო პირთა ნასყიდი გამოვყავი და შევიტანე ცხრილში ცალკე განყოფილებებად.
5. ცხრილში ხმარებული მ. აღნიშნავს მამულიანს, უკ.— უვენახოს, ბ.— ბოგანოს, კ.— კომლს.



II. ცხრილი № 2-ისათვის.

1. აღმწერს თვითოვლულ გვერდზე ცალკე სვეტებად აღწერილი აქვს კომლისა და გადასახადის გამოძღვება თავის რაოდენობა, ცხრილში კი ისინი შეეიტანე ჯამებად: კომლი მე-6 უჯრაში, თავი — მე-2-ში.
2. მასვე რამდენიმე თავი გადასახადის გამოძღვების მხრივ აღწერილი აქვს ნახევარ-თავად—10; ძველ აღწერებში ჩვეულებრივ ნახევრად იწერებოდა არა თავი, არამედ კომლი.
3. მასვე ზოგიერთი კომლი მათი შეუძლებლობისა (სიღარიბისა) გამო გამოტოვებული აქვს კომლობიდან; ცხრილში ასეთები შეტანილია გამოსაღებიდან ამოშვებულთა განყოფილებაში.
4. მასვე ზოგიერთი კომლი არა აქვს კომლად აღნიშნული სტრიქონის ხაზზე უადგილობის გამო და გულისხმობს კი კომლად.
5. მასვე სწული და შეუძლებელი საზოგადოდ გადასახადიდან ამოშვებული ჰყავს, მაგრამ რამდენიმე ამგვარი აღწერილი აქვს გამოძღვებად.
6. მასვე ზოგიერთი თავი გამოტოვებული აქვს თაობიდან მიზეზის არ დასახელებით, მაგ. 2, 10; და სხვ.
7. მასვე ზოგიერთი თავი აღწერილი აქვს სწულად და მოხუცებულად, ან მოხუცებულად და შეუძლებლად და სხვ., ასეთები მე შეეიტანე ერთ-ერთ განყოფილებაში.

III. ცხრილი № 3-ისათვის.

1. ავტალას მცხოვრები ორა პირი: პაპულაშვილი ივანე და გოგიჯანაშვილი ბეჟან (მ. 11), რომელთაც უწერიათ, რომ „რუსეთს მამუკას ახლავს“ო, შეეიტანე მსახურთა რიცხვში.
2. იორ-მულანლოს მსახლობელი „ჯილაედარი“ (=ჩარვადარი) „მალა“ (3,) შეტანილია ხელკანთა რიცხვში.

IV. ცხრილი № 4-ისათვის.

1. ქ. თელავის მეორე აღწერა არის წოდებრივ-უფლებრივი. ამის მიხედვით შედგენილი არის ცხრილი ა, ე. ი. ისე, როგორც ეს აღწერისა აქვს.
2. აღმწერს ზოგიერთი რიცხვი სწორედ ვერა აქვს ნაანგარიშევი, ასე მაგ. ეპატართა კომლების მდებარ. სქესის ჯამი 120-ის მაგიერ უწერია 121, აგრეთვე მამრ. სქესის საერთო ჯამი 741-ის მაგიერ ნაანგარიშევი აქვს 743 და მდებარ. სქესისა 609-ის მაგიერ 608.
3. ხსენებული მასალისავე მიხედვით შედგენილი არის მეორე, ბ ცხრილი მოსახლეობის წოდებათა ჩვენებით.

V. ცხრილი № 5-ისათვის

1. ცნობები აღწერიდან ჩემ მიერ ამოღებულია რიცხვებად: იქ, სადაც აღწერა საზოგადოდ არ ამბობს, რომ მოსახლენი ცხოვრობენ ზენა-თესვით, მევენახეობითა და სხვ., ასეთი ცნობები ამა და შემდეგ მე-VI ცხრილშიაც შეეიტანე კომლთა საერთო ჯამის რაოდენობით.
2. აღმწერს აღწერილი ჰყავს მხოლოდ გლეხნი გარდა ს. კონდილიში მცხოვრებ ორი კომლი აზნაურისა, რომელნიც ეკუთნიან ალავერდის მონასტერს; მას ეს კომლები (აზნაურთა) და კომლების შემადგენელი სულნი მოქცეული აქვს ხსენებული მონასტრისავე კუთვნილ გლეხთა საერთო ჯამში და უკანასკნელთა (სულთა) ცალკე გამოყოფის შეუძლებლობის გამო ეს წოდებები გამოვყავი ცალკე ჯგუფად და ცხრილში შეეიტანე საეკლესიო გლეხთა რიცხვში, რომელშიაც მოქცეულნი არიან თვით აღმწერის მიერ.



3. სადედოფლო და საუფლისწულო გლეხნი აღნიშნული აქტს „ყოფ სადედოფლოდ, ყოფ, საუფლისწულოდ და აწ სახაზინო“-დ; ასეთები მე შევიტანე სახაზინო განყოფილებაში და მათ ცალკე ჯგუფებად გამოყოფის მიზნით წინ წავემძღვარე ასოები: სადედოფლოს—დ (დედეოფლისა), საუფლისწულოს—უ (უფლისწულისა),

4. აღმწერია სახნავი მიწისათვის ადგილ-ადგილ სწერს, რომ იგი საერთოა, ერთობლივ ფლობილი (совокупно владеемая земля) და გაუყოფელი ან გაყოფილი კომლზეო; ადგილ-ადგილ კი აღნიშნავად აქტს დატოვებულნი. უკანასკნელი ადგილები თავმოყრილია უმთავრესად საბატონო განყოფილებაში; ყველა ანგარიხი რიცხვები დაყენებულია საერთოდ კითხვის ქვეშ, რომელი ნიშანიც რიცხვსაც წინ უხის.

5. აღწერაში არიან გლეხები სხვადასხვა კუთვნილებისა, მსახლობელნი ერთსა და იმავე სოფელში და მფლობელნი საერთო გაუყოფელი სახნავი მიწისა; ასეთნი არიან ს.ს. შალაურს, ვანთას, კალაურს, ურიათუბანს, გიორგიშინდისს, საგარეჯოს, გაეხს, ჰიკანს, ვეფხისტყვის და ნაფრეველს (ს.ს. № № 2, 9, 11, 13, 14, 15, 52, 53, 57, 69), სადაც სახლობენ ერთად გლეხნი: სახაზინო-საბატონო, სახაზ. -საკათოლიკე, საკათოლიკე.-საეკლ., საუფლისწ.-საბატ., საბატ.-საეკლ.; ცხრილი რომ არ დამემძიმებინა, ასეთი მიწები მე მოვაქციე ერთ ცალკე განყოფილებაში და იმ სოფლებს, რომელთაც ამ მიწების ჯამში მონაწილეობა აქვთ, მიწის უჯრაში ნიშნად დავუწერებ ხსენებული ჯამისა ანუ რიცხვისაკენ წარზიდული ისარი > .

6. ტყე, რომელ სოფელსაც კი უწერია, საერთოა სოფლისა. აღმწერი უმეტეს ნაწილად სწერს, რომ სოფელს ტყე საკმარისად აქვსო და რაოდენობას კი მხოლოდ რამდენსამე სოფელს უწერს; იგიც (ტყე) ცალკე განყოფილებად გამოვყავი და იმ სოფელს, რომელსაც აქვს, ნიშნად დავუწერე ვარსკვლავი *. საერთო ჯამი არ არის გამოცენილი.

7. აღმწერს არ უწერია სახნავი მიწის რაოდენობა ს.ს. გიორგიშინდისა, საგარეჯოსი, ნინოწმინდისა, სართიქალისა და შილდის (ს.ს. № № 14, 15, 16, 22, 61) მოსახლეობისა; იგი მხოლოდ აღნიშნავს, რომ „სახნავ-სათიბი მიწა საკმარისად აქვთ“ო. მამულის საერთო ჯამის გაგების მიზნით ამ სოფელთათვის ავიღე საშუალო რიცხვი: კომლი, რომელთაც უწერიათ სახნავი მიწის რაოდენობა, არის 3574; სახნავი მიწა მათ მიერ ფლობილი კი 40824 დლიური; $40824 : 3574 = 11,5$ დღ.; ეს მოდის საშუალოდ კომლზე; სიმრგვლისათვის ავიღე 10 დლიური; იგი გაეზარავეთ თვითოეული სოფლის კომლებზე და ამ რიცხვად შევედგინე მათ მიწის რაოდენობის ჯამი; ასეა შედგენილი გიორგიშინდის-საგარეჯო-ნინოწმინდის ჯამი 3640; სართიქალისა 360 და შილდისა 130; ყველა ამით წინ დავუწერე ასო ს საშუალო რიცხვის აღსანიშნავად.

8. ს.ს. გიორგიშინდისა-საგარეჯო-ნინოწმინდისა, პატარძელისა, ყარაბულაისა, ხაშინისა და სართიქალის (ს.ს. № № 14, 15, 16, 17, 18, 19, 22) სახნავი მიწის რიცხვი შეიცავს არა მარტო სახნავ მიწას, არამედ სათიბსაც; აღმწერს ერთად აქტს აღწერაილი.

9. ს. ვეფხისტყვის (№ 57) საერთო მიწის ჯამში, 850-ში, შედის სამონასტრო მიწა 550 დლიური, რომელზედაც ეს სოფელია დასახლებული და რომელსაც იგი ფლობს თავის საერთო გაუყოფელ 300 დლიურთან ერთად.

10. აღმწერს ს. ზემოხობაშინს (№ 41) 59 მამულიანი კომლიდან 39 კომლისა და ს. ნინოწმინდის (№ 16) 80 კომლის ვენახებისათვის უწერია, რომ „ზოგიერთსა აქვს“ო. საერთო ჯამის გამოყვანის მიზნით მე სამ კომლზე ერთი ვენახი ვიანგარიშე და ამრიგად ზემოხობაშინს ვენახიანად მივიღე საშუალოდ 13 კომლი და ნინოწმინდის კი 27. ამ რიცხვებსაც წინ დავუწერე ასო ს (საშუალო).

11. მასვე ხეხილისა და ფურცლის ბაღებიც საერთოდ აქვს მოხსენებული, რაოდენობა არ უწერია; სადაც ასეთები იყო, მე აღნიშნე (უჯრასა და ჯამში) ვარსკვლავით *.

12. ს. ზორბელს (№ 31) მცხოვრები 8 კომლის სახნავი მიწის რაოდენობის რიცხვი ძველადვე მელნით არის გათხუცნული და ძნელი ამოსაცნობია. ვფიქრობ, რომ იქ უნდა ყოფილიყო 300. ეს რიცხვი მოქცეულია ამ სოფლის სახნავი მიწის საერთო ჯამში, 420-ში.

13. ს. ყვარელს (№ 60) მცხოვრები 6 კომლი, მოსული დიდი ხნის წინად ქართლიდან, რომელთა კუთვნილებაც, აღმწერის სიტყვით, ცნობილი არ არის, როგორც საბატონო მიწაზე მსახლობელთა, მე შევიტანე საბატონოთა რიცხვში.



14. მამულთან კომლთა ანგარიშის დროს მხედველობაში მივიღე ჰქონდა გლეხს რამე მამული, თუნდაც ეს მხოლოდ ეგნახი ყოფილიყო, თუ არა.
15. აღწერაში ეგნახი ნაჩვენებია კომლურად, სახანავი მიწა კი დღიურად.
16. ცხრილის სათაურის ქვედა უჯრედებში ასოები აღნიშნავენ: კ.—კომლს, დღ.—დღიურს.
17. აღწერას 93 (უკანასკნელი) ფურცლის დაკარგვისა გამო მცირე ცნობები აკლთ.

VI. ცხრილი № 6-ისათვის.

1. აღწერაში არის ადგილები, როლებიც არ უჩვენებენ ამა თუ იმ სამეურნეო დარგის მიმდევართა რაოდენობას, არამედ ასახელებენ მხოლოდ ზოგიერთთ; ასეთი ადგილები მე აღვნიშნე ვარსკვლავით *, რომელიც უკმაყოფიერდით დავუწერე.

2. ერთიდაიგივე პირნი ხშირად უწევინ მეურნეობის რამდენსამე დარგს.

VII. 1801—1802 წლ. კახეთის აღწერის ტექსტისათვის.

1. აღწერის ტექსტში ადგილ-ადგილ შესწორებები არის შეტანილი: ჩამატებულია სიტყვები იმავე ხელით და იმავე მედნიით, რომლითაც ნაწერია, რამდენიმე ადგილი ამოფხვკილია და სხვ.; ტექსტში აღვნიშნე მხოლოდ ზოგიერთი.

2. აღწერის ასოები „პა“ ზოგიერთ სიტყვათა (გვარ-სახელთა და სხვ.) დაწერაში გადმოცემული აქვს მხოლოდ ერთი ასო „პა“-თი; ასეთ ადგილებში პ-ს შემდეგ მე ჩავემატე ასო ა, მაგ. იორზე მსაბლობელ მულანლოელთა აღწერილობაში და სხვ.

3. აღმწერი აღწერაში ერთი სოფლის ან მის მოსახლეთა ერთი ნაწილის მეორიდან დასაქილებლად ანუ გამოსაყოფად მმარობს ნიშანს —, რომელსაც ერთ სტრიქონზე ნ-ნ-გურ ეხედებოთ.

4. მე-13 ფურცლის წინა გვერდის პირველი სტრიქონის ბოლოს, მარცხენა ხარვეზზე სწერია ორი რალაც ნიშანი, რომელთაგან პირველი წააგავს ნ-ს, მეორე კი ნახევრის აღმნიშვნელს 0 ს, = 50.

5. 35 და 37 ფურცლების მეორე გვერდზე თავთა რიცხვის შემდეგ თვითოეულ გვერდზე ორ ადგილას არის ხაზი — .

6. აღწერაში ზოგიერთ კომლს თავთა რაოდენობა ორ უკმაოდ აქვს, მაგ. ს. „სათისპალას“ (№ 1) მსაბლობელ მე-2-ე კომლს, გენგაშვილს უწერია: | ბ ა |; ესა და ამგვარი სხვა ადგილები უნდა აღნიშნავდეს ერთ კომლად მცხოვრებ ორ ოჯახს; ამ შემთხვევაში პირველ ოჯახში არის ბ თავი, მეორეში ა თავი.

7. ტექსტში აღრიცხვა რიგით სოფლებისა და კომლებისა ჩემ მიერ არის გაკეთებული.

8. აღწერის მართლწერა უცვლელად დავტოვე ისეთ შემთხვევებს გარდა, რომელთა გაგება სხვანაირადაც შეიძლებოდა, მაგ.: „დურგლისიძე“ (1_ა) შევასწორე „დურგლი[ს]იძე“ და სხვ.

VIII. საძიებელისათვის.

1. საძიებელი შედგენილი აქვს სოფლებს, ყმათა მფლობელთ (მებატონეთ, კათოლიკოსს, ვალესია-მონასტრებს), ნასყიდ კაცთა მესაკუთრეთ, სადასურობის აღმსიშენელ ტერმინთ და გვართა და სახელთ. უკანასკნელთა (გვართა და სახელთა) საძიებელში შეტანილია ყველა ის გვარი და სახელი, რომელიც კი მოხსენებული არის აღწერაში, მაგ.: „ქილაშვილის. იოსების. მამულზე-მსახლობელი. დიაკონი. ნინია“ (4_ა), ან „უსუბერას ბიჭი. სესია“ (1_ა); პირველიდან საძიებელში არის არა მარტო „ნინია“, არამედ „ქილაშვილი იოსები“-ც, მეორიდან არა მარტო „სესია“, არამედ „უსუბერა“-ც და სხვ.

2. სახელი „ლ'თისავარ“-ის ქარავმა გახსნილია „ლუთისავარ“-ად, როგორც ეს ვხვდებოდა ს. მარტყოფის მოსახლეობის სახელთა შორის (6_ა).

ცხრილი № 2.ა.

ქაბუას ერთი უბნის მოსახლეობის კომლ-დაჩენი ცდამართვის ვაშლების მხარე 1931-1902 წლის აღწერით.

სოფელი	კომომლები			უპროსტობის		სულ			
	კანონი	ნაკეი	ნაკეც-რეკი	კომომლები		კანონი	ნაკეი	ნაკეც-რეკი	
				კანონი	ნაკეი				
1 სსთისხლა	23	30	3	3	26	33			
2 სსმნი	71	104	6	8	77	111			
3 იბრ-მუღანლი	24	23	-	2	24	30			
4 შარკუთი	151	268	21	23	171	299			
5 ნორბი	102	141	8	12	110	153			
6 ავატლა	57	97	10	12	67	109			
7 ბუღანაური	18	20	2	2	20	22			
8 რინაური	217	320	4	17	221	337			
9 მაცარი	51	86	6	10	61	119			
10 ამიან-ფი-ქალაქი	158	191	25	33	133	164			
11 ბაზუშინი	44	60	11	13	33	73			
12 ტახტინ-არეს-მდინე	61	93	8	8	69	101			
13 ახალციხე	20	28	9	8	32	31			
14 ტალის ფენი	32	28	16	26	29	110			
15 უახსრბული	15	19	7	1	15	15			
16 მთლიანი	12	16	2	3	13	19			
17 ჭაბუკი	21	29	6	17	27	26			
18 მორბი	3	4			3	4			
19 ანთანი	17	21	2	6	19	27			
20 ნაკეც-რეკი	29	126	29	20	149	168			
21 ნაკეც-რეკი	32	46	1	5	33	51			
22 შარკუთი	36	58	7	8	29	42			
23 ნაკეც-რეკი	20	36	1	3	20	32			
24 ანთანი	64	92	14	15	74	107			
25 ანთანი	18	22			18	22			
26 გრძი	23	119	16	25	91	140			
27 სსმნი	18	29	2	7	20	32			
28 სსმნი	64	98	4	9	60	104			
29 შარკუთი	241	327	1	9	246	403			
30 უახსრბული	225	223	28	37	252	265			
სულ	2038	3114	3	336	2378	3192	3		
ამჟამინდელი კომომლები	2038	3114	3		2038	3114	3		
უპროსტობის კომომლები				336	378	236	378	-	

კომომლების უბნის მხარე 1931-1902 წლის

საქართველოს ირქივი F. B.

ცხრილი № 2.ბ.

ქაბუას ერთი უბნის მოსახლეობის კომლ-დაჩენი ცდამართვის ვაშლების მხარე 1931-1902 წლის აღწერით.

სოფელი	კომომლები			უპროსტობის		სულ		
	კანონი	ნაკეი	ნაკეც-რეკი	კომომლები		კანონი	ნაკეი	ნაკეც-რეკი
				კანონი	ნაკეი			
1 სსთისხლა	3	3						
2 სსმნი	19	15	1	2				
3 იბრ-მუღანლი	2	2						
4 შარკუთი	19	15	2					
5 ნორბი	7	7	3	1				
6 ავატლა	3	3	4	3				
7 ბუღანაური	1	1						
8 რინაური	5	1	6	6				
9 მაცარი	13	13	2	3				
10 ამიან-ფი-ქალაქი	7	7	1	5				
11 ბაზუშინი	2	2	1	2				
12 ტახტინ-არეს-მდინე	3	3	1					
13 ახალციხე	6	6	1	11				
14 ტალის ფენი								
15 უახსრბული								
16 მთლიანი								
17 ჭაბუკი	4	4						
18 მორბი								
19 ანთანი	1	1	2	3				
20 ნაკეც-რეკი	12	12	2	2				
21 ნაკეც-რეკი	1	1						
22 შარკუთი	3	3						
23 ნაკეც-რეკი	3	3						
24 ანთანი	1	13	13					
25 ანთანი								
26 გრძი	4	4	5	10				
27 სსმნი	1	1						
28 სსმნი								
29 შარკუთი	5	5	10	6				
30 უახსრბული	16	16	3	11				
სულ	1	136	136	93	90	6	84	4

კომომლების უბნის მხარე 1931-1902 წლის

საქართველოს ირქივი F. B.

ცხრილი N 4-ა
 ქ. შიშველს მისახეობა შიშველთა მიხედვით 1804 წელს
 თუხულობა აქვინი

ცხრილი N 4-ბ
 ქ. შიშველს მისახეობა შიშველთა მიხედვით 1804 წელს
 ხუხულობა აქვინი



მნიშვნელობა	დასახელება	სულ	სულ	სულ
1	ვაჭარნი	62	162	120
